საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 იანვარი შაბათი 2013 №008 (13 924) ფასი 80 თეთრი

ლილოს სტუმარი



11



## იუნაიტედი VS ლივერპული

ვინ გაიხარებს ოლდ ტრეფორდზე?

## ხვალ ინგლისში კიდევ ერთი დიდი მატჩია

არსენალი სიტის უმასპინძლებს



ევროპული ფეხბურთი 5-9

კალათბურთი

## ორი ქართველი და ევროთველი

სანიკიძემ ხიმკი დაამარცხა, შერმადინმა ბარსასთან იყოჩაღა



ევროლიგის მეორე ეტაპის მესამე ტურში კვლავ გაიმარჯვა **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ", რომელმაც რუსეთის „ხიმკის" 82:76 აჯობა.

ქართველ ფორვარდს ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დააკლდა: 27 წუთი, 11 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება.

**გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა" კატალონიაში „ბარსელონასთან" 68:76 დათმო. ეს იყო გიორგის პირველი საევროლიგო მატჩი „ოლიმპიაკოსის" მაისურით. მან 7 წუთში 6 ქულა, 3 მოხსნა და 1 დაფარება გაიფორმა.



## რეალში მინდა!

კასილიასს სამეფო კლუბში სამუდამოდ სურს დარჩენა



9



2

## ქეცბაიას საინტერესო იდეა

ნაკრებებს მწვრთნელები დაუნიშნეს




5

## ნური შაჰინი დორტმუნდში გადავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

● ასაკობრივი ნაკრებები



## კაჭარავა ცეცაძემ შეცვალა

### ქეცბაიას იდეა ახალგაზრდების მხარდასაჭერად

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრა გაიმართა, სადაც საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელები შეიკრიბნენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ყველა ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელებს ახალი კონტრაქტები გაუფორმდათ. იყო გარკვეული სიახლეებიც. ცვლილებები ყველაზე მეტად 19-წლამდელთა ნაკრებს შეეხო, რომლის მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** კარიერა "ზესტაფონში" გააგრძელა და ნაკრები დატოვა.

კაჭარავას ადგილი **გია ცეცაძემ** დაიკავა. ამ სპეციალისტს ქართველი გულშემატკივრის წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება – იგი გორის "დილაში" ჯერ მთავარ მწვრთნელად, შემდეგ კი ასისტენტად მუშაობდა. ახლო წარსულში საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ცეცაძე **გიორგი დევდარიანის** დამხმარე იყო. მასთან ერთად გუნდის სამწვრთნელო შტაბში იმუშავებენ **ზაზა ბაკურაძე, თემურ ლორთქიფანიძე** და **გრიგოლ ჭანტურია.**

გარკვეული კორექტივები შევიდა სხვა ასაკობრივი ნაკრებების შტაბებშიც და მწვრთნელთა სიამ ასეთი სახე მიიღო:

18-წლამდელები: **ვასილ მაისურაძე, მერაბ კაციტაძე, თემურ ჩარკვიანი;**

17-წლამდელები: **გიორგი დევდარიანი, გიორგი მიქაძე, ირაკლი ბალაძე, ივანე ლუცენკო;**

16-წლამდელები: **ნოდარ აკობია, ჯუმბერ ბურჯანაძე, ზვიად სტურუა;**

15-წლამდელები: **გოჩა ტყებუჩავა, გიორგი ნემსაძე, ზვიად სტურუა;**

14-წლამდელები: **გოჩა ავსაჯანიშვილი, ვახტანგ იაგორაშვილი, ტარიელ კანდელაკი, აკაკი დევაძე;**

13-წლამდელები: **ოთარ კორღალიძე, ლევან ბარათაშვილი, ვასილ მიქაშავიძე, აკაკი დევაძე.**

როგორც ხედავთ, აღდგა 14-წლამდელთა და 13-წლამდელთა ნაკრებები, რომლებიც ბოლო პერიოდში აღარ შეკრებილან.

შეხვედრაზე განიხილეს 2013 წლის სანაკრებო გეგმები. ითქვა, რომ წლეულს უპირატესობა იმ ნაკრებებს მიენიჭებათ, რომელთაც უეფას ოფიციალურ ტურნირებზე ელით გამოსვლა. თუმცა უქმად არც სხვა გუნდები დარჩებიან და უცხოური შეკრებები და ტურნირები მათაც ელით.

თემურ ქეცბაიამ დამსწრეებს საკუთარი იდეა გაუზიარა, რომლის მიხედვითაც უმაღლესი ლიგის კლუბები ვალდებულები უნდა იყვნენ, თავის შემადგენლობაში მინიმუმ ორი 21-წლამდელი ახალგაზრდა ათამაშონ. მსგავსი წესი ბევრ ევროპულ ქვეყანაშია აპრობირებული და მიზნად, რა თქმა უნდა, პერსპექტიული ჭაბუკების დაწინაურებას ისახავს. ვნახოთ, დათანხმდებიან თუ არა ამ ნოვაციას ქართული კლუბები.

სფფ-ის საიტზე 18-წლამდელთა ნაკრების თავკაც ვასილ მაისურაძის საინტერესო კომენტარია მოყვანილი, რომელსაც მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

"ძალიან საჭირო და საინტერესო შეხვედრა გამოგვივიდა. დავგეგმეთ მომავალი წელი. რამდენიმე ახალი სახეც დავინახე სხვადასხვა ნაკრებების სამწვრთნელო შტაბებში, ძალიან მესიამოვნა და მინდა, ჩემს კოლეგებს წარმატებები ვუსურვო. წელს ვისაც უწევს ოფიციალურ ტურნირებში თამაში, ლოგიკურად, იმ ნაკრებებზე იქნება განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებული. ასევე, შევჯერდით იმაზე, რომ უფროს ასაკებში შეკრებები ერთ კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ველარ გვექნება, რადგან ფეხბურთელებს ჩვენს ნებაზე და ხანგრძლივი დროით კლუბები არ გამოუშვებენ. ძალიან საინტერესო წინადადება შემოიტანა თემურ ქეცბაიამ. ვფიქრობ, მსგავსი ინიციატივები მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია. შორს რომ არ წავიდეთ, ჩემი ნაკრების ერთ-ერთი კონკურენტის - ჰოლანდიის გუნდის მაგალითს მოგიყვანთ. იმ ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა ჰოლანდიის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებში თამაშობს. თუ ჩვენ გვინდა, რომ ევროპულ სტანდარტებს მივუახლოვდეთ, ჩვენს ახალგაზრდებს აუცილებლად უნდა მივცეთ შანსი და საშუალება, რომ მათაც დიდ გუნდებში ითამაშონ და გამოცდილება მიიღონ. დამიჯერეთ, ეს ძალიან ბევრს მოგვცემს. უახლოეს დღეებში ფედერაციაში ჩვენ შევხვდებით კლუბების ხელმძღვანელებს და ამ საკითხზე მათთან მოვილაპარაკებთ. ვნახოთ, როგორ რეაგირებას მოახდენენ. შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში კი საკითხი უკვე აღმასკომზე გავა და დებულებაშიც ჩაიდება.

უშუალოდ ჩემს გუნდს რაც შეეხება, გვინდა, რომ მოსამზადებელი პროცესი რაც შეიძლება მალე დაიწყოს. რაც უკვე ვიცით, ფედერაციის ხელმძღვანელობის მიერ გამართული მოლაპარაკებების შედეგად, ამხანაგურ თამაშებს ვითამაშებთ გასვლაზე უკრაინასთან, პოლონეთთან და ბელარუსშიც წავალთ ტურნირზე. ცოტა მოგვიანებით კი, შემოდგომისკენ, ლონდონში ინგლისის ნაკრებს შევხვდებით. როგორც უკვე გითხარით, ასაკიდან გამომდინარე, იმის ფუფუნება აღარ გვექნება, რომ როცა მოვისურვებთ, მაშინ შევკრიბოთ გუნდი, რადგან უკვე უეფას დღეების ჩარჩოებში უნდა ჩავჯდეთ".

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი

## გრიგალაშვილს ისრაელში ზვავსაშიშროება არ უშვებს

### ტრანსფერზე არ ვარ, ალანიასთან კონტრაქტი დამიმთავრდა

ცნობილია, რომ გორის "დილას" ან უკვე ყოფილი მოთამაშეები, ლაშა სალუქვაძე და გოჩა ხოჯავა, აგრეთვე "კრასნოდარიდან" და ვლადიკავკაზიის "ალანიიდან" წამოსული ქართველები, ოთარ მარცვალაძე და შოთა გრიგალაშვილი ხაბაროვსკის „სკა-ენერგიაში" ჩაირიცხნენ, გუნდის მთავარი მწვრთნელი კი „დილას" ყოფილი თავკაცი გიორგი დარასელია იქნება.



კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, ქართველი ფეხბურთელები ისრაელში გასასინჯად მიდიან, მაგრამ ქართული ოთხეული საჩემპიონატო განაცხადში უკვე შეიყვანეს, რასაც ნებისმიერი საერთაშორისო საფეხბურთო ცნობარი დაგიდასტურებთ.

რუსეთის პირველი ლიგის "სკა-ენერგიას" წევრები მოსკოვში შეიკრიბნენ და გუშინ თელ-ავივში გაემგზავრენ, საიდანაც ეილათში გადაინაცვლებენ. სწორედ ამ პატარა ქალაქში გაივლიან ხაბაროვსკელები 29 იანვრამდე შეკრებას და რამდენიმე ტესტ-მატჩსაც გამართავენ.

ამ თემაზე ხუმრობა არ წყდება. როგორც ცნობილია, ხაბაროვსკი შორეულ აღმოსავლეთში მდებარეობს, ჩინეთს ესაზღვრება და იაპონიის კუნძულებთანაც ახლოს მდებარეობს. ქართველებსაც გვარიანი წვალება მოუწევთ, რადგან ხაბაროვსკიდან რუსეთის ცენტრალურ რეგიონებამდე თვითმფრინავით მგზავრობას 8-9 საათი მაინც სჭირდება. ამის გამო ამ ოთხეულს მეგობრები ეხუმრებიან, რომ დიდ ავიაციაში წავიდნენ – ცხოვრება ხომ სანახევროდ, თვითმფრინავში მოუწევთ.

ახლა სერიოზულად: ქართველები პირდაპირ ისრაელში გაფრინდნენ და გუნდს ეილათში შეუერთდებიან, მაგრამ შოთა გრიგალაშვილმა ეს ვერ მოახერხა. თუმცა, მისი "სკა-ენერგიაში" თამაში გადაწყვეტილია.

აქ კურიოზულ ამბავთან გვაქვს საქმე:

როგორც ცნობილია, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზაზე ზვავსაშიშროების გამო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. 26 წლის გრიგალაშვილი (რომელიც აქამდე ცნობილი ვერსიით, ვლადიკავკაზის „ალანიამ" ტრანსფერზე დააყენა) არდადეგებს თბილისში ატარებდა, შობის შემდეგ კი სტეფანწმინდაში მდებარე მონასტერში გაემგზავრა და დიდთოვლობის გამო დღემდე იქ არის ჩარჩენილი.

შოთა გრიგალაშვილს სტეფანწმინდაში დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- "სკა-ენერგიაში" შენი გადასვლა საბოლოდ გადაწყვეტილია?**

- დიახ, ეს ტრანსფერი გადაწყვეტილია.

**- თუმცა, შევიტყვეთ, რომ ჯერ შეკრებაზე ვერ მიემგზავრები.**

- გზები ჩაკეტილია, დიდი თოვლია და თბილისში ვერ ჩამოვაღწიე. არადა, გუნდი უკვე ისრაელში გაემგზავრა. თუმცა, დღეს ამინდი გამოვიდა და მაიმედებენ, რომ გზებს მალე გაწმენდენ.

**- ვლადიკავკაზის „ალანიამ" ტრანსფერზე დაგაყენა - ხაბაროვსკში იჯარით ითამაშებ?**

- სხვათა შორის, ასე არ არის. თუ გახსოვთ, „ალანიაში" ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გადავედი და მხოლოდ სამთვიანი კონტრაქტი გავაფორმე. ხელშეკრულება დეკემბერში დამიმთავრდა და თავისუფალი აგენტი გავხდი. ასე რომ, კლუბი ტრანსფერზე ვერ დამაყენებდა, უბრალოდ, კონტრაქტი არ გავაგრძელეთ.

**- "ალანიას" ვერ შეეწყვე?**

- რა გითხრათ, საამისოდ, დიდი დროც არ მქონია. რას ვიზამთ, ყველაფერი ხდება. ასე გადაწყვიტეს და სხვა რა გზა იყო, წამოვედი.

**- პრემიერლიგის შემდეგ პირველ ლიგაში თამაში მომხიბვლელი პერსპექტივა არ უნდა იყოს.**

- გასაგებია, მაგრამ საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნება აღარ მსურდა. სჯობს, ისევ რუსეთის პირველ ლიგაში ვითამაშო. ხაბაროვსკში წასვლა ჩემმა მენეჯერმა მამუკა ჯუღელმა მირჩია – რუსეთში უფრო მეტ ყურადღებას მომაქცევენ და ფეხბურთელისთვის მეტი პერსპექტივაც არის. "სკა-ენერგია" კი პრემიერლიგაში გადასასვლელად იბრძვის. ასე რომ, უინტერესო წინადადება არ ყოფილა.

**მერაბ მამულაშვილი**

● მერანი

## ახალწვეულებს მალე გამოაცხადებენ



მალხაზ ჟვანია

მარტვილელები სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას 20 იანვრიდან დაიწყებენ. საწყის მოსამზადებელ ეტაპს "მერანი" მარტვილში გაივლის, რის შემდეგაც ურეკში გადაინაცვლებს. გეგმის მიხედვით, **მალხაზ ჟვანიას** გუნდმა ზღვისპირეთში 12-დან 23 თებერვლამდე უნდა დაჰყოს, მაგრამ შესაძლოა, გრაფიკში ცვლილებები დიდთოვლობამ შეიტანოს. სათადარიგო ვარიანტად მარტვილელები თბილისში მომზადებას განიხილავენ.

ჯერჯერობით, "მერანის" ახალწვეულთა შესახებ ახალი არაფერია. კლუბი გაძლიერებას ცდილობს და რამდენიმე ფეხბურთელთან აწარმოებს მოლაპარაკებას, მაგრამ საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე ამ მოთამაშეთა გვარებს არ ასახელებენ.

უკვე ცნობილია ერთი ფეხბურთელი, რომელმაც "მერანი" დატოვა. ეს განაპირა მცველი **გიორგი მჭედლიშვილია**, ის კარიერას "ვიტ ჯორჯიაში" გააგრძელებს.

შეგახსენებთ, გაზაფხულზე "მერანი" უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს. დღეისათვის ჟვანიას გუნდს ქვედა ექვსეულში 23 ქულა აქვს და გასავარდნ ზონას 10 ქულით უსწრებს. "მერანს" შეუძლია, მთელი კონცენტრაცია ჩემპიონატზე მოახდინოს, რადგან საქართველოს თასის გათამაშებას მეთექვსმეტედფინალიდან გამოეთიშა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებურები უცხოეთში

# გიორგი ჩიხრაძე: აზარტიც, კონკურენციაც...

საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ აზერბაიჯანის ჩემპიონატს ბაქოს „ინტერი" ლიდერობს, ზაქათალის „სიმურგი" კი მეორე ადგილზეა. ეს ამბავი იმიტომ გვაინტერესებს, რომ ორივე გუნდს ქართველი სპეციალისტები, კახა ცხადაძე („ინტერი") და გიორგი ჩიხრაძე („სიმურგი") წვრთნიან.

ცხადაძემ აზერბაიჯანში იმ დროისთვის უკვე დაშლილი თბილისის "ამერის" მთავარი მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე ასისტენტად წაიყვანა. ერთად სამი წელი იმუშავეს, მაგრამ 2012 წელს გიორგის ზაქათალის "სიმურგის" გაწვრთნა შესთავაზეს და ჩიხრაძემაც მუშაობა დამოუკიდებლად გააგრძელა.

აზერბაიჯანში ჩიხრაძემ მშვენიერ შედეგს მიაღწია: შარშან გასავარდნად განწირული არც ისე მდიდარი "სიმურგი" წლეულს ლიდერებს ეომება და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე წამოსკუპდა. ჩვენმა მეზობლებმა ბოლო წლებში ფეხბურთი რომ განავითარეს, მიმდინარე ევროთასებზე ბაქოს "ნეფთჩის" გამოსვლაც ადასტურებს და 44 წლის ქართველი სპეციალისტის წარმატებული საქმიანობაც სასიხარულოა.

**გიორგი ჩიხრაძეს** ინტერვიუ აზერბაიჯანში გამგზავრებამდე ჩამოვართვით.

**- ზაქათალის "სიმურგის" შედეგები ძნელი ასახსნელია, გუნდი ბევრად უარესად არის დაკომპლექტებული, ვიდრე თქვენს მიერ ჩამოტოვებული გუნდების უმრავლესობა.**

- "ინტერში" რომ ვმუშაობდი, ზაქათალელთა პრეზიდენტს შევუთანხმდი, რომ "სიმურგს" ახალი სეზონიდან ჩავიბარებდი. მაგრამ შარშან მეორე წრეში გუნდი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა, გასავარდნთა ზონაში მყარად დამკვიდრდა და რაც მთავარია, მოთამაშეები დემორალიზებულები იყვნენ – ჩემს მისვლამდე ზედიზედ 6 შეხვედრა წააგეს, გოლი ვერ გაჰქონდათ... მოკლედ, გუნდს ძალიან უჭირდა და უფრო ადრე მიმიწვიეს. საბოლოოდ, ისე მოხდა, რომ სეზონი მე-9 ადგილზე დავასრულეთ, რაც მართლაც პატარა სასწაული იყო.

მაგრამ ტრაბახში არ ჩამომართვათ და "სიმურგის" ახლანდელი მე-2 ადგილი არანაკლებ სასწაულია და აზერბაიჯანში მართლაც ყველას უკვირს. ეს გუნდში განხორციელებულმა საკადრო ცვლილებებმა და სწორმა გეზმა განაპირობეს. ბევრი მოთამაშე ჩვენს მოთხოვნებს აშკარად ვერ აკმაყოფილებდა და აბსოლუტურად ყველა ლეგიონერი და რამდენიმე ადგილობრივი გავუშვი, სულ 13 მოთამაშე.

**- მაშინ აზერბაიჯანულ მედიაში ცინიკური სტატიები გამოჩნდა, ჩიხრაძე ახლა სიტუაციით ისარგებლებს და ქართველებს ჩამოიყვანსო.**

- (იცინის) ასეთი მოლოდინი მართლაც ჰქონდათ, ეტყობა, ქართველებს უთავისუფლებს გზასო. მაგრამ სეზონი დაიწყო და არც ერთი ქართველი არ ამიყვანია.

**- ისე, მართლაც გასაკვირია: "სიმურგში" ჩვენებურებს რატომ არ იწვევთ?**

- ვერ ვიტყვი, რომ ქართველების აყვანას ვეწინააღმდეგები. თუ ჩვენს მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, სიამოვნებით ავიყვან. რამდენიმე მოთამაშის მიწვევა მსურდა კიდეც, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ზოგს კლუბებთან კონტრაქტი აკავშირებდა, ზოგსაც ფინანსურად ვერ შევწვდით. სამწუხაროდ, "სიმურგი" დიდი ფინანსებით არ გამოირჩევა. ახლაც სამ კონკრეტულ პოზიციაზე გვსურდა მოთამაშეების დამატება, მაგრამ კვლავ იგივე პრობლემას წავაწყდით. ამიტომ 2 ლეგიონერი და ერთი ადგილობრივი მივიწვიეთ.

... იმას ვამბობდი, ერთი ქართველიც რომ არ ამიყვანია, მიხვდნენ, რომ გუნდის საჭიროებიდან გამოვდიოდი და არა ანგარებიანი მოსაზრებებით. საერთოდ, "ჩემი ფეხბურთელები" არასოდეს მყოლია - ასეთი რამ ხომ გუნდზე ცუდად მოქმედებს. მე ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება გადავწყვიტე, სხვა არჩევანი არც მქონდა.

**- რატომ არ გქონდათ?**

- იმიტომ, რომ "სიმურგი" წამყვან აზერბაიჯანულ კლუბებს ბიუჯეტით ბევრად ჩამორჩება და დიდი არჩევანის საშუალება არ გვაქვს. ლიდერებს სახელიანი ფეხბურთელების ჩამოყვანაში ვერ შევეჯიბრებით. მათთვის კონკურენციის გასაწევად ბრძოლისუნარიანი გუნდი უნდა ჩამოგვეყალიბებინა და მოსამზადებელი ეტაპი კარგად გამოგვეყენებინა. ასეც მოხდა, საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ 33 ქულით მეორე ადგილზე ვართ და არ შეიძლება, ეს ამბავი არ მახარებდეს.

**- ვითომ, "სიმურგის" სამეულში მოხვედრა რეალურია?**

- ჩვენი მიზანი ექვსეულში მოხვედრაა, სამეულზე ჯერ არ ვფიქრობთ. ბიუჯეტი დიდი ამბიციის უფლებას არ გვაძლევს. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, როდესაც შენს კონკურენტებს ბევრად ძლიერი შემსრულებლების დამატების საშუალება გააჩნიათ.



ჯერ კი ვერ დავმშვიდდები, სანამ ექვსეულის საგზურს საბოლოოდ არ გავიფორმებთ. პირველი ეტაპის 4 მატჩი კიდევ ჩასატარებელია და ჯერ თავი ქუდში არ გვაქვს: მე-7 ადგილზე მყოფი "აზალი" 11 ქულით ჩამოგვრჩება, რაც ექვსეულში მოხვედრის თეორიულ შანსს უტოვებს. ასე რომ, მეორე წრეც კარგად უნდა გავაგრძელოთ. საამისოდ, მოსამზადებელი ეტაპი კარგად უნდა გამოვიყენოთ.

**- ბოლო წლებში "სიმურგი" სეზონისთვის თბილისში ემზადებოდა. ახლაც ასე აპირებთ?**

- წლეულს ეს ტრადიცია დავარღვიეთ და თურქეთში გავემგზავრებით. ანთალიაში მშვენიერი კლიმატი და სავარჯიშო პირობებია და რაც მთავარია, ძლიერ მეტოქეებთან თამაშების საშუალება გვექნება.

**- მართალია, რომ ქართველების გაწვრთნილი "ინტერისა" და "სიმურგის" პირველ-მეორე ადგილზე წამოსკუპება აზერბაიჯანში ვილაცებს აღიზიანებს?**

- მე ასე არ ვიტყოდი. მეზობლებში ყოველთვის არის კონკურენციის მომენტი, ვინ ვის სჯობია. ნუ გაგიკვირდებათ, მათაც სურთ, აზერბაიჯანელი სპეციალისტების გუნდებმა რომ გვაჯობონ. საქართველოშიც ასე არის, ყველა ადგილობრივს სურს დაამტკიცოს, რომ ჩამოსულ მწვრთნელზე მცოდნე და მაგარია. ეს სპორტული აზარტიც არის და კონკურენციაც, არ მიკვირს და არც მაღიზიანებს, ჩვეულებრივი ამბავია.

**- საინტერესოა, თქვენი თვალით დანახული კონკურენტები: ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრილი ბაქოს "ნეფთჩი" და ბაქოს "ინტერი" - რომელი უკეთესი კლუბია?**

- "ნეფთჩი" აზერბაიჯანის ყველაზე ტრადიციული კლუბია და აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის მისი გაძლიერება და წარმატება ძალიან ბევრს ნიშნავს. ამას გარდა, ახლა ყველაზე მდიდარი კლუბიც გახდა და ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მოთამაშეების დამატების საშუალება გააჩნიათ. რა თქმა უნდა, ამით "ნეფთჩი" აზერბაიჯანში გამორჩეულია.

მაგრამ "ინტერი" კარგად ორგანიზებული კლუბი და გუნდია. ცხადაძესთან რომ ვმეგობრობ, ეს არ მალაპარაკებს, კახა აზრიანად მუშაობს და ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც მწვრთნელის ხელი ეტყობა.

მიმაჩნია, რომ ორივე ძლიერი გუნდია და ჩემპიონობისთვის მათ შორის სრულფასოვანი "ომი" გაიმართება. თუმცა, სხვა ძლიერი კონკურენტებიც ჰყავთ, "ყარაბახი", "ხაზარი", "გაბალა", იმედია, ჩვენც ღირსეულად ვიბრძოლებთ. მაგრამ, ახლა ისეთი არაპროგნოზირებადი ჩემპიონატია, წინასწარ ვერ გაიგებ, ვინ რომელ ადგილს დაიკავებს.

**- "ნეფთჩის" ბიუჯეტი მართლა 50 მილიონი დოლარია?**

- ზუსტად არ ვიცი, ვის რამხელა ბიუჯეტი აქვს. ისე, არა მგონია, ბაქოელებს ამხელა თანხა ჰქონდეთ, მაგრამ ფინანსურად ნამდვილად არ უჭირთ და ბევრად ნაკლები ბიუჯეტიც არ ექნებათ.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000 წერილმანი

დავით თავართქილაძე

## შენახული ენერგია

დღე-დღეზე **გიორგი დემეტრაძეს** გაათავისუფლებენო. ამნისტია ზოგადად ჰუმანური აქტია და ცხადია, დემეტრაძის ამბავიც სასიხარულოა.

დემეტრაძე რატომ გაეხვია შარში, ამაზე ახლა ნუღარ ვილაპარაკებთ, ამ საქმეს პოლიტიკური სარჩული გამოუკერეს და ვინ იცის, რა როგორ იყო.

ქურდულ სამყაროსთან კავშირი და "ხელის მაზი" - დემეტრაძეს ამას აბრალებდნენ წინა ხელისუფლების მომხრეები, საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ციხეში ჩასვეს.

დემეტრაძე **კახა კალაძის** მეგობარია, თუმცა გულშემატკივარს ის სულ სხვა რამის გამო უყვარდა - ფინტები, გოლები და ის მუხტი, რაც მას შემოჰქონდა მოედანზე გასვლისას. დემეტრაძის თამაშისგან სიამოვნების მიღება შეიძლებოდა.

მისი პასით გაუტანა გოლი რუსეთის ნაკრებს **მალხაზ ასათიანმა**, რუსეთთან გამარჯვება კი ერთ-ერთი იშვიათი გამონათება იყო საქართველოს ნაკრებისთვის.

იყო „ჰემპდენ პარკიც", საქართველო გლაზგოში შოტლანდიას სტუმრობდა, პირველ ტაიმში დემეტრაძემ ბდღვირი ადინა სქოთებს, საგოლე გადაცემითაც დააჯილდოვა **შოთა არველაძე**.

რომელი ერთი გავიხსენოთ...

"დემე" გარემარბი იყო, ფლანგზე მომტყუებელი, პენალტის თუ ჯარიმის უზადოდ შემსრულებელი. მას გოლებიც გაჰქონდა, 1999 წელს რუსეთის ჩემპიონატის მთავარმეგოლეც კი შეიქნა. კიევის „დინამოში" რომ თამაშობდა, ჩემპიონთა ლიგაზე საოცარი გოლი გაუტანა მიუნხენის „ბაიერნს".

დემეტრაძეს არაჩვეულებრივი იუმორი აქვს და ნაკრებში მისი ჩამოსვლა ყველას უხაროდა, გუნდში დადებითი აურა შეჰქონდა.

საქართველომ ალბანეთს 2:0 რომ მოუგო, **ალენ ჟირესმა** პრესკონფერენციაზე თქვა, არ მეგონა, თუ დემეტრაძე თავით შეაგდებდა გოლსო. ტანმორჩილი "დემეს" იუმორი გადამდებიც იყო.

დემეტრაძეს ევროპული შანსიც ჰქონდა, „ფეიენოორდშიც" ითამაშა და „რეალ სოსიედადშიც". მან ფეხბურში თითქმის ყველაფერი გამოიარა.

დემეტრაძე საქართველოს შვილია, ჩვენს ქვეყანაში კი ყველაფერი განსაკუთრებულად რთულია, მათ შორის ფეხბურთელობაც. არაერთი ქართველი ფეხბურთელი ვიცი, ფული რომ უშოვნია და მერე ტოტალიზატორის თამაშით ისე გართულა, რომ გემბლერი გამხდარა. გემბლერებს კი იმათ ეძახიან, "ხელის მაზის" თუ ტოტალიზატორის გარეშე ცხოვრება რომ არ შეუძლიათ, ნარკომანივით დამოკიდებულები არიან. არაერთ ქართველ ფეხბურთელს ამის გამო სახლ-კარი გაუყიდია, რაც ოქრო და ვერცხლი ჰქონია, ბანკში ჩაუდია, ზოგისთვის "ხელის მაზი" მხოლოდ თამაში არ იყო, ეს მაგარ ბიჭობასაც ნიშნავდა.

დემეტრაძე კი დაიჭირეს. დაიწერა წერილი, რომლითაც ქართული საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები წინა ხელისუფლებას დემეტრაძის გათავისუფლებას სთხოვდნენ. სანდო და კონფიდენციალური წყარო იმასაც გვეუბნებოდა, ეროვნული ნაკრებიდანაც იყო არაოფიციალური თხოვნა დემეტრაძის გათავისუფლებაზეო. ფაქტია: არაფერმა არ გაჭრა, სანამ ქვეყანაში ცვლილებები არ მოხდა, არადა დემეტრაძის ციხიდან გამოშვება კარგი საჩუქარი იქნებოდა საფეხბურთო მილეთისთვის.

ახლა კი უკვე იმასაც ამბობენ, დემეტრაძე ციხიდან რომ გამოვა, ბოლნისის „სიონში" იმუშავებსო. ასეა, ბევრი რამ ძალიან სწრაფად იცვლება.

■ ■ ■

ამასობაში დისკვალიფიკაცია მოისტუმრა **ლევან კობიაშვილმა** და „ვოლფსბურგის" მეორე გუნდთან გამართულ ტესტ-მატჩშიც ითამაშა. კობიაშვილის „ჰერტა" მეორე ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა და აღზევებისთვის იბრძვის. კობიაშვილს კლუბთან კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულში უმთავრდება და ცხადია, მოტივაციაც შერჩენილი აქვს - კიდევ ერთხელ ითამაშოს ბუნდესლიგაში.

უსამართლობები ყველგან ხდება, მათ შორის სანიმუშოდ დალაგებულ-დავარცხნილ ქვეყნებშიც. **ოტო რეჰაგელმა** კობიაშვილს „ჰერტაში" კაპიტნის სამკლავური გაუკეთა, ასეთ ნდობას კი მაღალი რეპუტაცია სჭირდება.



დემეტრაძის დაპატიმრებას და კობიაშვილის დისკვალიფიკაციას ზოგი ავტომექანიკოსის გულგრილობით უყურებდა, თუმცა ესეც ალბათ ცხოვრების ნაწილია.

კობიაშვილის დისკვალიფიკაცია მართლაც შემთხვევითობა იყო, "კობი" შემთხვევით დაეჯახა **ვოლფგანგ შტარკს** - ამ ამბავს ყველა ასე ჰყვება, ჩვენებურის რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ არც „ჰერტას" დაუყენებია.

კობიაშვილის და დემეტრაძის ამბავი ძალაუნებურად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანმა უნდა შეინახოს ენერგია შემთხვევითობისთვის, რადგან მას გამოფიტული არ შეხვდეს უბედური ბებერივით.

ფუტსალი

# ინგლისი და ამერიკა გვეწვევიან?

დღეს მალტიდან დაბრუნდება საქართველოს ფუტსალის ნაკრები, რომელმაც კუნძულზე დასრულებულ საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში საქართველო ინგლისს შეხვდა და 2:2 ითამაშა.

შესაძლოა, ეს გუნდები შემოდგომაზე ერთმანეთს კვლავ დაუპირისპირდნენ. როგორც ფუტსალის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ბექა კვიციანმა** გვითხრა, მალტაზე ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსან **საიმონ უოლკერთან** შეხვედრაზე სპარინგის გამართვის თემა წამოიჭრა და ბრიტანელებმა **ავთანდილ ასათიანის** გუნდთან თამაშზე წინასწარი თანხმობა განაცხადეს.

*"მოლაპარაკების მიხედვით, ინგლისის ფუტსალის ნაკრები თბილისს სექტემბერში ან ოქტომბერში ეწვევა და ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. ინგლისის ფედერაცია საქართველოს ფუტსალის ასოციაციიდან ოფიციალურ მოწვევას უახლოეს კვირაში ელოდება"* – გვითხრა კვიციანმა.

ამას გარდა, საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ თბილისში ორი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად, აშშ-ს ფეხბურთის გენერალურ მდივანს **დენი ფლინს** მოწვევა გაუგზავნა. კვიციანი უკვე ელაპარაკა ამერიკელთა მთავარ მწვრთნელ **კეიტ ტოზერს**, რომელიც თანახმაა, აღნიშნული მატჩი საქართველოში ჩატარდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ქართული ფეხბურთი

● საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპის შეჯამება — დინამო (თბილისი) - ლიდერი!

# ოთხწლიანი ლოდინის დასასრული...

## ტკბილ-მწარე პარალელები



დუშან უჰრინი — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

თანამედროვე კი არა, საერთოდ, ფეხბურთში მარადიული არაფერია და, როცა იქნებოდა, თბილისის „დინამოს" წარუმატებელი სერიაც უნდა დასრულებულიყო; მართალია, წინ გადამწყვეტი, მეორე ეტაპია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბი რომ ჩემპიონობის ერთ-ერთი (უფრო ზუსტად, უმთავრესი) ფავორიტია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება! ჰო, მოენატრათ „დინამოს" ერთგულ ქომაგებს თავიანთი საყვარელი გუნდის ცხრილის სათავეში ხილვა და აი, გუნდიც ჯერჯერობით ამართლებს ფავორიტის სტატუსს: ჩემპიონატის პირველი ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა! თანაც, იშვიათზე იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენთან სეზონის ტრიუმფატორი სწორედ „ზამთრის ჩემპიონი" ხდებოდა, ანუ, „დინამომ" ამ არაოფიციალური „ტიტულის" დაბევებით ოქროს მედლებისაკენ სერიოზულზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. არადა, ზუსტად ერთი წლის წინ, როცა წინა ჩემპიონატის პირველ ეტაპს ვაჯამებდით, „დინამოს" სამომავლო პერსპექტივას ერთობ პესიმისტურად ვაფასებდით და ამაში ქვემოთ მოყვანილი ამონარიდითაც დარწმუნდებით: „ნაადრევი დასკვნისგან ყოველთვის თავის შეკავება სჯობს, მაგრამ ვერც რეალობას გავექცევით: ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულიანმა კლუბმა შესაძლოა, ზედიზედ მეოთხე სეზონი დაამთავროს ოქროს მედლების გარეშე! ასეთი რამ კი საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში არასდროს მომხდარა, ისე როგორც ის ფაქტი, თბილისის „დინამოს" სეზონი პირველ სამეულს მიღმა რომ დაემთავრებინოს. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „დინამო" თასისათვის ბრძოლას ერთობ ნაადრევ ეტაპზე (მერვედფინალში) გამოეთიშა, რეალური საშიშროებაა გუნდი ევროტურნირების საგზურის გარეშეც დარჩეს!" „დინამოს" ერთგულ ქომაგთა სამწუხაროდ, ეს ჩვენი პესიმისტური ვარაუდი გამართლდა: „დინამომ" წინა სეზონი სამეულს მიღმა დაასრულა და პირველად დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში, ევროტურნირებზეც ვერ იასპარეზა! თუმცა, მოვლენების ასეთ განვითარებას კლუბის მეპატრონე და პრეზიდენტი **რომან ფიფია** რომ არ შეეგუებოდა, ყველასათვის ცხადი იყო და ამ სეზონის დაწყების წინ სერიოზული საკადრო ცვლილებებიც განახორციელა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ახალი ფეხბურთელების მოყვანას არ ვგულისხმობთ: კლუბის ერთ-ერთ ხელმძღვანელად დაბრუნდა **ბუბა ტყავაძე**, ხოლო გუნდის მთავარ მწვრთნელად ჩეხი სპეციალისტი **დუშან უჰრინი (უმცროსი)** დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი საჩემპიონო ტიტული „დინამომ" დღევანდელი მწვრთნელის მამის, **დუშან უჰრინი-უფროსის** ხელმძღვანელობით მოიპოვა (2008 წელს). და აი, უჰრინების საფეხბურთო დინასტიის უმცროს წარმომადგენელს საქართველოს ჩემპიონატში მშვენიერი დებიუტი ჰქონდა: „დინამო" მართლაც საჩემპიონო ფეხბურთს უჩვენებს და, რაც მთავარია, სუპერ-შედეგიანობითაც გამოირჩევა! თავად განსაჯეთ: პირველ ეტაპზე „დინამომ" 2 და მეტი ბურთის სხვაობით 13 მატჩი მოიგო, მეტოქეთა კარში კი საშუალოდ, შეხვედრაში 3 ბურთი გაჰქონდა!

### მეკარე

ამ რგოლში, ერთის მხრივ, სანერვიულო არაფერი უნდა იყოს: „დინამოს" კარს ხომ დღესდღეობით საქართველოს საუკეთესო მეკარე **გიორგი ლორია** იცავს! თუმცა, ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩატარებულ მართლაც ზღაპრულ მატჩში მიღებული ტრავმის გამო 26 წლის მეკარეს გარკვეული დრო გაუცდა, მერე ამას ოპტიმალური ფორმის „აკრეფასთან" დაკავშირებული პრობლემებიც მოჰყვა, თუმცა გიორგი ლორია რომ გუნდში და ნაკრებში უკონკურენტოა, ამას წყალი არ გაუვა. აუგს ვერც ლორიას დუბლიორებზე ვიტყვით: 22 წლის **თორნიკე ზარქუასა** და 26 წლის **კოკა სეფიაშვილზე.**

### დაცვა

ალბათ, თავშივე უნდა გვეთქვა: „დინამოს" წარმატებული თამაშის ერთ-ერთი საწინდარი მთავარი მწვრთნელის „ჯიუტად" არჩეული სტაბილური შემადგენლობაა; ჰო, მხოლოდ და მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში თუ მიმართავდა დუშან უჰრინი შემადგენლობაში როტაციას, თორემ, უმეტეს შემთხვევაში, მოედანზე ერთი და იგივე 11 ფეხბურთელი გამოდიოდა. აი, თუნდაც დაცვის ხაზი ავიღოთ: 27 წლის **გიორგი სეთურიძე** მარჯვენა ფლანგზე უკონკურენტოა, ისე როგორც გამოცდილ ცენტრალურ მცველთა დუეტი: 31 წლის **ოთარ ხიზანეიშვილი** და 33 წლის **გივი კვარაცხელია;** აი, რაც შეეხება მარცხენა ფლანგს, 24 წლის **გიორგი რეხვიაშვილს** სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა ახალწვეულის, 21 წლის **დარკო გლიშიჩის** სახით. დაცვის ლიდერად კი ხანმოკლე პაუზის მერე გუნდში დაბრუნებული გივი კვარაცხელია უნდა მივიჩნიოთ: პირველ ეტაპზე ყველა მატჩი რომ ჩაატარა და 3 გოლიც გაიტანა.

### ნახევარდაცვა

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: წინა სეზონში (უფრო ზუსტად, მეორე ეტაპზე) „დინამოში" ნაკლებად ენდობოდნენ **მიკელ ალვაროს;** არადა, 30 წლის ბასკი ნახევარმცველი ამ სეზონში „დინამოს" ერთ-ერთი ლიდერია და შესაშური შედეგიანობითაც გამოირჩევა: 11 გოლი გაიტანა! წინა სეზონთან შედარებით მკვეთრად მოუმატა **გიორგი მერებაშვილმაც:** 26 წლის შემტევი „დინამოს" შეუცვლელი ფეხბურთელია, თუმცა უფრო მეტიც რომ შეუძლია, ამაში, ალბათ, ბევრი დაგვეთანხმება. კარგად დაიწყო სეზონი **კარლეს კოტომ,** თუმცა 24 წლის მარჯვენა გარემარბმა ტრავმა მიიღო და ბევრი მატჩი გაუცდა; „დინამოს" წარმატებაში უდიდესი წვლილი შეაქვთ საყრდენ ნახევარმცველებსაც: 24 წლის **ირაკლი ძარიასა** და 27 წლის **ლევან ხმალაძეს.** ეს უკანასკნელი „დინამოს" ყველაზე სტაჟიანი ნევრია და ერთგულად რამდენიმე პოზიციაზე წარმატებით ასპარეზობს.

### თავდასხმა

სეზონის დაწყების წინ „დინამოში" ახალი ცენტრფორვარდი ჩაირიცხა: 29 წლის **ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი,** თუმცა ესტონეთის ნაკრების თავდამსხმელის ტრანსფერს წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. რასაც ვერ ვიტყვით „დინამოს" მეორე ახალწვეულზე, 27 წლის **ჯაბა დვალზე** - საქართველოს ჩემპიონატის ბოლო წლების საუკეთესო ბომბარდირმა თავის ძველ-ახალ გუნდშიც გამოავლინა სნაიპერული თვისებები და 18 მატჩში 16 გოლის გატანა „მოასწრო"! ყველაზე „ტკბილი ლუკმა" კი ბოლოსკენ შემოვინახეთ: 32 წლის **ჩისკო** „დინამოს" კი არა, საერთოდ, ჩემპიონატის უპირველესი ვარსკვლავია! გამოცდილი ესპანელი შემტევის თამაშის ცქერა ერთი სიამოვნებაა და არც ის არის შემთხვევითი, რომ საუკეთესო ბომბარდირთა დავას 17 გოლით სწორედ ჩისკო ლიდერობს. შედარებისათვის: წინა სეზონში ჩისკომ 25 მატჩში 15 გოლი გაიტანა, ახლა კი ეს მაჩვენებელი პირველივე ეტაპზე გააუმჯობესა...

### საუკეთესო მატჩი

წინა სეზონს ვიხსენებდით და ის კი „დაგვავიწყდა", რომ „დინამომ" პირველი ეტაპი 5 წაგებით დაასრულა და მხოლოდ ერთადერთხელ იყო, ძლიერ მეტოქესთან („ტორპედოსთან") საუკეთესო ფეხბურთი რომ უჩვენა. ახლა კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და რამდენიც გნებავთ, იმდენი მატჩის გახსენება შეიძლება პირველ ეტაპზე, „დინამოს" თამაში მხოლოდ ქებას რომ იმსახურებდა, თუმცა, გამორჩეული მაინც „დილასთან" საშინაო გამარჯვება იყო: უშუალო კონკურენტს დიდი ანგარიშით (3:0) ხომ მოუგო, მეტოქეც აშკარად დაჯაბნა და, საერთოდაც, თამაშის მაღალმა ხარისხმაც სასიამოვნოდ გაგვაოცა.

### ყველაზე ცუდი მატჩი

მიმდინარე სეზონში „დინამო" ერთადერთი გუნდია, საკუთარ მოედანზე 11-ვე მატჩი რომ მოიგო (ბურთების სხვაობა ხომ საერთოდ შთამბეჭდავია: 43-11). თუმცა, საჩემპიონო ამბიციების მქონე გუნდს სტუმრად უფრო უკეთ ასპარეზობაც მოეთხოვება. ყველაზე ცუდ მატჩად, რაღა თქმა უნდა, V ტურში „დილასთან" სტუმრად განცდილი მარცხი იყო; იმავეს თქმა შეიძლებოდა XVII ტურში მცხეთაში, „ვიტ ჯორჯიასთან" ჩატარებულ შეხვედრაზეც. თუმცა ამას ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოჰყვა...

### ლიდერი

ახალმა მწვრთნელმა გუნდში ახალი იდეები მოიტანა, „დინამო" 4-4-2-ზე „გადააწყო" და, რაც მთავარია, ყველა რგოლში ლიდერი ჰყავს: კარში - გიორგი ლორია, დაცვაში - გივი კვარაცხელია, შუახაზში - მიკელ ალვარო, თავდასხმაში - ჩისკო. იმედია, მეორე ეტაპზე ამ სიას ჯაბა დვალიც შეუერთდება.

### მიზანი

ოთხწლიანი ლოდინის შემდეგ „დინამოს" ერთადერთი მიზანი აქვს: ჩემპიონობა! თუმცა, ნუ გამოვრიცხავთ, რომ გუნდმა „დუბლის" შესრულებაზეც იფიქროს: ერთ სეზონში ჩემპიონატის ოქროს მედლები და თასი უკანასკნელად გუნდმა 2003 წელს მოიპოვა. ჰოდა, 10-წლიანი პაუზის შემდეგ „დინამოს" ამ მიღწევის გამეორების მშვენიერი შანსი ეძლევა. კვალიფიციური მწვრთნელი, სტაბილური შემადგენლობა და, რაც მთავარია, მშვენიერზე მშვენიერი საწვრთნელი ბაზა, - გუნდს არანაირი ყოფითი თუ სავარჯიშო პირობები არ აწუხებს და ეს, რაღა თქმა უნდა, კლუბის მეპატრონისა და პრეზიდენტის, რომან ფიფიას დამსახურებაა.

დაბოლოს, ერთგულ ქომაგებზეც: „დინამოს" ფან-კლუბი შინ თუ გარეთ, თავის საყვარელ გუნდს მხარდაჭერას არ აკლებს და ასეთი ერთგულებისათვის ეს ახალგაზრდებიც, უდავოდ, ქებას იმსახურებენ.

**გია ტუხაშვილი**

*P.S.* ეს ყველაფერი ზემოთქმული კარგია, მაგრამ მართლაც თვალისმომჭრელი და ჩინებულად გაკეთებული დიღმის საწვრთნელი ბაზა (მხოლოდ გადმოცემით რომ ვიცით) ქართულმა სპორტულმა მედიამ როდის უნდა იხილოს თუ შეაფასოს საკუთარი თვალით?..



დინამოს გამოკვეთილი ლიდერი ჩისკო (ბურთით) — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

**დინამოს ყველა მატჩი პირველ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | მეტალურგი - დინამო | 0:1 |
| II ტური | დინამო - ტორპედო | 3:2 |
| III ტური | დინამო (ბთ) - დინამო | 0:3 |
| IV ტური | დინამო - კოლხეთი | 5:0 |
| V ტური | დილა - დინამო | 2:0 |
| VI ტური | დინამო - ვიტ. ჯორჯია | 5:0 |
| VII ტური | ჩიხურა - დინამო | 0:0 |
| VIII ტური | დინამო - სიონი | 7:2 |
| IX ტური | ზუგდიდი - დინამო | 1:1 |
| X ტური | მერანი - დინამო | 0:4 |
| XI ტური | დინამო - ზესტაფონი | 2:1 |
| XII ტური | დინამო - მეტალურგი | 3:0 |
| XIII ტური | ტორპედო - დინამო | 2:2 |
| XIV ტური | დინამო - დინამო (ბთ) | 5:3 |
| XV ტური | კოლხეთი - დინამო | 0:2 |
| XVI ტური | დინამო - დილა | 3:0 |
| XVII ტური | ვიტ ჯორჯია - დინამო | 1:1 |
| XVIII ტური | დინამო - ჩიხურა | 5:2 |
| XIX ტური | სიონი - დინამო | 0:5 |
| XX ტური | დინამო - ზუგდიდი | 2:0 |
| XXI ტური | დინამო - მერანი | 3:1 |
| XXII ტური | ზესტაფონი - დინამო | 2:1 |

მეკარეები: გიორგი ლორია - 15, თორნიკე ზარქუა - 6, კოკა სეფიაშვილი - 1;

მცველები: გივი კვარაცხელია - 22 (3), გიორგი სეთურიძე - 21, ოთარ ხიზანეიშვილი - 19, გიორგი რეხვიაშვილი - 17, დარკო გლიშიჩი - 16, არჩილ ტვილდიანი - 6 (1), გიორგი გველესიანი - 4, დავით ხოჭოლავა - 3, ლევან კაკუბავა - 1;

ნახევარმცველები: გიორგი მერებაშვილი - 22 (6), მიკელ ალვარო - 22 (11), ლევან ხმალაძე - 21 (6), ირაკლი ძარია - 18, კარლეს კოტო - 10, ნიკა კვეკვესკირი - 8, ჯაბა ჯიღაური - 2, ირაკლი ლექვთაძე - 2, ლაშა პარუნაშვილი - 1, გიორგი პაპავა - 1;

თავდამსხმელები: ჩისკო - 20 (17), ჯაბა დვალი - 18 (16), რობერტინიო - 14 (1), ვლადიმერ ვოსკობოინიკოვი - 13 (1), ალბერტ იაგუე - 1.

მთავარი მწვრთნელი: დუშან უჰრინი (I-XXII)

| ად | გუნდი | სულ: თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | გაშვ | ქ | შინ: თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | გაშვ | ქ | სტუმრად: თ | მ | ფ | წ | ბურთები: გატ | გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. იურგენ კლოპი

# რეალისთვის არ მცალია!

## დორტმუნდის თავკაცი მეორე წრის დაწყებას მოუთმენლად ელის

გერმანიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა დორტმუნდის „ბორუსიამ" ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის პირველი წრე მესამე ადგილზე დაამთავრა და ლიდერ „ბაიერნს" 12 ქულით ჩამორჩა. ვერ ვიტყვით, რომ დორტმუნდელებმა შარშანდელთან შედარებით რეგრესი განიცადეს - უბრალოდ, მოწოდების სიმაღლეზე ძველებურად ველარ იდგნენ და თანაც, ახლა „ბაიერნი" თამაშობს გამაოგნებლად კარგად. თუმცა „დორტმუნდი" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გავიდა და ექსპერტების საკმაოდ დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის მოგება შეუძლია - „ბორუსია" ჩემპიონთა ლიგის ფავორიტთა შორის თვით სერ ალექს ფერგიუსონმა და ჟოზე მოურინიომაც კი დაასახელეს. დორტმუნდელთა თავკაცი იურგენ კლოპი, რომელიც „კიკერმა" გერმანული ფეხბურთის 2012 წლის პერსონად აღიარა, მეორე წრის დაწყებას მოუთმენლად ელის. გთავაზობთ ინტერვიუს 45 წლის სპეციალისტთან, რომელზეც უკვე „რეალის" ფანებიც ოცნებობენ და რომელიც გუშინ გაზეთმა „ბილდმა" გამოაქვეყნა.

**- ჰერ კლოპ, რატომ ჩაიქნიეთ ხელი გერმანიის ჩემპიონობაზე?**

- რომ მეთქვა, 12-ქულიანი ისე ჟღერს, თითქოს ძალიან ბევრია, მაგრამ სინამდვილეში არც ისე ბევრია-მეთქი, დარწმუნებული ვარ, მკითხავდით, ხომ არ გააფრინეთო და მართალიც იქნებოდით. პირველი წრის შემდეგ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ ცხადია, სეზონის მეორე ნახევარში „ბაიერნისთვის" გაჩემპიონებაში ხელის შეშლა მხოლოდ თვითონ „ბაიერნს" შეუძლია. მე კი არა მგონია, რომ ეს „მოახერხონ".

**- რატომ გამორიცხავთ იმას, რომ შესაძლოა „ბაიერნს" მეორე წრეში კრიზისი დაეწყოს?**

- იმიტომ, რომ მთელი გუნდი მოწოდების სიმაღლეზე დგას, დაძაბულია, კონცენტრირებული და საქმეს არ უჩანს ისეთი პირი, რომ მიუნხენელები მოდუნდებიან. სხვათა შორის, მათი ასეთი მონდომება და კონცენტრაცია სწორედ ჩვენი დამსახურებაა. დორტმუნდის „ბორუსიამ" ორი სეზონი ისე ჩაატარა, რომ „ბაიერნი" აიძულა, ახალ სიმაღლეზე ასულიყო. ვფიქრობ, ბავარიელებმა ამისათვის მადლობა უნდა გადაგვიხადონ.

**- მაგრამ თუ მაინც ისე მოხდა, რომ რეკორდმაისტერს კრიზისი დაეწყო, „დორტმუნდი" რეკორდმაისტერის უმთავრესი კონკურენტი იქნება?**

- ჩვენ უდიდესი ამბიციები გვაქვს და გვინდა, რომ მეორე წრეში მაქსიმალურად ბევრი ქულა ავიღოთ, მაგრამ ფაქტია, „ბაიერნს" 12 ქულით ჩამოვრჩებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუნხენელთა მდევრები კი არა, დამკვირვებლები უფრო ვართ.

**- პირველი წრის ყველაზე სენსაციური გუნდი ფრანკფურტის „აინტრახტი" იყო. რომელ კლუბს უწინასწარმეტყველებთ სერიოზულ პროგრესს სეზონის მეორე ნახევარში?**

- ჩემს გუნდს! ჩვენ ისე უნდა მოვუმატოთ, რომ ყველა გაოცდეს. ეს აუცილებელიცაა. ბუნდესლიგის მეორე წრის დაწყებას დორტმუნდში ყველანი მოუთმენლად ველით. გარდა ამისა, ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლაცაა. გერმანიის თასის მოგებაც გვინდა და სულაც არაა ცუდი ის, რომ მეოთხედფინალში „ბაიერნს" ვხვდებით - ვისაც გერმანიაში ტიტულის მოგება უნდა, „ბაიერნი" უნდა დაამარცხოს. ეს ხომ დაუწერელი კანონია. შესაბამისად, ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ - რეკორდმაისტერი კიდევ ერთხელ უნდა დავამარცხოთ.

**„ბაიერნმა" მადლობა უნდა გადაგვიხადოს!"**

**- „რეალის" გულშემატკივრებს შორის გამოკითხვა ჩატარდა და სამეფო გუნდის ფანების უმეტესობას თქვენი კანდიდატურა მოსწონს...**

- ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ „რეალთან" ძალიან კარგად ვითამაშეთ. როგორც ჩანს, მადრიდის პუბლიკას „დორტმუნდის" ფეხბურთი ძალიან მოეწონა. ან, შესაძლოა, „რეალის" ფანებს უბრალოდ გერმანელი სპეციალისტი სურთ. საქმე ისაა, რომ მე „რეალისთვის" არ მცალია.

**- ნური შაჰინის „დორტმუნდში" დაბრუნებაზე რა აზრის ხართ?**

- ყველამ იცის, რომ შაჰინი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი შეგირდი იყო. საიდუმლო არც ისაა, რომ ნურისთან კავშირი მისი „დორტმუნდიდან" წასვლის შემდეგაც მქონდა.

**- იქნებ შაჰინს სწორედ თქვენ სჭირდებით იმისათვის, რომ საუკეთესო ფორმაში იყოს?**

- ამას ასე არ ვიტყოდი. ნური შაჰინი შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელსაც „რეალში" თავის დამკვიდრება შეეძლო, მაგრამ მადრიდში ტრავმიანი წავიდა და ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. მერე „ლივერპულში" გაანათხოვრეს და არ ვიცი, როგორი თვალით უყურებდა მას მერსისაიდელთა მწვრთნელი ბრენდან როჯერსი. მე შაჰინს გამთამაშებლად არ ვათამაშებდი...

**- ივან პერიშიჩი „ვოლფსბურგში" გადავიდა და ამბობს, კლოპს ჩემთვის არასდროს უთქვამს, რატომ არ მათამაშებდაო...**

- მე ძალიან კარგი გუნდი მყავს, სადაც შესანიშნავი ფეხბურთელები თამაშობენ და გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ზოგიერთი მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ვერ ითამაშებს. პერიშიჩს უდიდესი პოტენციალი აქვს, რომელიც, სამწუხაროდ, „დორტმუნდში" ვერ გამოავლინა, მაგრამ მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს მხოლოდ მისი ბრალი იყო. ჩვენი ბრალიც იყო და ამის აღიარება არ მიჭირს.



ყველაზე პოპულარული გერმანელი მწვრთნელი: დორტმუნდის „ბორუსიას" თავკაცი იურგენ კლოპი

ბაიერნი




# მიუნხენში როდე სერიოზული თემაა

## ზამერმა ხომ თქვა, აქცენტს გერმანელი ფეხბურთელების ტრანსფერებზე გავაკეთებთო...

რამდენიმე დღის წინ „ბაიერნის" სპორტული დირექტორის, **მათიას ზამერის** ახალი განცხადება გაგაცანით – რეკორდმაისტერის 45 წლის მენეჯერი ამბობდა, ამიერიდან, ტრანსფერებზე ფიქრის დროს აქცენტს გერმანელ ფეხბურთელებზე გავაკეთებთო. ამ განცხადებას წინ უძღოდა „მაინცის" ახალგაზრდა უკანახაზელის, 22 წლის **იან კირხჰოფის** ტრანსფერი – გადაწყდა, რომ ეს უკანასკნელი ბავარიულ გრანდში ზაფხულში უფასოდ გადავა („მაინცთან" კონტრაქტი უმთავრდება). კირხჰოფმა „ბაიერნში" სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა და კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბავარიელებმა მიზანი ახლა ფრანკფურტის „აინტრახტის" უნიჭიერეს საყრდენ ნახევარმცველ **სებასტიან როდესკენ** მიმართეს.

„ბილდის" ინფორმაციით, ზამერმა „ბაიერნის" მთავარი შეფები, ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და პრეზიდენტი **ული ჰიონესი** იმაში დაარწმუნა, რომ 22 წლის როდე რეკორდმაისტერში გადასვლის ღირსია. ფრანკფურტელი ფეხბურთელი, რომელსაც „აინტრახტთან" ხელშეკრულება 2014 წლამდე აკავშირებს, მიმდინარე სეზონში ბრწყინვალედ ასპარეზობს და თანაც, გერმანიის ოთხი სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრი იყო, ახლა კი 21-წლამდელთა ბუნდესგუნდის ერთ-ერთი უმთავრესი მოთამაშეა. ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა როდე პირველი წრის უმთავრეს აღმოჩენად დაასახელეს.

ფრანკფურტში როდეს წასვლის შესახებ არაფრის გაგონება არ უნდათ: *„სებასტიან როდე ჩვენი გუნდის წარმატების გარანტიაა. „აინტრახტის" თითქმის ყველა გოლი მის მიერ წამოწყებული შეტევით გადის. ასე რომ, 2013 წელს მისი გაყიდვა ნამდვილად არ გვინდა. ეს უდიდესი რისკი იქნებოდა. გვინდა, რომ სებასტიანს ახალი კონტრაქტი შევთავაზოთ,"* - ეს „აინტრახტის" შეფ **ბრუხჰაგენის** კომენტარია.

### როდე ზამერის და დორტმუნდის ფანია

გერმანელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს მხოლოდ მანევრია და ბრუხჰაგენს ამით ფეხბურთელისთვის ფასის აწევა სურს, რადგან გამორიცხულია, ფრანკფურტელებს ის უნდოდეთ, რომ ნამყვანი ფეხბურთელი 2014 წლის ზაფხულში უფასოდ დაკარგონ. „ბილდის" ინფორმაციით, ბავარიული გრანდი „აინტრახტს" როდეს სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს შესთავაზებს.

აღსანიშნავია, რომ როდე დორტმუნდის „ბორუსიას" სასურველი ფეხბურთელების სიაშიცაა და სხვათა შორის, სებასტიანის საყვარელი ფეხბურთელი სწორედ მათიას ზამერი იყო – ის ზამერი, რომელიც ახლა „ბაიერნის" სპორტული დირექტორია და მის ტრანსფერს ლობირებს. თუმცა კლუბებს შორის როდე ბავშვობიდან დორტმუნდის „ბორუსიას" ფანია...

**გვერდი მოამზადა**
**გოტფრიდ ლენცმა**

ცინცხალი ტრანსფერი

# ნური შაჰინი დორტმუნდში დაბრუნდა!

## რეალმა თურქი ბორუსიაში წლინახევრით გაანათხოვრა

**ოთხშაბათის ნომერში ნური შაჰინის დორტმუნდის „ბორუსიაში" დაბრუნებაზე ვწერდით და მოსალოდნელი ტრანსფერი გუშინ შედგა: მადრიდის „რეალში" და „ლივერპულში" წარუმატებელი ცდების შემდეგ, 24 წლის თურქი საყრდენი ნახევარმცველი იმ კლუბში დაბრუნდა, საიდანაც საფეხბურთო მსოფლიომ გაიცნო. შაჰინი დორტმუნდში ოფიციალურად გუშინვე, სპეციალურ პრესკონფერენციაზე წარადგინეს. „დორტმუნდმა" და „რეალმა" 18-თვიანი საარენდო ხელშეკრულება გააფორმეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შაჰინი „ბორუსიაში" განათხოვრების წესით ითამაშებს.**

შეგახსენებთ, რომ 2010/2011 წლების სეზონში **ნური შაჰინი** „ბორუსიას" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და დორტმუნდული კლუბის ჩემპიონობაში ლომის წვლილი შეიტანა. შაჰინმა, რომელსაც თურქეთის ნაკრებში 37 მატჩი აქვს ჩატარებული, იმ სეზონში „ბორუსიას" რიგებში ბუნდესლიგის ეგიდით ჩატარებულ 30 მატჩში 6 გოლი გაიტანა და 8 საგოლე გადაცემა გააკეთა. როგორც ხედავთ, იმ სეზონში მას ბუნდესლიგაში მხოლოდ 4 მატჩი გაუცდა და ისიც ტრავმის გამო, რომელიც სეზონის მიწურულს მიიღო. მოგვიანებით, „კიკერის" გამოკითხვაში კოლეგებმა შაჰინი ბუნდესლიგის იმ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ბრწყინვალე სეზონს „რეალის" დაინტერესება მოჰყვა და თურქმა მადრიდში გადასვლაზე უარი, რა თქმა უნდა, ვერ თქვა. მის კონტრაქტში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვით 2011 წლის ზაფხულში „ბორუსიადან" წასვლა 10 მილიონ ევროდ შეეძლო და მადრიდულმა გრანდმა სწორედ ამ პუნქტის მეშვეობით შეიძინა. „რეალში" მას კონტრაქტი 2017 წლამდე გაუფორმეს, მაგრამ ნურის მადრიდული კარიერა მორიგი ტრავმით დაიწყო, რის შემდეგაც „სამეფო გუნდში" ადგილი ვერაფრით დაიმკვიდრა და მხოლოდ 4 შეხვედრაში იასპარეზა.

შესაბამისად, გასულ ზაფხულს „რეალის" თავკაცი **ჟოზე მოურინიო** მის „ლივერპულში" განათხოვრებას დათანხმდა. მაგრამ თურქი ვერც „ლივერპულში" გასცდა რეზერვისტის როლს. მართალია, ლიგის თასზე, „ვესტ ბრომვიჩთან" (2:1) დუბლი შეასრულა, მაგრამ მერსისაიდელთა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** ის არც ამის შემდეგ დააფასა. საბოლოოდ, შაჰინმა „ლივერპულის" ფორმა პრემიერლიგაში მხოლოდ შვიდ მატჩში მოირგო, მოედანზე 90 წუთი კი არც ერთხელ არ გაუტარებია.

### ბუნდესლიგის რეკორდსმენი

შეგახსენებთ, რომ შაჰინი დღემდე ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტია – მისი დებიუტი გერმანიის ჩემპიონატში 2005 წლის 6 აგვისტოს, „ვოლფსბურგთან" შეხვედრაში შედგა და მაშინ ნური 16 წლისა და 335 დღის გახლდათ. იმავე სეზონში, ნოემბერში მან „ნიურნბერგთან" პირველი ბუნდესლიგური გოლი გაიტანა და ბუნდესლიგაში ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე გახდა (17 წლის და 82 დღის). 2007/2008 წლებში ნური როტერდამის „ფეიენოორდში" გახლდათ განათხოვრებული, დორტმუნდში კი მაშინ დაბრუნდა, როცა „ბორუსიას" თავკაცად იურგენ კლოპი დაინიშნა. ამ უკანასკნელის ხელში შაჰინს აღმასვლა დაეწყო და გუნდის ლიდერი გახდა. საერთო ჯამში მას ბუნდესლიგის 135 მატჩში 13 გოლი აქვს გატანილი (28 პასი).

„ბორუსიაში" ახლა მას სერიოზული კონკურენცია ხვდება: კლოპს ნახევარდაცვის ცენტრისთვის შემდეგი ფეხბურთელები ჰყავს: **ილქაი გიუნდოგანი** (რომელიც დორტმუნდელებმა სწორედ შაჰინის შემცვლელად იყიდეს და ძალიან კარგად გამოიყურება), კაპიტანი **სებასტიან კელი, სვენ ბენდერი** და **მორიტც ლაიტნერი.** ასე რომ, ნურის გერმანიის ჩემპიონის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება გაუჭირდება.



ნური შაჰინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი. ლიგა 1. XX ტურის წინ

# ოლიმპზე მყოფი ოლიმპიკები აუტსაიდერებს ხვდებიან

**საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე წრე გუშინ ორი მატჩით დაიწყო – "სენტ ეტიენმა" "ტულუზს" უმასპინძლა, პარიზში კი "პარი სენ ჟერმენმა" "აიაჩო" მიიღო. დღეს, ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერი, "ლიონი" სტუმრად ბოლოსწინა ადგილზე მყოფ "ტრუას" ეწვევა, ხოლო მარსელის "ოლიმპიკი" თავის შეხვედრას ხვალ, ასევე სტუმრად, "სოშოსთან" გამართავს...**

| | |
|---|---|
| სტ. ეტიენი-ტულუზი | 2:2 |
| პსჟ-აიაჩო | 0:0 |

**დღეს**

| | |
|---|---|
| ტრუა-ლიონი | 20:00 |
| ნანსი-ლილი | 23:00 |
| ევიანი-ბრესტი | 23:00 |
| მონპელიე-ლორიანი | 23:00 |
| რენი-ბორდო | 23:00 |

**ხვალ**

| | |
|---|---|
| რეიმსი-ბასტია | 17:00 |
| ნიცა-ვალანსიენი | 20:00 |
| სოშო-მარსელი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 20 | 11 | 6 | 3 | 36-12 | 39 |
| 2. ლიონი | 19 | 11 | 5 | 3 | 33-17 | 38 |
| 3. მარსელი | 19 | 12 | 2 | 5 | 24-20 | 38 |
| 4. რენი | 19 | 10 | 2 | 7 | 29-24 | 32 |
| 5. ლორიანი | 19 | 8 | 7 | 4 | 32-29 | 31 |
| 6. ვალანსიენი | 19 | 8 | 5 | 6 | 31-24 | 29 |
| 7. ბორდო | 19 | 6 | 11 | 2 | 21-14 | 29 |
| 8. ლილი | 19 | 7 | 8 | 4 | 24-18 | 29 |
| 9. ნიცა | 19 | 7 | 8 | 4 | 26-26 | 29 |
| 10. სენტ ეტიენი | 20 | 7 | 7 | 6 | 26-16 | 28 |
| 11. ტულუზი | 20 | 7 | 6 | 7 | 27-22 | 27 |
| 12. მონპელიე | 19 | 7 | 5 | 7 | 29-24 | 26 |
| 13. ბასტია | 19 | 6 | 4 | 9 | 26-41 | 22 |
| 14. ბრესტი | 19 | 6 | 3 | 10 | 20-28 | 21 |
| 15. აიაჩო | 20 | 5 | 7 | 8 | 21-29 | 20 |
| 16. რეიმსი | 19 | 4 | 7 | 8 | 16-20 | 19 |
| 17. ევიანი | 19 | 5 | 4 | 10 | 22-32 | 19 |
| 18. სოშო | 19 | 4 | 4 | 11 | 17-29 | 16 |
| 19. ტრუა | 19 | 2 | 7 | 10 | 20-37 | 13 |
| 20. ნანსი | 19 | 1 | 8 | 10 | 15-33 | 11 |

*შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა*

**ბომბარდირები:** 18 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 11 – გომისი (ლიონი); 10 – ცვიტანიჩი (ნიცა); 9 – ბენ იედერი (ტულუზი), მოდესტი (ბასტია); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი), ფერე (რენი).

### ლიდერები სტუმრად აუტსაიდერებთან

საფრანგეთის თასზე შერცხვენილი "ლიონი", რომელმაც მესამე დივიზიონის აუტსაიდერ "ეპინალთან" პენალტების სერიაში წააგო, მე-20 ტურში "ტრუას" ეთამაშება და მიზნად მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას ისახავს. პირველ წრეში **რემი გარდის** გუნდმა მეტოქეს 4:1 მოუგო, მაგრამ მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, "ლიონს" საკმაოდ გაუჭირდა. "ტრუამ" იმ შეხვედრაში დაწინაურება მოახერხა, შემდეგ კი, როდესაც ანგარიში 2:1 იყო, მოედანზე 10 კაცით დარჩა, ბოლო ორი გოლი "ოლიმპიკის" ფეხბურთელებმა მატჩის ბოლო წუთებზე გაიტანეს.

მასპინძლებს 19 ტურში მხოლოდ ორი მატჩი აქვთ მოგებული, მაგრამ ამ ორიდან ერთი გამარჯვება "ტრუამ" "მარსელთან", **ბენჟამენ ნივეს** მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით მოიპოვა (1:0). სხვათა შორის, შარშან "ტრუამ" საკუთარ მოედანზე "ლიონს" 1:0 მოუგო და გოლი იქაც ნივემ გაიტანა, თანაც ასევე ბოლო წუთზე. როგორც ჩანს, ეს ფეხბურთელი "ოლიმპიკების" რისხვად ყალიბდება და რემი გარდი ყველაზე მეტად სწორედ მას უნდა უფრთხოდეს.

ლიგა 1-ის მესამე მუშკეტერი, მარსელის "ოლიმპიკი" საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში ყველაზე მეტი სეზონის ჩამტარებელ "სოშოს" ესტუმრება. მონბელიარელებს "მარსელთან" კარგი მოგონებები აკავშირებთ, რადგან სწორედ ეს გუნდი დაამარცხა "სოშომ" 2007 წელს საფრანგეთის თასის ფინალში და ის ტურნირი 1937 წლის შემდეგ პირველად მოიგო.

"მარსელი" საკმაოდ კარგ ფორმაშია – **ელი ბოპის** გუნდმა, თასის ჩათვლით, ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო (3 ლიგა 1-ში). როგორც ჩანს, სათანადო კონდიციები აკრიფა **ანდრე-პიერ ჟინიაკმაც**, ვინც რამდენიმე დღის წინ, "გენგამს" ორი გოლი გაუტანა და საკუთარ გუნდს 1/16 ფინალის საგზური მოუპოვა.

"სოშოს", მეტოქის მსგავსად, ასევე 3-მატჩიანი სერია აქვს, ოღონდ "პეჟოელებმა" სამივე მატჩი წააგეს და საერთოდ, უკვე 6 მატჩია, არ მოუგიათ. ასეთი ცუდი ასპარეზობის წყალობით, **ერიკ ელის** შეგირდები უკვე გასავარდნ ზონაში არიან და უახლოს კონკურენტებს 3 ქულით ჩამორჩებიან.

### კონკურენტების დაპირისპირება

საკმაოდ საინტერესო მატჩი უნდა გაიმართოს რენში, სადაც მეოთხეზე მყოფი "რენი" "ბორდოს" მასპინძლობს, ვისაც უკვე 6 მატჩია, არ მოუგია და ბოლო 5 ფრედ აქვს დასრულებული. **ფრანსის ჟიოს** სამწყსოს, რომელიც მეტოქეს მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება, გამარჯვების შემთხვევაში მეოთხე ადგილზე გადასვლის შანსი აქვს.

ორი კონკურენტი ხვდება ერთმანეთს ნიცაში. მასპინძლებმა, რომლებმაც წინა ტურში "ლიონთან" 8-მატჩიანი წაუგებელი სერია დაასრულეს, ხასიათი თასზე "მეცთან" მოპოვებული გამარჯვებით გამოიკეთეს. "ვალანსიენმა" კი თასზე "ისტრთან" საოცარი მატჩი წააგო – ლიგა 1-ის წარმომადგენელი შეხვედრის ბოლო წამებამდე იგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა (1:1), ამის შემდეგ დაინიშნა დამატებითი დრო, სადაც "ისტრი" ორი ბურთით დაწინაურდა, თუმცა სტუმრებმა **აბუბაკარის** და **მატერის** გოლებით ანგარიში გაათანაბრეს (3:3), მაგრამ ბოლოს პენალტების სერიაში წააგეს.

ჩემპიონატში "ვალანსიენს" საქმეები კარგად მისდის, თუმცა სტუმრად გუნდს თამაში ძალიან უჭირს. თავად განსაჯეთ: ლიგა 1-ში სტუმრად ჩატარებული ბოლო 31 მატჩიდან, "ვალანსიენმა" მხოლოდ 3 მოიგო, 8 ფრედ დაასრულდა და 20 წააგო. "ნიცა" კი ამ სეზონში, განსაკუთრებით კარგად სახლში თამაშობს, სადაც 21 ქულა აქვს ალებული, ასე რომ, ამ შეხვედრის ფავორიტი, მიუხედავად სატურნირო ცხრილში მეზობლობისა, აშკარად გამოკვეთილია.

ამ მომენტისთვის ლიგა 1-ში ყველაზე ხანგრძლივი, დაუმარცხებელი სერია სამ გუნდს აქვს. ესენი არიან: "ბორდო", "ლილი" და "ლორიანი", რომელთაც უკვე 5 მატჩია, არ წაუგიათ. "ბორდოზე" უკვე ვისაუბრეთ, "ლილი" კი ამ ტურში ხვდება გუნდს, რომელსაც ყველაზე დიდი ხანია, არ მოუგია. საუბარი, რა თქმა უნდა, ბოლო ადგილზე მყოფ "ნანსიზე" გვაქვს. აუტსაიდერებმა, ჩემპიონატში ერთადერთი გამარჯვება პირველ ტურში, "ბრესტთან", გუნდიდან უკვე წასული **იოან მოლოს** მიერ 94-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოიპოვეს და მას შემდეგ, აგერ უკვე 18 ტურია, არ მოუგიათ. მოლოსთან ერთად, რომელიც "სენტ ეტინში" გაანათხოვრეს (!), გუნდი მთავარმა მწვრთნელმა **ჟან ფერნანდესმაც** დატოვა. უმწვრთნელოდ და საუკეთესო ბომბარდირის გარეშე (მოლომ პირველ წრეში 3 გოლი გაიტანა) დარჩენილ "ნანსის" ძალიან გაუჭირდება.

კიდევ ერთი გუნდი, რომელსაც დიდი ხანია, არ წაუგია, "ლორიანი", - ამ ტურში ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს ესტუმრება, რომელსაც სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. "მონპელიეს" მე-20 ტურში ერთბაშად რამდენიმე ლიდერი დააკლდება. **იოან ბელჰანდა**, **ჟეფრი ჟურდრენი** და **სირილ ჟონშამი** დისკვალიფიცირებულნი არიან, დიდი ხანია ტრავმირებული **ქარიმ აიტ-ფანა**, ხოლო **აბდელჰამიდ ელ კაუტარი** უკვე აფრიკაშია, სადაც აფრიკის ერთა თასზე სათამაშოდ ემზადება.

ამ გუნდების პირველი წრის მატჩი "მონპელიეს" ქომაგებს დიდხანს ემახსოვრებათ. ჩემპიონი, **ემანუელ ერერას** გოლის წყალობით, ბოლო წუთამდე იგებდა, მაგრამ არბიტრის მიერ დამატებულ დროში, ანგარიში **ალენ ტრაორემ** გაათანაბრა, რამდენიმე წამში კი **ჟერემი ალიადიერმა** გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა.

დანაკლისი სტუმრებსაც აქვთ, კერძოდ უკვე ნახსენები **ალენ ტრაორე** ბურკინა ფასოს ნაკრებთან ერთად ემზადება, ხოლო **ბენჟამენ კორნე** და **ბრუნო ეკულე მანგა** ტრავმირებულნი არიან.



ჟინიაკმა "გენგამთან" დუბლი შეასრულა და "მარსელს" მოაგებინა

20-წლამდელთა კოპა ამერიკა. არგენტინა 2013

# ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი ფრე





**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ეკვადორი | 1:1 |

**გოლები:** 0:1 პარალესი (29), 1:1 ლეონი (39-საკ. კარში)

| | |
|---|---|
| ურუგვაი-პერუ | 3:3 |

**გოლები:** 0:1 რეინა (19), 1:1 ნ. ლოპესი (41), 1:2 ე. გომესი (44), 2:2 ბენტანკური (55), 3:2 როლანი (57), 3:3 ბენავენტე (87-პენ).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პერუ | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 2. ურუგვაი | 1 | 0 | 1 | 0 | 3-3 | 1 |
| 3. ბრაზილია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 4. ეკვადორი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 5. ვენესუელა | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |



ანხელ კამპოსის გმირობა

20-წლამდელთა კოპა ამერიკას B ჯგუფის მატჩებს ქალაქი სან ხუანი მასპინძლობს. გუშინ ამ ჯგუფის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა და ორივე მატჩი ფრედ დასრულდა. პირველად მოედანზე ბრაზილიის და ეკვადორის ნაკრები გუნდები გამოვიდნენ. "სელესაომ", რომელიც ბოლო სამი ახალგაზრდული კოპა ამერიკის გამარჯვებულია, ფავორიტის სტატუსი ვერ გაამართლა და მხოლოდ ქულა მოიპოვა.

ანგარიში სტუმრებმა 29-ე წუთზე გახსნეს – თავი 17 წლის **მიგელ პარალესმა** გამოიჩინა, თუმცა ზუსტად 10 წუთში, **ფერნანდო ლეონმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. ბრაზილიის 20-წლამდელთა ნაკრებს, ოფიციალურ ტურნირებზე, უკვე 10 მატჩია არ წაუგია. ბოლო მარცხი „სელესაომ" 2011 წლის 7 თებერვალს, ახალგაზრდულ კოპა ამერიკაზე, არგენტინასთან განიცადა და მას შემდეგ 7 შეხვედრა მოიგო, 3 კი ფრედ დაასრულა.

ჯგუფის მეორე მატჩი კი საოცარი სანახავი გამოდგა. ურუგვაიმ და პერუმ გულშემატკივარს 6-გოლიანი თრილერი შესთავაზეს, სადაც ჯერ პერუ იგებდა, შემდეგ ურუგვაი, საბოლოოდ კი გუნდებმა ქულა გაიყვეს. შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი 85-ე წუთზე მომხდარი ეპიზოდი იყო, როდესაც 3:2-ზე ურუგვაის სასარგებლოდ, "სელესტეს" ფორვარდი **გონსალო ბუენო** პერუელთა მეკარე **ანხელ კამპოსს** გასცდა და ბურთი ცარიელი კარისკენ გაუშვა. რაც ამის შემდეგ მოხდა, სიტყვებით რთული გადმოსაცემია, მაგრამ მაინც ვცდით: კამპოსმა, საოცარი სპრინტერული მონაცემების წყალობით, ბურთს კარის ხაზზე მიუსწრო და გამოაგდო, მაგრამ ბადეში თავად აღმოჩნდა. კართან დაახლოებით ორ მეტრში, ბურთთან პირველი ისევ ბუენო გაჩნდა, მაგრამ კარის ბადეში გახლართულმა პერუელთა კიპერმა სასწაულებრივად მოახერხა წამოდგომა, ფორვარდს ფეხებში ჩაუხტა და საკუთარი გუნდი მეორედ იხსნა. ამ ეპიზოდმა უკვე მოიარა ინტერნეტი და თუ აქამდე არ გინახავთ, აუცილებლად მოიძიეთ.

ამ მომენტმა კარგად იმოქმედა პერუელებზე, რომლებიც უპირატესობის განიავების გამო უნიათოდ გამოიყურებოდნენ. საბოლოოდ, მომდევნო შეტევაში პერუმ პენალტის დარტყმის უფლება მიიღო. 11-მეტრიანი **კრისტიან ბენავენტემ** გაიტანა და საკუთარ გუნდს ძალზედ მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა.

მიუხედავად დაკარგული ქულებისა, ამ ჯგუფს ორი აშკარა ფავორიტი ჰყავს ბრაზილიის და ურუგვაის სახით, ფინალური ჯგუფის მესამე საგზურისთვის კი პერუ, ეკვადორი და ვენესუელა იბრძოლებენ.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ევროპული ბიბლიოთეკა

## იტალია. სერია A. XX ტურის წინ

სერია A-ს XX ტურში გრანდთა დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ, თუმცა მოახლოებული ბატალიების მიმართ ინტერესი ტრადიციულად მაღალია. მთავარი ინტრიგა იმაში მდგომარეობს, დაკარგავენ თუ არა ლიდერები ქულებს და შესაბამისად, როგორ შეიცვლება სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილი.

### დღეს

**ბოლონია-კიევო 21.00**

**დისკვალიფიკაცია:** მორლეო, გუარენტე - დაინელი.

**ტრავმა:** ხიმენესი, ნატალი - ფრეი, დრამე.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 19 თამაში: +6=7-6, (21-23)

**ინტერი-პესკარა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** რანოკია, ჟუან ჟესუსი - ტონი.

**ტრავმა:** სტანკოვიჩი, ობი, კასტელაცი, ნაგატომო, კოუტინიო, ალვარესი, სამუელი - კოსიჩი, რომანიოლი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +3=0-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 1 თამაში: +1=0-0, (3-0)

### ხვალ

**ტორინო-სიენა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** მაზიელო, გაცი, ვივესი, დარმიანი - ვიტიელო, ტერცი, ანჯელო.

**ტრავმა:** დიოპი, სანტანა, ოგბონა - ლარონდო.

**ბოლო 6 მატჩი**

+1=3-2 +0=1-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 13 თამაში: +2=6-5, (9-12)

**კალიარი-ჯენოა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** აგაცი, კოსუ, პულგა - იმობილე.

**ტრავმა:** არიაუდო - ფერონეტი, იანკოვიჩი, ვარგასი.

**ბოლო 6 მატჩი**

+0=0-6 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +11=5-9, (37-33)

**კატანია-რომა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ლოდი - გუბერტი, პიანიჩი.

**ტრავმა:** შაკა, მორიმოტო, ბიაჯანტი, ალვარესი (კატანია).

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 16 თამაში: +2=6-8, (18-33)

**ლაციო-ატალანტა 18.00**

**ტრავმა:** ედერსონი, სტანკევიჩუსი, დიასი - კაპელი, ბელინი, მარილუნგო, ლუკინი.

**ბოლო 6 მატჩი**

+5=1-0 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 28 თამაში: +15=7-6, (38-22)

**ნაპოლი-პალერმო 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კანავარო, გრავა - ილიჩიჩი.

**ტრავმა:** ერნანდესი, მანტოვანი, დონატი (პალერმო).

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 17 თამაში: +7=4-6, (22-20)

**პარმა-იუვენტუსი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბენალოუანე, ლუკარელი (პარმა).

**ტრავმა:** გალოპა - მარკიზიო, პეპე, კიელინი, ბენდტნერი.

**ბოლო 6 მატჩი**

+4=0-2 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 38 თამაში: +8=12-18, (40-64)

**უდინეზე-ფიორენტინა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ოლივერა (ფიორენტინა).

**ტრავმა:** ფაბრინი, ბენეტია, ბადუ - აგაცი, კამპორეზე, როსი.

**ბოლო 6 მატჩი**

+3=2-1 +2=2-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 32 თამაში: +10=6-16, (41-53)

**სამპდორია-მილანი 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** ბერარდი - პაცინი.

**ტრავმა:** პოცი, მაქსი ლოპესი, მარესკა - დიდაკ ვილა, მესბა, დე იონგი, ბონერა, იეპესი, მუნტარი, კონსტანტი.

**ბოლო 6 მატჩი**

+2=3-1 +5=0-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 31 თამაში: +9=5-17, (30-54)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 19 | 14 | 2 | 3 | 40-13 | 44 |
| 2. ლაციო | 19 | 12 | 3 | 4 | 27-18 | 39 |
| 3. ნაპოლი | 19 | 12 | 3 | 4 | 37-18 | 37 |
| 4. ფიორენტინა | 19 | 10 | 5 | 4 | 36-21 | 35 |
| 5. ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 30-22 | 35 |
| 6. რომა | 19 | 10 | 2 | 7 | 42-33 | 32 |
| 7. მილანი | 19 | 9 | 3 | 7 | 36-27 | 30 |
| 8. პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 27-25 | 29 |
| 9. უდინეზე | 19 | 6 | 9 | 4 | 29-26 | 27 |
| 10. კატანია | 19 | 7 | 5 | 7 | 26-27 | 26 |
| 11. კიევო | 19 | 7 | 3 | 9 | 21-29 | 24 |
| 12. ატალანტა | 19 | 7 | 3 | 9 | 18-28 | 22 |
| 13. ტორინო | 19 | 4 | 9 | 6 | 20-22 | 20 |
| 14. სამპდორია | 19 | 6 | 3 | 10 | 22-28 | 20 |
| 15. პესკარა | 19 | 6 | 2 | 11 | 17-35 | 20 |
| 16. ბოლონია | 19 | 5 | 3 | 11 | 21-26 | 18 |
| 17. ჯენოა | 19 | 4 | 5 | 10 | 20-29 | 17 |
| 18. კალიარი | 19 | 4 | 4 | 11 | 17-35 | 16 |
| 19. პალერმო | 19 | 3 | 6 | 10 | 16-29 | 15 |
| 20. სიენა | 19 | 4 | 5 | 10 | 17-28 | 11 |

***შენიშვნა:*** *სიენა - 6 ქულა, ნაპოლი – 2, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 16 - კავანი (ნაპოლი); 14 – ელ შაარავი (მილანი); 12 – დი ნატალე (უდინეზე); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), ოსვალდო (რომა); 8 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), პაცინი (მილანი).

### იქნებ პესკარა მაინც...

მართალია, "პესკარამ" გასულ ტურში სენსაცია მოახდინა და გასვლაზე "ფიორენტინა" დაამარცხა, მაგრამ "ინტერთან" პაექრობაში "დელფინები" ბევრს განწირულად მიაჩნია. "ნერაძურის" ცუდი დროება უდგას, მიჯრით დაკარგა ქულები და ამ წარუმატებელი სერიის დასრულებას მილანელები სწორედ დებიუტანტის ძლევით აპირებენ.

**ანდრეა სტრამაჩონის** დაცვაში აქვს საკადრო პრობლემები, რადგან **ჟუან ჟესუსი** და **ანდრეა რანოკია** დისკვალიფიცირებულნი არიან, **ვალტერ სამუელს** კი ტრავმა აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ დაცვის ცენტრში ისევ **ესტებან კამბიასო** გაირჯება, რომელმაც წინა ტურში ამავე პოზიციაზე ბევრი შეცდომა დაუშვა. ამ შემთხვევაში, ახალგაზრდა მწვრთნელს დიდი არჩევანი არ აქვს და მისი ამგვარი გადაწყვეტილება გასაგები იქნება. ცალკე თემაა, რომ სამკაციანი დაცვის ხაზი, რომელიც სათამაშო პრაქტიკას მოკლებული **სილვესტრით,** ნახევარმცველი კამბიასოთი და მობერებული **კივუთი** იქნება დაკომპლექტებული, მილანელებს სიმშვიდის განცდას ნამდვილად არ დაუტოვებს. "ინტერი" ალბათ სამი ფორვარდით შეუტევს, ტრიო კი ნაცადი იქნება: **ანტონიო კასანო, დიეგო მილიტო** და **როდრიგო პალასიო.** მეორე ნახევარში, ერთ-ერთს ალბათ **ტომაზო როკი** შეცვლის, რომელიც თადარიგში იქნება. ვნახოთ, დასრულდება თუ არა "ინტერის" წარუმატებელი სერია "პესკარასთან" შეხვედრაში.

### სიმტკიცის გამოცდა

საინტერესოა, სად გადის "ლაციოს" შესაძლებლობათა ზღვარი... გააგრძელებს ეს გუნდი პროგრესს და მართლა ჩაებმება სკუდეტოსთვის ბრძოლაში, თუ პროგრამა მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურია? - "ატალანტასთან" პაექრობა ამ კითხვაზე სრულყოფილ პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ გარკვეულ კონტურებს კი გამოკვეთს. "ბიანკოჩელესტესთვის" ბერგამოელთა სტუმრობა დაახლოებით იგივე გამოცდაა, როგორიც ფლორენციელებს ჰქონდა გასულ ტურში... "ფიორენტინამ" "პესკარასთან" მარცხით ლამის სეზონის აღმოჩენის სტატუსი დაკარგა და საყოველთაო ყურადღების ცენტრში მყოფი, უცებ ჩრდილში მოექცა. მოკლედ, "ლაციო" ან პოზიციებს განიმტკიცებს, ან ტოსკანელთა ბედს გაიზიარებს, ეს კი ნამდვილი ინტრიგაა...



"ენიო ტარდინიზე" "პარმა" "იუვეს" შეასკდება

# რა შეიცვლება ლიდერთა მარაქაში?

## იუვე წნეხის ქვეშ

**ვლადიმირ პეტკოვიჩი** ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება "ატალანტასთან" პაექრობას და ამ მხრივ რომაელებს საწუწუნო არაფერი აქვთ. **მიროსლავ კლოზე** ჩვეულ პოზიციას დაიკავებს შეტევის წინა ხაზზე, მის უკან კი **ერნანესი, გონსალესი, კრისტიან ლედესმა, სტეფანო მაური** და **სენად ლულიჩი** გაირჯებიან. ამჯერადაც თადარიგში რჩება **ანტონიო კანდრევა,** რომელიც ბოლო დროს ლულიჩმა გვარიანად შეავიწროვა. დანარჩენი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

### სწორება სკუდეტოზე

**პაბლო არმეროთი** გაძლიერებული "ნაპოლი" საკუთარ "სან პაოლოზე" "პალერმოს" უმასპინძლებს. "რომას" განადგურებით ფრთაშესხმულმა სამხრეთელებმა კვლავ სკუდეტოზე აიღეს სწორება და შესაბამისად, ზემოტივირებულნი არიან. ამაზე **ვალტერ მაცარის** სიტყვები მეტყველებს:

*"ბევრმა ჩამოგვწერა, მაგრამ "რომასთან" ჯახით კრიტიკოსები ერთიანად გავაჩუმეთ. ჩვენ უმაღლესი მიზნისთვის ვიბრძვით და ამიტომ, ქულების დაკარგვის უფლება არ გვაქვს. სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში არნახული კონკურენციაა და ეს მოტივაციას გვმატებს. "პალერმოს" პირველივე წუთებიდან შევუტევთ და იმედია, მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდება".*

მაცარი ნაცად ტაქტიკას დაეყრდნობა, შეტევის წინა ხაზზე კი **გორან პანდევისა** და **ედინსონ კავანის** ტანდემს გაამწესებს. არმერო სავარაუდოდ თადარიგში დარჩება და დიდი ალბათობით, მორე ნახევარში ჩაერთვება თამაშში. წესით, პაბლომ თანამემამულე **კამილო ცუნიგა** უნდა შეცვალოს, რომელიც სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება.

### კონტე: ტიფოზები აღარ გვაპატიებენ...

"იუვენტუსმა" წინა ტურში სენსაციური მარცხი იწვნია, თუმცა შემდეგ "მილანთან" სათასო პაექრობაში ხასიათი გამოიკეთა. ტურინელები ემილიაში ჩადიან, სადაც კერკეტ "პარმას" უნდა ეპაექრონ... ერთი შეხედვით, "ჯალობლუს" დიდი ვერაფერი შემადგენლობა ჰყავს, მაგრამ ფაქტია, რომ **რობერტო დონადონის** გუნდი საკმაოდ კარგად ასპარეზობს და სატურნირო ცხრილში მაღალი პოზიციაც უჭირავს. "ენიო ტარდინიზე" წესით დიდი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს, რადგან ორივე მხარეს უაღრესად მოტივირებულნი არიან...

**რობერტო დონადონი (პარმა):** *"წინა ტურში, ტურინელთა მარცხი ჩვენს წისქვილზე ნამდვილად არ ასხამს წყალს, რადგან "იუვენტუსი" დღეს კიდევ უფრო მოტივირებულია, ვიდრე აქამდე იყო. წარმოიდგინეთ, რამხელა რეზონანსი მოჰყვება "ვეკია სენიორას" მიჯრით მეორე წაგებას და ბუნებრივია, რომ ამის თავიდან ასაცილებლად ტურინელები ყველაფერს გააკეთებენ. ჩვენი მხრიდან, ურთულესი მისიის წინაშე ვდგავართ და ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული. თუ სასურველი შედეგის მიღწევა გვინდა, თავზე მაღლა უნდა ავხტეთ და ამას ვაპირებთ კიდეც".*

**ანტონიო კონტე (იუვენტუსი):** *"თასზე დიდი ბრძოლა გადავიტანეთ, თუმცა დროა სერია A-ზე გადმოვერთოთ და "პარმასთან" შეხვედრაზე მოვახდინოთ კონცენტრაცია. მეტოქე სახიფათო გვყავს, განსაკუთრებით საკუთარ მოედანზე და ამიტომ, მაქსიმალური მობილიზება გვმართებს. კიდევ ერთ წაფორხილებას გულშემატკივრები არ გვაპატიებენ და მინდა ეს თითოეულმა შეგირდმა იცოდეს".*

**ანტონიო კონტე** შეტევაში **სებასტიან ჯოვინკოსა** და **ფაბიო კვალიარელას** გაამწესებს, შუა ხაზს კი სავარაუდოდ **შტეფან ლიხტშტაინერი, პოლ პოგბა, ანდრეა პირლო, არტურო ვიდალი** და **პაოლო დე ჩელიე** გაამაგრებენ. რაც შეეხება ემილიურ გუნდს, თუ "გაძეტას" ვენდობით, ექს-ტურინელი **კარვალიო ამაური** თადარიგში დარჩება, "პარმას" თავდასხმის ხაზი კი შემდეგი ტრიოთი დაკომპლექტდება: **ბიაბიანი, ბელფოდილი, სანსონე.**

### შანსი ჯერ კიდევ არის

"მილანს" ჯერ კიდევ აქვს შანსი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს, მაგრამ ამისთვის ისეთი გუნდების დამარცხებაა საჭირო, როგორიც "სამპდორიაა", თანაც გასვლაზეც და სახლშიც... "როსონერისთვის" გენუაში სტუმრობა მართლაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან კიდევ ერთი წაფორხილება გუნდს მნიშვნელოვნად დააშორებს ლიდერთა სამეულს.

**მასიმილიანო ალეგრი** ნაცად ტაქტიკას გამოიყენებს და გუნდს 4-3-3 სქემით განალაგებს. თავდასხმაში **სტეფან ელ შაარავი, კევინ პრინს ბოატენგი** და **რობინიო** გაირჯებიან, **ბოიან კრკიჩი** კი ალბათ მეორე ნახევარში ჩაერთვება თამაშში. **ჯამპაოლო პაცინის** დისკვალიფიკაცია აქვს და გენუაში ვერ ითამაშებს. რაც შეეხება "სამპდორიას", ტურინში გამარჯვების შემდეგ გუნდში ბრწყინვალე ატმოსფეროა, რომლის კიდევ უფრო გაუმჯობესება მსოფლიო ფეხბურთის კიდევ ერთი გრანდის ძლევით იგეგმება. ვნახოთ...

**ამბები**

## დამპალი ვაშლი თუ ალუბალი?

**სილვიო ბერლუსკონიმ** უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ **მარიო ბალოტელის** "მილანში" გადაბარგება არ იგეგმება. "როსონერის" პრეზიდენტს იმდენჯერ ჰკითხეს სუპერ-მარიოს შესახებ, რომ ერთხელაც ნერვებმა უმტყუნა და 22 წლის ფორვარდს დამპალი ვაშლი უწოდა, რომელსაც ნებისმიერ გუნდში შეუძლია ატმოსფეროს გაფუჭება. იტალიელმა ჟურნალისტებმა ეს ამბავი უმალ აიტაცეს და თავად მარიოსთან მოისურვეს დაკავშირება... ბალოტელიმ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა, თუმცა პრესას მისი აგენტი **მინო რაიოლა** გაესაუბრა:

*"სილვიო ბერლუსკონი აშკარად შეცდა, როდესაც ასეთი არაეთიკური განცხადება გააკეთა. მარიო ბალოტელი არა დამპალი ვაშლი, არამედ ალუბალია... დიახ, მარიო ისევე მოუხდებოდა ნებისმიერი კალიბრის გუნდს, როგორც ალუბალი ტორტს. დღეს, მარიოს იტალიაში დაბრუნების შანსი 0.1%-ია და "მილანში" რომ არ გადაბარგდება, მაგას წყალი არ გაუვა".*

შეგახსენებთ, რომ მინო რაიოლა კიდევ არაერთი ცნობილი ფეხბურთელის აგენტია, მათ შორის **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** - მინომ 31 წლის შვედის შესახებაც გააკეთა საინტერესო განცხადება: *"დაბრუნდება თუ არა ზლატანი იტალიაში? - იბრაჰიმოვიჩი საფრანგეთში კარგად გრძნობს თავს და არა მგონია, რომ უახლოეს მომავალში იტალიაში დაბრუნდეს. ისე, ერთხელ პირად საუბარში მითხრა, რომ დიდი სიამოვნებით ითამაშებდა "ნაპოლიში". იბრას თქმით, "სტადიო სან პაოლოზე" საოცარი, ყველაზე გამორჩეული ატმოსფეროა - ნეაპოლი მას ნამდვილად იზიდავს. ვფიქრობ, თუ ზლატანი ოდესმე იტალიაში დაბრუნდა, "ნაპოლიში" ითამაშებს".*

## ახალი კონტრაქტი მონტელას

მართალია, სერია A-ს გასულ ტურში "ფიორენტინამ" სენსაციური მარცხი იგემა, მაგრამ მთლიანობაში, გუნდის საამსეზონო ასპარეზობა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ. ფლორენციული გუნდი სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. სწორედ ამიტომ, "ვიოლას" მესვეურებმა მთავარ მწვრთნელთან ხელშეკრულების გახანგრძლივება მოისურვეს და სავარაუდოდ, ამ საქმეს მალევე მოაბამენ თავს. რაც მთავარია, მოვლენათა ასეთი განვითარება 38 წლის **ვინჩენცო მონტელასაც** აწყობს:

*"ფლორენციაში დიდი ხნით ჩამოვედი და მიხარია, რომ ჩემი მოლოდინი მართლდება. კონტრაქტი 2014 წლის ზაფხულში მიმთავრდება, მაგრამ როგორც მეუბნებიან, მალე ახალ ხელშეკრულებას შემომთავაზებენ... დავთანხმდები თუ არა? - რა თქმა უნდა, "ფიორენტინას" მესვეურებთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს და ვიცი, რომ ყველაფერზე უპრობლემოდ შევთანხმდებით".*

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი. პრემიერლიგა. XXII ტურის წინ

**"ბოქსინგ დეის" ჯოჯოხეთური რიტმის შემდეგ გუნდებმა სათასო შეხვედრები მოილიეს და აი, ისინი უკვე ჩემპიონატის XXII ტურისთვის ემზადებიან. მოდი, ვნახოთ, რა ხდება ელიტურ ინგლისურ კლუბებში. საფეხბურთო უქმეები ორ არათანაბრად საინტერესო ნაწილად არის გაყოფილი. დღეს რვა მატჩი გაიმართება, მაგრამ ხვალინდელი ორი ინტრიგით ყველას ერთად გადაწონის. ამაში დასარწმუნებლად უბრალოდ წყვილებს გადახედეთ.**

### დღეს

**ქუინზ პარკი–ტოტენჰემი 15:45**

**ტრავმა:** ჰოილეტი, ტრაორე, ბოსინგვა, ზამორა, ჯონსონი – გალასი, კაბული

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +4=1-1

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 41 თამაში: +13=13-15 (56-60)

**ასტონ ვილა–საუთჰემპტონი 19:00**

**ტრავმა:** ვესტვუდი, ბეიკერი, ვლაარი, დანი, გ. გარდნერი - ლალანა

**ბოლო 6 მატჩი**

+1=2-3 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 55 თამაში: +21=15-19 (69-72)

**ევერტონი–სუონსი 19:00**

**ტრავმა:** მირალიაში, ჰიბერტი, გიბსონი – ნ. ტეილორი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +1=3-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 7 თამაში: +6=1-0 (17-4)

**ფულჰემი–უიგანი 19:00**

**ტრავმა:** დიარა, ს. დევისი – კრუსატი, მიაიჩი, უოტსონი, პისკუ

**ბოლო 6 მატჩი**

+2=1-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 25 თამაში: +11=10-4 (29-17)

**ნორვიჩი–ნიუკასლი 19:00**

**ტრავმა:** უიტეკერი, სერმანი, მორისონი, რადი – გოსლინგი, სიმპსონი, ბენ არფა, რ. ტეილორი, ვუკჩიჩი

**დისკვალიფიკაცია:** - შ. ამეობი

**ბოლო 6 მატჩი**

+2=0-4 +1=0-5

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 29 თამაში: +9=7-13 (37-50)

**რედინგი–ვესტ ბრომვიჩი 19:00**

**ტრავმა:** მაკარტი – პოპოვი, ოლსონი, რიდი, იაკობი

**ბოლო 6 მატჩი**

+1=1-4 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 18 თამაში: +6=5-7 (22-26)

**სტოკი–ჩელსი 19:00**

**ტრავმა:** უილსონი, დელაპი – ბენაიუნი, ჩეხი, ტერი, რომეუ

**ბოლო 6 მატჩი**

+1=4-1 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 64 თამაში: +19=15-30 (88-95)

**სანდერლენდი–ვესტ ჰემი 19:00**

**ტრავმა:** სესინიონი, ოში, ბრაუნი, კატერმოული – მაკარტნი, დიამე, კეროლი

**ბოლო 6 მატჩი**

+3=0-3 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 66 თამაში: +25=17-24 (98-97)

### ხვალ

**იუნაიტედი–ლივერპული 17:30**

**ტრავმა:** ანდერსონი, რუნი, ნანი – ბორინი, კელი

**ბოლო 6 მატჩი**

+5=1-0 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 38 თამაში: +15=12-11 (57-53)

**არსენალი–სიტი 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ნასრი

**ბოლო 6 მატჩი**

+4=1-1 +4=0-2

**ურთიერთშეხვედრები**

სულ 38 თამაში: +15=12-11 (57-53)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 21 | 17 | 1 | 3 | 54-28 | 52 |
| 2. სიტი | 21 | 13 | 6 | 2 | 41-19 | 45 |
| 3. ტოტენჰემი | 21 | 12 | 3 | 6 | 39-27 | 39 |
| 4. ჩელსი | 20 | 11 | 5 | 4 | 39-19 | 38 |
| 5. ევერტონი | 21 | 9 | 9 | 3 | 35-26 | 36 |
| 6. არსენალი | 20 | 9 | 7 | 4 | 40-22 | 34 |
| 7. ვესტ ბრომვიჩი | 21 | 10 | 3 | 8 | 29-27 | 33 |
| 8. ლივერპული | 21 | 8 | 7 | 6 | 34-26 | 31 |
| 9. სუონსი | 21 | 7 | 8 | 6 | 31-26 | 29 |
| 10. სტოკ სიტი | 21 | 6 | 11 | 4 | 21-20 | 29 |
| 11. ვესტ ჰემი | 20 | 7 | 5 | 8 | 24-24 | 26 |
| 12. ნორვიჩი | 21 | 6 | 7 | 8 | 24-34 | 25 |
| 13. ფულჰემი | 21 | 6 | 6 | 9 | 32-37 | 24 |
| 14. სანდერლენდი | 21 | 5 | 7 | 9 | 21-29 | 22 |
| 15. ნიუკასლი | 21 | 5 | 5 | 11 | 27-39 | 20 |
| 16. ასტონ ვილა | 21 | 4 | 7 | 10 | 17-41 | 19 |
| 17. საუთჰემპტონი | 20 | 4 | 6 | 10 | 27-38 | 18 |
| 18. უიგანი | 21 | 5 | 3 | 13 | 22-39 | 18 |
| 19. რედინგი | 21 | 2 | 7 | 12 | 23-40 | 13 |
| 20. ქუინზ პარკი | 21 | 2 | 7 | 12 | 17-36 | 13 |

**ბომბარდირები:** 16 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 15 - ლუის სუარესი (ლივერპული), 13 - მიგელ მიჩუ (სუონსი), დემბა ბა (ნიუკასლი/ჩელსი)



ალექს ფერგიუსონმა ბრენდან როჯერსი (მარცხნივ) პირველ წრეში ენფილდზე 2:1 დაამარცხა

# პრემიერლიგის დიდი უქმეები

დღეს პირველ შეხვედრაში "ქუინზ პარკი" "ტოტენჰემს" ეთამაშება. მთავარი აქცენტი ამ შემთხვევაში შეიძლება იმაზე გავაკეთოთ, რომ **ჰარი რედნაპი** ყოფილ კლუბს უპირისპირდება. გამოცდილმა სპეციალისტმა ყოფილი შეგირდების ავან-ჩავანი იდეალურად იცის და ცხადია, ეს მასპინძელს გარკვეულ უპირატესობას მისცემს. რედნაპმა **ანდრე ვილაშ ბოაშს** გუნდი შეუქო და მას მსოფლიო კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული უწოდა. თუმცა ნუ დაგვავიწყდება, რომ მისმა "რეინჯერებმა" წინა ტურში გასვლაზე არანაკლებ კარგად დაკომპლექტებული "ჩელსი" დაამარცხეს. ბუკმეიკერები მოგების მეტ შანსს სტუმრებს აძლევენ.

გასავარდნ ზონასთან ახლოს მყოფი გუნდები "ასტონ ვილა" და "საუთჰემპტონი" ერთმანეთს უფრო მშვიდი ძილის უფლებისთვის შეერკინებიან. "წმინდანები" თითქოს უკეთეს ფორმაში უნდა იყვნენ, მაგრამ ასე თამამადაც ვერ ვიტყვით, რადგან ასოციაციის თასზე მათ პირი შეირცხვინეს ("ჩელსისთან" 1:5). ასევე მოიქცნენ ბირმინგემელებიც, ოღონდ ლიგის თასზე. ორი გაჭირვებული გუნდის ჭიდილში ჩვენ უპირატესობას სტუმრებს ვაძლევთ.

"ევერტონი"-"სუონსის" უმასპინძლებს. შეიძლება ითქვას, რომ "გუდისონ პარკზე" დღევანდელი დღის ცენტრალური მატჩი გაიმართება. პირველი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, მეორე კი მშვენიერ ხასიათზე უნდა იყოს, რადგან ლიგის თასის პირველი 1/2-ფინალური მატჩი მოიგო და გადამწყვეტ დაპირისპირებას სულ ცოტალა აშორებს. შინ მერსისაიდელები უპირობო ფავორიტებად მიგვაჩნია, მით უფრო, რომ პირველ წრეში მათ გასვლაზეც იოლად იმარჯვეს (3:0).

"ფულჰემმა" სეზონი რიხით დაიწყო. კოტეჯელები იმასაც კი ამბობდნენ, რომ მინიმუმ ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლას აპირებდნენ, მაგრამ საქმე ახლა ისე დაუდგათ, რომ გასავარდნ ზონასთან ბევრად უფრო ახლოს არიან. იმ ზონასთან, საიდან თავის დაღწევასაც მისი დღევანდელი მეტოქე დიდი ხანია ცდილობს. ფავორიტი აშკარაა: მასპინძელი. 3 ქულის აღების შემთხვევაში დედაქალაქელები ცხრილის შუაწელისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამენ.

"ნორვიჩის" 10-მატჩიანი წაუგებელი სერია რა ხანია დასრულდა. "იადონებს" ახლა უკვე 4-მატჩიანი სერია აქვთ, ამჯერად წაგებების. წლევანდელი "ნიუკასლი" ნამდვილად არ არის ის გუნდი, ვისთანაც **კრის ჰიუტონის** გუნდს 3 ქულის აღების პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს. პრეტენზია ერთია და ჩვენი პროგნოზით, შეხვედრა ფრედ დამთავრდება. **დემბა ბას** დამკარგავი "კაჭკაჭები" მეტს ვერ გაწვდებიან.

"რედინგს" მიმდინარე სეზონის ერთ-ერთ აღმოჩენა კლუბთან მოუწევს დაპირისპირება. "ვესტ ბრომვიჩი" შარშანდელზე ბევრად უკეთ თამაშობს, თუმცა **სტივ კლარკის** გუნდის ამბიციები მაინც მოჭარბებული გვგონია. მას ძალიან თუ გაუმართლა, ევროპის ლიგის საგზურს ჩაიგდებს ხელთ. მასპინძელს ნამდვილად აქვს უფლება, ქულაზე მეტი დაგეგმოს, თუმცა სტუმრები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ მასზე კლასით დაბლა მდგომ მეტოქეებთან ქულებს იშვიათად კარგავენ.

"სტოკ სიტი" პრემიერლიგაში ერთადერთია, ვისაც შინ ჯერ კიდევ არ წაუგია. "მეთიხეები" ისეთ გუნდს დაუხვდებიან, რომელმაც ბოლო 5 გასვლით მატჩში (თასის მატჩების ჩათვლით) ყველა მოიგო და თანაც 16 გოლის გატანა შეძლო. სტატისტიკოსებს თუ დავუჯერებთ, არ ღირს გახსნილი, შემტევი ფეხბურთის მოლოდინი, რადგან ეს გუნდები მყარი დაცვით გამოირჩევიან. "ჩელსი" ამ მაჩვენებლით პრემიერლიგაში საუკეთესოა ("სიტისთან" ერთად), "სტოკი" კი მას კვალში მისდევს. ჩვენი პროგნოზით მატჩი შეიძლება სულაც უგოლოდ დასრულდეს. „ბრიტანია სტედიუმის" მკვიდრმა წელს უკვე 5 შეხვედრა დაამთავრა ასე.

**მარტინ ონილმა** შეძლო ფეხბურთელების დარაზმვა და ისინი ნელ-ნელა ემსგავსებიან იმ გუნდს, როგორადაც ხალხი მათ იცნობს. მეორე მხრივ არც "ვესტ ჰემია" ცუდი გუნდი. "ჩაქუჩებმა" ორი სერიოზული ტრანსფერი გაჩარხეს: **ჯო კოული** "ლივერპულიდან" და **მარუან შამახი** "არსენალიდან". შესაბამისად, დედაქალაქელებისგან ნამდვილად უფრო მეტს უნდა ველოდეთ, ვიდრე პირველ წრეში. „სტედიუმ ოფ ლაითზე" გასამართი შეხვედრა ჩვენი აზრით ფრედ დასრულდება ან სტუმარი მოიგებს ერთი ბურთის სხვაობით.

ახლა კი უქმეების უმთავრეს თამაშებსაც მივადექით. "მანჩესტერ იუნაიტედი" "ლივერპულს" დაუპირისპირდება. ეს სიტყვები თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავს. სულაც არ აქვს მნიშვნელობა, რომელი გუნდი რომელ ადგილზეა, რადგან წყვილში ეს ინტრიგის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. მთავარი მდიდარი ტრადიციებია, რასაც ვერც ერთს დავუკარგავთ და ვერც მეორეს. ერთმანეთის პირისპირ წარდგებიან ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირები: **რობინ ვან პერსი და ლუის სუარესი.** არ დაგავიწყდეთ **პატრის ევრასა** და ურუგვაელის შარშანდელი სკანდალიც. იმის გათვალისწინებით, რომ უკანა ხაზი მაინცდამაინც გამართული არც ერთს არ აქვს, თამამად შეგიძლიათ ბევრ გოლს ელოდოთ. ფავორიტის გამოყოფა ამ შემთხვევაში ნამდვილად იოლია: "მანჩესტერი".

დაბოლოს, მოქმედი ჩემპიონი ლონდონში "არსენალს" ეწვევა. მოედანზე რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელს ვერ ვიხილავთ. მათ შორის **მარიო ბალოტელის** (მწვრთნელთან კონფლიქტი), **სერხიო აგუეროს** (ტრავმა), **სამირ ნასრის** (დისკვალიფიკაცია). უკანასკნელი ინფორმაციით ტრავმა გაიმიზეზა არსენალელმა **ოლივიე ჟირუმაც**. თუმცა უკანასკნელის თამაში საბოლოოდ გამორიცხული ჯერ არ არის. სავარაუდო შედეგის გამოცნობა ყველაზე რთული სწორედ ამ შეხვედრაში იქნება. გამორიცხული ნამდვილად არაფერია.

### ამბები

#### ტერის მუხლი უკვე აღარ აწუხებს

"ჩელსის" 32 წლის კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** მუხლის მძიმე ტრავმა 11 ნოემბერს "ლივერპულთან" შეხვედრის პირველ ტაიმში მიიღო და მას მერე მკურნალობდა. "ჩელსიში" ფეხბურთელის გამოჯანმრთელებას ბევრად უფრო ადრე ელოდნენ. **რაფა ბენიტესს** ვეტერანის მსოფლიოს საკლუბო მუნდიალზე წაყვანის იმედიც კი ჰქონდა დეკემბრის მეორე ნახევარში, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. და აი, ტერიმ 10 იანვარს დუბლების შემადგენლობაში 45 წუთი გაატარა მოედანზე. მწვრთნელებმა უფრო დიდი ხნით მისი დატვირთვა აღარ გარისკეს. თუკი რაიმე მოულოდნელობა არ მოხდა, შესაძლოა, ის მომდევნო უქმეებზე "არსენალთან" XXIII ტურის შეხვედრის განაცხადშიც მოხვდეს.

#### ფანები ბენიტესის წინააღმდეგ

"დეილი მეილის" ცნობით, "ჩელსის" გულშემატკივართა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ჯგუფი საყვარელი გუნდის საშინაო შეხვედრებს იქამდე არ დაესწრება, ვიდრე ხელმძღვანელობა **რაფა ბენიტესს** მთავარი მწვრთნელის პოსტიდან არ გაათავისუფლებს. ორგანიზაციის სახელით "ჩელსის" ამ შინაარსის განცხადება უკვე გადასცა მავანმა **ტრიზია ფიორელინომ**. როგორც ირკვევა, მათი მოთმინების ფიალაში უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდა "სუონსისთან" ლიგის თასზე სამარცხვინო წაგება და მატჩის შემდგომ ესპანელის მიერ გაკეთებული კომენტარები. *"კლუბის მიერ გატარებული პოლიტიკით გაოგნებულები ვართ. ვიცით, რომ ძალიან ბევრ ფანს აქვს განზრახული "ჩელსის" თამაშების ბოიკოტი. ჩვენდა სამწუხაროდ, გვაქვს ეჭვი, რომ ამ ადამიანების დიდი ნაწილი ტრიბუნებზე აღარასოდეს დაბრუნდება,"* – განაცხადა ქალბატონმა ფიორელინომ.

#### ანელკა შეიძლება ფეხბურთიდან წავიდეს

**ნიკოლა ანელკასა** და "შანხაის" შორის კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ გამოითქმებოდა ვარაუდები, რომ 33 წლის ვეტერანი შეიძლებოდა ინგლისურ პრემიერლიგას დაბრუნებოდა. ფეხბურთელმა კონკრეტული შეთავაზებებიც მიიღო, მაგრამ ფაქტია, რომ ნიკოლას მათი განხილვა არც უცდია. ამჟამად ის პარიზშია და პსჟ-ის ფეხბურთელებთან ერთად ემზადება. "ლურჯწითლების" თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** უკვე უარყო ხმები მხარეთა შესაძლო თანამშრომლობის შესახებ. "სანის" ინფორმაციით, ანელკა სერიოზულად ფიქრობს დიდი ფეხბურთიდან წასვლაზე.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კოპა დელ რეი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

# საოცნებო ფინალი არ იქნება

## რეალის და ბარსას გზები ნახევარფინალში იკვეთება

**ესპანეთში ცნობილი გახდა „სამეფო თასის“ ყველა მეოთხედფინალისტის ვინაობა. 8 ორრაუნდიანი დაპირისპირებიდან სენსაცია ერთშიც არ მომხდარა (მცირე მოულოდნელობაა „ლევანტეს“ გავარდნა), ბრძოლას ფავორიტები აგრძელებენ, თუმცა საოცნებო ფინალს არ უნდა ველოდოთ - თუკი „რეალი“ და „ბარსელონა“ მეოთხედფინალურ ბარიერს დაძლევენ, ისინი ერთმანეთს ნახევარფინალში გადაეყრებიან.**

### სანჩესის და ვილიას შანსი

**ტიტოს** თუ მის გარეშე „ბარსელონა“ უნაკლოდ თამაშობს. მისმა ასისტენტმა **ჟორდი როურამ ლეო მესის** დასვენების საშუალება მისცა და „ოქროს ბურთის“ 4-გზის მფლობელი სათადარიგოთა სკამზე დასვა, თუმცა სეგუნდადივიზიონელ „კორდობასთან“ ეს არაფრით დაეტყო გუნდს. პირველ ტაიმში მასპინძელთა უპირატესობას უზარმაზარი ეთქმოდა.

თავიანთი შანსები გამოიყენეს **დავიდ ვილიამ** და **ალექსის სანჩესმა**, რომელთაც უჭირთ სასტარტოში მოხვედრა. ესპანელმა და ჩილელმა დუბლები მიითვალეს, ხოლო ანგარიში **ტიაგო ალკანტარამ** გახსნა. საბოლოოდ, „ბარსელონამ“ „კორდობა“ ორი მატჩის ჯამში 7:0 დაამარცხა.

მატჩი ვილიამ მცირე ტრავმის გამო დატოვა, ხოლო **სერხი რობერტოს** ტრავმა უფრო სერიოზულია, ის თვე-ნახევარი დააკლდება კატალონიურ კლუბს.

**ჟორდი როურა** (ბარსელონა): *„გამოვყოფ ფეხბურთელთა დამოკიდებულებას ამ მატჩისადმი და მათ ამბიციებს. თითქოს, ცხადი იყო, რომ ამ მეტოქესთან პრობლემები არ გვექნებოდა, მაგრამ ბიჭებს თვალები უელავდათ, რომ ფანებისთვის ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი ეჩვენებინათ. პირველ ტაიმში „ბარსამ“ ბრწყინვალე ფეხბურთი აჩვენა, ქედს ვიხრი ბიჭების წინაშე. დავიდ ვილიას მთავარი სავიზიტო ბარათი გოლია. მან ბრწყინვალე მატჩი ითამაშა და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა ის, რაც კარგად ვიცით - ვილია მალე უფრო მეტ როლს შეასრულებს გუნდში. სანჩესმაც მისთვის ნეგატიური დინამიკა დაძლია, გაიტანა გოლები. ის ყოველთვის საჭირო ფეხბურთელია გუნდისთვის, უბრალოდ, ბოლოს გოლი ვერ გაჰქონდა“.*

**რაფაელ ბერხესი** (კორდობა): *„ბარსელონას“ ფეხბურთელები ისეთ ინდივიდუალურ და გუნდურ ტექნიკას ფლობენ, რაც ნორმალური ადამიანისთვის მიუწვდომელია. რა თქმა უნდა, წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია, მაგრამ თუ გოლი გაუშვი, საქმე ცუდად წავივა. პირველ ტაიმში ჩემს გუნდს უბრალოდ ფეხი არ გაანძრევინეს, მეორეში კი ბურთს მაინც დასდევდნენ. ეს ყველაფერი ძალიან ცუდია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, ჩვენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდს ვეთამაშეთ“.*

### ისევ რუბენ კასტრო

უკვე მერამდენედ ამ სეზონში „ბეტისისთვის“ მნიშვნელოვანი გოლი გააქვს 31 წლის **რუბენ კასტროს**. პირველი მატჩი კანარის კუნძულებზე 1:1 დასრულდა, ასე რომ, „ლას პალმასს“ შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი რჩებოდა და ამ შანსს ის ბოლომდე ებღაუჭა. მასპინძელთა ნახევარმცველმა **პოსუელომ** ტრავმა მიიღო, ხოლო სტუმართა მცველი **კორალესი** მატჩის ბოლოს მსაჯთან კამათისთვის გააძევეს.

**პეპე მელი** (ბეტისი): *„ნორმალურია რომ გაგვიჭირდა, პროფესიულ ფეხბურთში იოლად არაფერი მოდის. „ლას პალმასი“ კი კარგი გუნდია, მეტოქემ ცოტა შეგვაშინა კიდევაც“.*

**სერხიო ლობერა** (ლას პალმასი): *„ძალიან დამწუხრებულები ვართ, რადგან წაგებას ძნელად ვეგუებით. მაგრამ შინ თავაწეულები მივდივართ, მეოთხედფინალთან ახლოს ვიყავით“.*

### ფალკაოს პირველი და ტრავმა

„ატლეტიკომ“ მშვიდად მიიყვანა თამაში ნულოვან ფრემდე მეტოქესთან, რომელსაც ტაიმ-ნახევარი კაცი აკლდა და დამსახურებულად გავიდა მეოთხედფინალში. წლეულს პირველად ითამაშა „ატლეტიკოში“ **რადამელ ფალკაომ**, კოლუმბიელმა მცირე ტრავმაც მიიღო.

**დიეგო სიმეონე**: *„პირველ მატჩში მოგების შემდეგ, „ატლეტიკომ“ ისეთი თამაში აჩვენა, როგორსაც ველოდი მისგან. ერთია, შეტევაში მეტი შეგვეძლო, საგოლე მომენტებს ვანიავებდით. იმედია, მომავალ მეტოქესაც ასე სერიოზულად მივუდგებით“.*

**ლუის გარსია**: *„ჩვენი მიზანი იყო, მატჩის დასაწყისშივე წარმატების მიღწევა, მაგრამ თავისუფალი ზონების მონახვა გაგვიჭირდა. ჩემპიონატის მატჩი რომ ყოფილიყო, ასეთ მეტოქესთან ფრით კმაყოფილი ვიქნებოდი. ეს დაპირისპირება კი უკვე პირველ მატჩში წავაგეთ“.*

**ბარსელონა-კორდობა 5:0 (2:0)**

**გოლები:** 1:0 ტ. ალკანტარა (17), 2:0 ვილია (21), 3:0 ვილია (26), 4:0 სანჩესი (55), 5:0 სანჩესი (85)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - დანი ალვეში, პუიოლი (46. ბარტრა), მასკერანო, მონტოია - ს. რობერტო (51. ჯონათან დოს სანტოსი), სონგი, ტ. ალკანტარა - სანჩესი, ფაბრეგასი (46. ტელიო), ვილია.

**კორდობა (4-2-3-1):** საისარი - ხ. ფერნანდესი, ალბერტო, არმანდო, ფუენტესი - გარი, კაბალიერო (68. რენელია) - სილვა, ვიკო (46. აბელი), დუბარბიე (59. პედრო) - ხოსელუ.


ალექსის სანჩესმა და დავიდ ვილიამ 2-2 გოლი გაიტანეს

**ბეტისი-ლას პალმასი 1:0 (1:1)**

**გოლი:** 1:0 რ. კასტრო (85)

**ბეტისი (4-2-3-1):** კასტო - ა. ლოპესი, პაულაუ, პერკისი, ჩიკა - რ. პერესი, ბენიატი - აგრა (60. კემპბელი), პოსუელო (34. რ. კასტრო), ვადილიო - მოლინა (71. ნონო).

**ლას პალმასი (4-4-2):** ბარბოსა - პინიოლი, მურილიო, დეივიდი, კორალესი - მომო (56. დ. გონსალესი), ვ. გომესი (68. გერერო), ერნანი, ვიტოლო - ტიევი, ქრისანტუსი.

**გაძევება:** კორალესი (92)

**ხეტაფე-ატლეტიკო 0:0 (0:3)**

**ხეტაფე (4-4-2):** მოია - ვალერა (47. ფრაილე), აბრაამი, რაფა, მ. ტორესი - ლაფიტა (17. გავილანი), ხ. როდრიგესი, ხ. ტორესი, დ. კასტრო (65. სარაბია) - ალკასერი, ა. ვასკესი.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი (81. მანკილიო), მირანდა, კატა დიასი, სისმა - მ. სუარესი, ემრე - არდა თურანი (61. გაბი), რ. გარსია, კ. როდრიგესი - ფალკაო (59. დ. კოშტა).

**გაძევება:** რაფა (32)

**მეოთხედფინალი**

რეალი-ვალენსია
ბარსელონა-მალაგა
ატლეტიკო-ბეტისი
სარაგოსა-სევილია

*მატჩები 16 და 23 იანვარს გაიმართება*

● ესპანეთი. ლა ლიგა. XIX ტურის წინ

**ბილბაო-ვალეკანო 1:2**

**დღეს**

**ვალიადოლიდი-მალიორკა 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** რუედა - ვიქტორი
**ტრავმა:** ებერტი, პერესი, მანუჩო - მ. პერეირა, ჟოაო ვიქტორი, ლოპესი

**ბოლო 6 მატჩი**
+2=1-3 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 22 თამაში: +6=5-11, (22-30)

**ესპანიოლი-სელტა 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** ფერნანდესი (სელ)
**ტრავმა:** კ. ალვარესი (?), ვაკასო - ლიორკა

**ბოლო 6 მატჩი**
+1=3-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 28 თამაში: +10=8-10, (39-33)

**ოსასუნა-რეალი 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** არიბასი - ს. რამოსი, რონალდო, ადანი
**ტრავმა:** ლო, რიესგო, რ. ტორესი, სისი, ანანი, მასუდი - ფ. კოენტრაო, მარსელო, ჩაბი ალონსო (?), პეპე

**ბოლო 6 მატჩი**
+1=2-3 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 26 თამაში: +5=5-16, (26-51)

**ვალენსია-სევილია 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** კოკე (სევ)
**ტრავმა:** გაგო, მატიო, კანალესი, ფეგული - კამპანია, ტროხოვსკი

**ბოლო 6 მატჩი**
+3=0-3 +1=1-4

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 37 თამაში: +17=5-15, (45-40)

**ხვალ**

**ბეტისი-ლევანტე 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** მარტინსი (ლევ)
**ტრავმა:** დორადო, ა. მარტინესი, ს. როდრიგესი, ხუან კარლოსი, ნონო, ნელსონი, აგრა, პოსუელო - ბარკერო, დუდკა

**ბოლო 6 მატჩი**
+4=0-2 +3=1-2

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 12 თამაში: +4=2-6, (18-18)

**სოსიედადი-დეპორტივო 20:00**

**ტრავმა:** ბერგარა, ილარამენდი (?), კადამურო - ლაური, აიოსე

**ბოლო 6 მატჩი**
+2=3-1 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 30 თამაში: +8=8-14, (30-39)

**ატლეტიკო-სარაგოსა 22:00**

**ტრავმა:** ფალკაო (?) - რომარიკი, პინტერი, ობრადოვიჩი

**ბოლო 6 მატჩი**
+3=1-2 +2=1-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 32 თამაში: +12=10-10, (43-34)

**მალაგა-ბარსელონა 00:00**

**ტრავმა:** ბაპტიშტა, ტულალანი (?), რესიო - კვენკა, მუნიესა, ადრიანო (?), ვილია (?), ს. რობერტო

**ბოლო 6 მატჩი**
+4=0-2 +6=0-0

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 22 თამაში: +2=4-16, (18-56)

**ზეგ**

**ხეტაფე-გრანადა 23:00**

**ტრავმა:** მანე, პედრო ლეონი, ლასენი, ბარადა - ტონიო, ფ. რიკო, მაჩისი, გომესი, ელ-არაბი

**ბოლო 6 მატჩი**
+2=2-2 +1=2-3

**ურთიერთშეხვედრები**
სულ 2 თამაში: +1=0-1, (1-1)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა
**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 17 | 1 | 0 | 61-19 | 52 |
| 2. ატლეტიკო | 18 | 13 | 2 | 3 | 38-18 | 41 |
| 3. რეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 45-20 | 36 |
| 4. მალაგა | 18 | 9 | 4 | 5 | 28-13 | 31 |
| 5. ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28-29 | 31 |
| 6. ვალეკანო | 19 | 10 | 1 | 8 | 27-34 | 31 |
| 7. ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 24-25 | 30 |
| 8. ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 25-27 | 27 |
| 9. სოსიედადი | 18 | 7 | 4 | 7 | 27-24 | 25 |
| 10. ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 22-28 | 24 |
| 11. ვალიადოლიდი | 18 | 6 | 4 | 8 | 24-24 | 22 |
| 12. სევილია | 18 | 6 | 4 | 8 | 23-26 | 22 |
| 13. სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 21-26 | 22 |
| 14. ბილბაო | 19 | 6 | 3 | 10 | 23-39 | 21 |
| 15. სელტა | 18 | 5 | 3 | 10 | 19-23 | 18 |
| 16. მალიორკა | 18 | 4 | 5 | 9 | 17-30 | 17 |
| 17. გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14-27 | 16 |
| 18. ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 19-30 | 15 |
| 19. დეპორტივო | 18 | 3 | 6 | 9 | 22-39 | 15 |
| 20. ოსასუნა | 18 | 3 | 5 | 10 | 14-20 | 14 |

**ბომბარდირები:** 27 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 12 - არიც ადურისი (ბილბაო).

# იკერი: მოურინიო არ ვიცი, მე კი რეალში ვრჩები

## ჟოზე ნავარაში უამრავი პრობლემით მიდის, მთავარი კი კრიშტიანო რონალდოს არყოფნაა

**ჟოზე მოურინიო დილემის წინაშე აღარ დგას - ვინ დააყენოს კარში „ოსასუნასთან“ საგარეო მატჩში - ანტონიო ადანი დისკვალიფიცირებულია და, უნდა თუ არა „განსაკუთრებულს“, „სამეფო კლუბის“ კარს იკერ კასილიასი ჩაიბარებს, რომელმაც გუშინ ერთი ნიშანდობლივი ფრაზა თქვა, არ ვიცი მოურინიოს შემთხვევაში როგორ არის, მე კი ნამდვილად ვრჩები „რეალშიო“. „ბარსელონა“ ტიტო ვილანოვას გარეშე ეწვევა ანდალუსიას და თუ „მალაგასაც“ დაამარცხებს, ლა ლიგის ისტორიაში საუკეთესო პირველი წრის რეკორდს დაამყარებს. ორივე გრანდი საკადრო პრობლემებით ხვდება ტურს.**

### რონალდოს გარეშე

ბოლოადგილოსან „ოსასუნას“ რიგებში დებიუტი ექნება იჯარით გადმოსულ **მიგელ დე ლას კუევასს**. ტრავმირებულები არიან: **რაულ ლო, რობერტო ტორესი** და მეკარე **ასიერ რიესგო**. დისკვალიფიკაცია მოიხადა პამპლონელთა გუნდის მნიშვნელოვანმა ფიგურამ, მცველმა **ალეხანდრო არიბასმა**.

თუკი სადმე არ უყვართ **კრიშტიანო რონალდო**, პირველ რიგში ეს ნავარაა, თუმცა პორტუგალიელს ამჯერად პამპლონაში ჩასვლა არ მოუწევს - ის დისკვალიფიცირებულია. **ჟოზე მოურინიომ** ამ თამაშში ლიდერის გარდა ადანი და **სერხიო რამოსიც** დაკარგა დისკვალიფიკაციების გამო. ვერ ითამაშებენ **პეპე** და **მარსელოც**, ძალიან რთულად აქვს საქმე **ჩაბი ალონსოსაც**. **ფაბიო კოენტრაო** შეუდგა ვარჯიშს, თუმცა შეიძლება მანაც ვერ ითამაშოს. მოკლედ, ჟოზეს პრობლემები მოეძალა.

* „ოსასუნას“ 6 მატჩია, არ მოუგია და მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ.

* 14 გოლი - ეს „ოსასუნას“ მაჩვენებელია, ლა ლიგაში უარესი („გრანადასთან“ ერთად).

* ბოლო ხუთი საგარეო მატჩიდან „რეალმა“ მხოლოდ ერთი მოიგო.

* „ოსასუნასთან“ ბოლო ორ დაპირისპირებაში „რეალმა“ 12 გოლი გაიტანა.

* იკერ კასილიასმა „სელტასთან“ მატჩში 650-ედ მოირგო „რეალის“ მაისურა. მას მხოლოდ რაული (741 მატჩი) და მანოლო სანჩისი (710) უსწრებენ ამ მაჩვენებლით.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ოსასუნა:** *ფერნანდესი - ბერტრანი, არიბასი, ფლანიო, დამია - პუნიალი, ოიერი - სეხუდო, ნინო, არმენტეროსი - კიკე სოლა.*

**რეალი:** *კასილიასი - ესიენი, რ. კარვალიო, ვარანი, არბელოა - ხედირა, მოდრიჩი - დი მარია, იოზილი, იგუაინი - ბენზემა.*

### მესი ბრუნდება

დიდ ინტერესს იწვევს „ბარსელონას“ სტუმრობა მე-4 ადგილზე მყოფ „მალაგასთან“. დასვენების შემდეგ სასტარტო შემადგენლობას ისევ უბრუნდება **ლეო მესი**. „კორდობასთან“ მატჩის გმირების (**ვილია, სანჩესი**) გამოჩენა ნაკლებად მოსალოდნელია, „ელ გუახეს“ ტრავმაც აწუხებს. **როურა** მათ **პედროს** და **ინიესტას** არჩევს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მალაგა:** *კაბალიერო - ს. სანჩესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი - ნაჩო კამაჩო, იტურა - ხოაკინი, ისკო, ელიზეუ - სავიოლა.*

**ბარსელონა:** *ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი - პედრო, მესი, ინიესტა.*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



თუ გასაჩივრებამ არ უშველა, სერხიო რამოსი არა მარტო ამ ტურს, არამედ კიდევ 4 მატჩს დააკლდება

## უცხოური ფეხბურთი

აფრიკის ერთა თასი

# შავი კონტინენტის ამომავალი ვარსკვლავები

**2013 წლის აფრიკის ერთა თასი, წინა გათამაშებიდან ერთი წლის თავზე იმართება, ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას ერთა თასის გამართვა კენტ წლებში სურს. სამხრეთ აფრიკაში გასამართ ტურნირზე ახლაც უამრავ ნაცნობ სახეს და ვარსკვლავს ვიხილავთ, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჯერადაც, ისევე როგორც ყოველთვის, ალმოჩნდებიან ახალგაზრდა ფეხურთელები, რომლებიც ყველას გააოცებენ. მოდი, ერთად ვნახოთ, ვინ შეიძლება გახდეს წლევანდელი ერთა თასის ალმოჩენა და აფრიკული ფეხბურთის ახალი ამომავალი ვარსკვლავი...**

### კრისტიან ატსუ (განა)

ბოლო წლებში მსოფლიომ უამრავი ნიჭიერი განელი ფეხბურთელი გაიცნო. მორიგი ასეთი ტალანტი 21 წლის **კრისტიან ატსუ** გახლავთ, რომელიც "პორტუს" ღირსებას იცავს და პორტუგალიაში მას უკვე **ლიონელ მესისაც** ადარებენ. ატსუ მარცხენა გარემარბია, რომელსაც განის ნაკრებში **ანდრე აიუს** შეცვლა შეუძლია და იმის პოტენციალიც აქვს, რომ პრეტენზია ძირითადში მოხვედრაზეც განაცხადოს. განის სამხრეთში მდებარე ქალაქ კასოაში დაბადებული მოთამაშე, "პორტუში" ახალგაზრდულ ასაკში მოხვდა და მას შემდეგ, ამ კლუბის ყველა ასაკობრივი გუნდი გამოიარა, შარშან კი გამოცდილების მიღების მიზნით "რიო ავეში" იყო განათხოვრებული, სადაც 27 შეხვედრაში 6 გოლი გაიტანა.

### ფაუზი გულამი (ალჟირი)

"სენტ ეტიენის" 21 წლის მარცხენა მცველი გამორჩეულ სეზონს ატარებს. **ფაუზი გულამი** საკუთარ გუნდში ერთ-ერთი საუკეთესოა და მისი შეძენით უკვე არაერთი გრანდი დაინტერესდა. სხვათა შორის, გულამი აფრიკის თასზე დებიუტანტის რანგში მიემგზავრება, რადგან მას ალჟირის ნაკრებში ჯერ არც ერთი მატჩი არ უთამაშია, ის კი არა, აქამდე გულამი საფრანგეთის ღირსებას იცავდა და ამ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში ორი მატჩიც აქვს ჩატარებული.

გულამის ორივე მშობელი ალჟირელია, თავად ტანმაღალი მცველი კი საფრანგეთში გახლავთ დაბადებული, მაგრამ როგორც ჩანს, გენებმა მაინც თავისი ქნა და გულამმა ისტორიული სამშობლოს ღირსების დაცვა გადაწყვიტა.

### აბდელჰამიდ ელ კაუტარი (მაროკო)

22 წლის მცველისთვის წინა წელი მართლაც განსაკუთრებული გამოდგა – **ელ კაუტარიმ** "მონპელიესთან" ერთად საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ზაფხულში კი მაროკოს 23-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ოლიმპიადაზე იასპარეზა. ელ კაუტარი მონპელიეში დაიბადა და მთელი კარიერა მშობლიურ კლუბში გაატარა. 2009 წელს მან ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების რიგებში ითამაშა, მაგრამ შემდეგ დედ-მამის სამშობლოს ღირსების დაცვა გადაწყვიტა და 2011 წელს მაროკოს ეროვნულ ნაკრებში ითამაშა.

### რაიან მენდესი (კაბო ვერდე)

**რაიან მენდესი** "ლილში" მიმდინარე სეზონის დაწყების წინ გადავიდა და ლიგა 1-ის 9 შეხვედრაში 2 გოლიც გაიტანა. 23 წლის ფლანგის შემტევს საფრანგეთში აქამდეც საკმაოდ კარგად იცნობდნენ, რადგან კაბო ვერდელი ბოლო 3 წლის განმავლობაში ლიგა 2-ის წარმომადგენელ "ლე ავრში" ბრწყინავდა და ამ გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. შარშანდელ სეზონში მენდესმა 34 შეხვედრაში 13 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც "ლილის" თავკაცმა **რუდი გარსიამ** მასში 3 მილიონი ევროს გადახდა გადაწყვიტა.

### აბდელკადერ უესლატი (ტუნისი)

21 წლის ფლანგის შემტევმა, ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო მატჩი 2012 წლის 13 ოქტომბერს, აფრიკის თასის შესარჩევი ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრაში ჩაატარა და თავი იმდენად კარგად წარმოაჩინა, რომ ადგილი ნაკრების საბოლოო განაცხადშიც დაიბევა. **უესლატი** საფრანგეთში დაიბადა, ფეხბურთის თამაში კი მადრიდის "ატლეტიკოს" ახალგაზრდულ გუნდში დაიწყო. ტუნისელს პრიმერაში დებიუტი აგვისტოში, "ლევანტესთან" ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, რის გამოც 2 თვე გამოტოვა.

### ტულანი სერერო (სამხრეთ აფრიკა)

22 წლის ნახევარმცველი წელს ტრავმებმა გააწამეს, არადა, სეზონი **სერერომ** საკმაოდ კარგად დაიწყო. სამხრეთ აფრიკელი ფეხბურთელი, ამსტერდამის "აიაქსში" კეიპთაუნის "აიაქსიდან" 2011 წლის ზაფხულში მას შემდეგ გადავიდა, რაც სამხრეთ აფრიკის პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული მიილო. პირველი სეზონი სერეროსთვის მაინცდამაინც კარგი არ გამოდგა, სამაგიეროდ წელს პირველ 4 ტურში, ახალგაზრდა ფეხბურთელმა 3 გოლი გაიტანა, რის შემდეგაც სერიოზული ტრავმა მიიღო. მართალია, სერერო ცოტა ხნის წინ გამოჯანმრთელდა და ფორმაში არ არის, მაგრამ "ბაფანა ბაფანას" მთავარი მწვრთნელი **გორდონ იგესუნდი** მას გუნდისთვის უმნიშვნელოვანეს მოთამაშედ მიიჩნევს და ახალგაზრდა ფეხბურთელზე დიდ იმედებს ამყარებს. "აიაქსის" ნახევარმცველს ნაკრებში 8 თამაში აქვს ჩატარებული, მაგრამ აქედან ოფიციალური მხოლოდ ერთი შეხვედრა იყო.



ტულანი სერერო (მარჯვნივ)

**ტატო ბაციკაძე**

თავისუფალი ჭიდაობა. ისაევის ტურნირი



გივი მაჭარაშვილი (მარცხნივ) ბაქოში

# ჭაბუკთა მედლები

## შანსი ყველას უნდა მიეცეს

**ქართველმა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკებმა 2 ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვეს ბაქოში დასრულებულ მუშვიგ ისაევის ხსოვნის მემორიალში. ტურნირის გამარჯვებულები გიორგი ყაზარაშვილი (54) და გივი მაჭარაშვილი (100) გახდნენ, ტარიელ გაფრინდაშვილი (69) მეორეზე გავიდა, გიორგი პასიკაშვილი (50) - მესამეზე.**

ჩვენი ნაკრების აწ უკვე ექსმთავარ მწვრთნელ **თამაზ ბენდიანიშვილს** ბაქოში გაფართოებული შემადგენლობის წაყვანა სურდა, რაკი იქ მიმოსვლა დიდ ხარჯებთან არაა დაკავშირებული, თუმცა ფედერაციის ახალმა ხელმძღვანელობამ, რომელიც ეს-ესაა, შეუდგა მუშაობას, მხოლოდ 10 კაცი ანუ სრული გუნდი დააფინანსა. ამას საკუთარი ხარჯით ორი სპორტსმენი დაემატა და რაც ყველაზე საინტერესოა, იმათგან ერთ-ერთი ჩემპიონი გიორგი ყაზარაშვილია. ესეც კიდევ ერთი მაგალითი იმისა, რომ შანსი ყველას უნდა მიეცეს და წინასწარ ვერავინ გათვლის, ვინ როდის რას გააკეთებს.

ყაზარაშვილის გარჯა მით უფრო დასაფასებელია, რომ ფინალში მასპინძელი **არიფ ჰუსეინოვი** დაამარცხა, ამას კი იქაურები იოლად არ დაუშვებდნენ, მეტოქეზე რამდენჯერმე ძლიერი თუ არ იქნებოდა. იმავეს ვიტყვით მაჭარაშვილზეც, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ასევე აზერბაიჯანელ **რუსტამ ჰაციბაევს** აჯობა. ანალოგიურ წარმატებამდე ერთი მოგება დააკლდა გაფრინდაშვილს, თუმცა მის მარცხს მასპინძლებს ვერ დავაბრალებთ - გადამწყვეტი შეხვედრა რუს **აბუმუსლიმ მუხდინოვთან** დათმო.

ტურნირი დიდად მრავალრიცხოვანი არ იყო, თუმცა ძლიერი ქვეყნები მონაწილეობდნენ - საკუთრივ აზერბაიჯანი, რუსეთი, უზბეკეთი და ყაზახეთი. ვფიქრობ, მათთან პაექრობა ჩვენს მოზარდებს კარგ გაკვეთილად წაადგებათ, ამ ნაკრების მომავალ საწვრთნელ გეგმას კი გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი, საბერძნეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ევროპის ჩემპიონი **ემზარ ბედინეიშვილი** გაგვაცნობს.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# ქვაცაბაია ნახევარფინალშია

ანთალიის ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი ტურნირის ნახევარფინალში გავიდა თბილისელი **სოფიო ქვაცაბაია**. წყვილებში იგი უკრაინელ მარიანა ზაკარლიუკთან ერთად გამოდის. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ სოფიომ და მარიანამ, რომლებიც ტურნირზე მეოთხე ნომრად არიან განთესილი, მარიტ ბორონსტრს (ჰოლანდია) და ტაისია ზაკარლიუკს (უკრაინა) სძლიეს დაძაბულ პაექრობაში - 7:6, 7:6. ნახევარფინალში ისინი პირველ ნომრებს - რეკა-ლუკა იანისა (უნგრეთი) და ისაბელა შინიკოვას (ბულგარეთი) დაუპირისპირდებიან ფინალში გასასვლელად. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ელინა ბოეიკენსი - ისალინა ბონავენტურე (ორივე - ბელგია) და ჩიაკი ოკადაე (იაპონია) - მელის სეზერი (თურქეთი) შეხვდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**

# ანა იაპონელს დაუპირისპირდება

22 წლის ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი**, რომელსაც WTA-ს რეიტინგში 52-ე ადგილი უკავია, ამჟამად მელბურნში იმყოფება და ავსტრალიის ღია პირველობისთვის ემზადება. გუშინ წილისყრამ ჩვენებურის მეტოქე გამოავლინა: ეს გახლავთ ანას თანატოლი იაპონელი აიუმი მორიტა, რომელიც კლასიფიკაციაში 774 ქულით 81-ეა. 14 იანვარს ისინი პირველად შეხვდებიან ერთმანეთს. ტატიშვილმა ეს დაპირისპირება აუცილებლად უნდა მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში 100 ქულას დაკარგავს, რომელიც მან შარშან მელბურნში მოიპოვა სტარტზე მასპინძელი ეშლი ბარტის ძლევით (6:2, 7:6). მეორე წრეში მაშინ ქართველმა ჩოგბურთელმა დანიელ კაროლინ ვოზნიაცკისთან წააგო - 1:6, 6:7.

14 იანვარს ტატიშვილი იაპონურ ბარიერს თუ გადალახავს, მეორე წრეში 28-ე ნომრად განთესილ იაროსლავა შვედოვას (ყაზახეთი) და ანიკა ბეკს (გერმანია) შორის უძლიერესს გაუწევს მეტოქეობას.


ანა ტატიშვილი

**ვაჟა დანელია**

ამბები

## ტოტენჰემს სონი უნდა!

ინგლისური და გერმანული მედიის ცნობით, „ტოტენჰემს" „ჰამბურგის" სამხრეთკორეელი შემტევი ნახევარმცველის, **ჰეონ-მინ სონის** გადაბირება უნდა. „ბილდის" ინფორმაციით, 20 წლის სონი „ტოტენჰემის" ხელმძღვანელებს პირველ რიგში იმისთვის სჭირდებათ, რომ ამ უკანასკნელმა **აარონ ლენონს** კონკურენცია გაუწიოს და თუ საჭირო გახდა, გამოცდილი გარემარბი ღირსეულად შეცვალოს. სონს, რომელიც მიმდინარე სეზონში საკმაოდ კარგად ასპარეზობს, გერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი ფასი მინიმუმ 10 მილიონი ევროა. სამხრეთკორეელმა ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში 16 მატჩი ჩაატარა და 6 გოლის გატანა შეძლო.

## დე იონგმა ტრავმა მოიშუშა

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ჰოლანდიელი თავდამსხმელი **ლუუკ დე იონგი** საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და სრული დატვირთვით ვარჯიშს შეუდგა. *„მეორე წრის დაწყებას მოუთმენლად ველი, ფეხბურთის თამაში ძალიან მომენატრა. იმედი მაქვს, რომ „გლადბახის" ფანებს სეზონის მეორე ნახევარში ბევრჯერ გავახარებ,"* - თქვა 20 წლის ფორვარდმა დუბაიში, სადაც „გლადბახი" მეორე წრისთვის მოსამზადებელ შეკრებას გადის. ფეხბურთელმა, რომელიც მიონხენგლადბახელებმა ზაფხულში 12 მილიონ ევროდ იყიდეს და კლუბის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ძვირფასი შენაძენი გახდა, ოთხშაბათს, „ჰამბურგთან" ტესტ-მატჩში (2:2) ერთი ტაიმი ითამაშა.

## შტუტგარტში ეგიმანზე ფიქრობენ

„ჰანოვერში" **მარიო ეგიმანის** ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია. 31 წლის მცველს, რომელიც 24 იანვარს 32-ის ხდება, „წითლებთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება, ახალი ხელშეკრულების გაფორმება კი მისთვის ჯერ არ შეუთავაზებიათ. „კიკერის" ინფორმაციით, ეგიმანის გადაბირებაზე „შტუტგარტში" ფიქრობენ. მარიოს თავისი სამშობლოდან, შვეიცარიიდანაც აქვს წინადადებები...

## ფრაიბურგის ახალი იაპონელი

„ფრაიბურგმა" 18 წლის იაპონელი თავდამსხმელის, **კოსუკე კინოშიტას** ტრანსფერი სრულყო. ეს ფეხბურთელი გერმანულ კლუბში შარშან ამ დროსაც ისინჯებოდა, თუმცა ბრაისგაუელებმა მაშინ მისი გადაბირება ნაადრევად მიიჩნიეს. კინოშიტას, რომელსაც „მანჩესტერ სიტიც" ეპატიჟებოდა, ფრაიბურგელები ოფიციალურად 14 იანვარს წარადგენენ. იაპონური მედიის ცნობით, ტანმაღალ ცენტრფორვარდს (1.88 მეტრი) კარგი ტექნიკა და ძლიერი დარტყმა აქვს. ამასთან, ასეთი სიმაღლის კვალობაზე, საკმაოდ სწრაფიც ყოფილა.

**გოტფრიდ ლენცი**

ლელოს სტუმარი

# ლეილა მესხი

**1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (წყვილებში ნატალია ზვერევასთან ერთად), სსრკ ჩემპიონი (1989 წ.), 1990-1991 წლებში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა ოცეულის წევრი (საუკეთესო - XII ადგილი), „დიდი სლემის“ 23 ტურნირის მონაწილე (56 შეხვედრიდან 33 მოიგო), WTA-ს ხუთი ტურნირის (ნეშვილის, ოკლენდის, მოსკოვის, ველინგტონისა და ჰობარტის) გამარჯვებული, 1998-დან 2012 წლის მიწურულამდე საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 1995 წელს თავისივე სახელობის ჩოგბურთის აკადემიის დამაარსებელი — აი, ასეთი ტიტულები ამშვენებს ლეილა მესხის ბიოგრაფიას. სახელოვანი ქართველი ჩოგბურთელი გუშინ „ლელოს“ სტუმარი გახლდათ.**



# ჩოგბურთისათვის დაბადებული

— რვა წლისა მიმიყვანეს კორტებზე და საკმაოდ მალევე მივაღწიე შედეგებს, რომელიც უპირველესად „ლელოში“ დაიბეჭდა. არასდროს დამავიწყდება ის მხარდაჭერა, რომელიც მაშინ და მერეც გაზეთმა გამიწია. დედას იმდროინდელი უამრავი გაზეთი აქვს შენახული. ნოსტალგია რომ შემომაწვება, იმ გაყვითლებულ ფურცლებს ვათვალიერებ და კინოს კადრებივით გაირბენს ხოლმე თვალწინ განვლილი სპორტული ცხოვრება. „ლელო“ არის საქართველოში ერთადერთი მდიდარი ტრადიციების სპორტული გაზეთი, რომელიც თითქმის რვა ათეული წელიწადია, ქომაგებს აცნობს სპორტის გმირების ცხოვრებას, ემსახურება ქართულ სპორტს... დიდი მადლობა, რომ მომიწვიეთ.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ რვა წლისა ეზიარეთ ჩოგბურთს.**

— ეს მამაჩემის დამსახურებაა. დედასთვის უთქვამს — ბიჭი თუ შეგვეძინა, ფეხბურთელი იქნება, გოგო თუ გვეყოლა, ჩოგბურთელად გავზრდიო. ასე რომ, მამამ ჩემს დაბადებამდე იცოდა, შვილი სპორტის რომელ სახეობაში დაესაქმებინა. რომ წამოვიზარდეთ, მე და ჩემი და მამამ გურამ თოხაძესთან მიგვიყვანა. გამოცდილმა სპეციალისტმა მაშინვე განჭვრიტა, რომ ჩემგან ჩოგბურთელი დადგებოდა. ტრაბახად ნუ ჩამითვლით და ძალიან შრომისმოყვარე ვიყავი. მალე მივაღწიე შედეგებს. ეს იმანაც განაპირობა, რომ მამაჩემს ძალიან სჯეროდა ჩემი წარმატებების, რაც პასუხისმგებლობას მიორკეცებდა. სვანეთის უბანში გავიზარდე, სახლი გვქონდა ეზოთი. დედა ხეხილსა და ყვავილებს ახარებდა და უვლიდა. ერთ მშვენიერ დღეს, სამსახურიდან რომ

**მამაჩემის დამსახურებაა. დედასთვის უთქვამს — ბიჭი თუ შეგვეძინა, ფეხბურთელი იქნება, გოგო თუ გვეყოლა, ჩოგბურთელად გავზრდიო. ასე რომ, მამამ ჩემს დაბადებამდე იცოდა, შვილი სპორტის რომელ სახეობაში დაესაქმებინა.**

დაბრუნდა, ბაღი მიწასთან გასწორებული დახვდა — ასფალტი იგებოდა, რომ ჩემთვის კორტი მოეწყოთ. ასე რომ, 12 წლისას უკვე შინაც შემეძლო მევარჯიშა.

— **პირველად სად ითამაშეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ?**

— კალინინგრადში, სადაც პირველი ადგილი დავიკავე თანატოლებში. მაშინ თეიმურაზ კაკულია იყო ჩემი მწვრთნელი, რომელიც ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ არავის დავეჩაგრეთ. ევროპისკენაც გზა ხსნილი მქონოდა, ცხადია, პირადი შედეგების გათვალისწინებით.

საქართველოს ჩემპიონობა 14 წლისამ მოვიპოვე. შეჯიბრება თელავში გაიმართა და ფინალში ნინო თუხარელს ვძლიე. მაშინ თოხაძემ და კაკულიამ წარმატება მომილოცეს და დიდ ჩოგბურთზე შეგიძლია იფიქროო, მითხრეს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირიდან უცხოეთში გასვლას, თანატოლებში ევროპის პირველობაზე ვითამაშე საფრანგეთში, სადაც მე-3 ადგილი დავიკავე — ნახევარფინალში გერმანელ შტეფი გრაფთან დავმარცხდი, რომელსაც საჩოგბურთო სამყარო უკვე იცნობდა, კონტრაქტებიც კი ჰქონდა მსხვილ ფირმებთან.

— **კარიერის განმავლობაში ყველაზე მეტად რომელი შეჯიბრება დაგამახსოვრდათ?**

— 1991 წელს სამხრეთ კაროლინაში WTA-ს ტურნირი, სადაც მსოფლიოს რეიტინგით პირველი ათეულის სამ ჩოგბურთელს — ჯენიფერ კაპრიატის, ნატალია ზვერევას და მარტინა ნავრატილოვას ვძლიე. ეს იყო ჩემს კარიერაში დაუვიწყარი მომენტი, რადგან ნავრატილოვა ქალთა ჩოგბურთს დღემდე ლეგენდად შემორჩა. ჰილტონ ჰედის ტურნირის ფინალი კი გაბრიელა საბატინისთან წავაგე. თუმცა მომდევნო წლებში არგენტინელს ორჯერ ვაჯობე. 1990 წელს ნეშვილის ქალთა ტურნირი მოვიგე: ნახევარფინალში ბულგარელი მალეევა, ფინალში კი კანადელი კელესი დავამარცხე. საბჭოთა კავშირიდან ოლგა მოროზოვას შემდეგ პირველი ჩოგბურთელი ქალი გავხდი, რომელმაც უცხოეთში საერთაშორისო შეჯიბრება მოვიგე. მაშინ დიდი საპრიზო თანხა მივიღე და, ასე ვთქვათ, ამოვისუნთქე. ვიფიქრე, რომ ცხოვრება შეიძლება. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფინანსურად წელგამართული უკვე მთლიანად ორთაბრძოლებზე ვიყავი კონცენტრირებული და ფულზე არ ვფიქრობდი.

— **ბარსელონის ოლიმპიადაზე მესამე ადგილი დაიკავეთ. უკეთესი შედეგი თუ შეიძლებოდა?**

— ალბათ, შეგვეძლო. გამიმართლა, რომ წყვილში ნატაშა ზვერევასთან ერთად ვთამაშობდი. ის ძალიან ძლიერი მეწყვილე გახლდათ. იმის მიუხედავად, რომ ერთეულებში ხშირად მყავდა ძლეული, წყვილებში ახლოსაც ვერ მივიდოდი. მაშინ მსოფლიოში ის პირველი-მეორე იყო, მე კი მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე ადგილზე ვიყავი. ოლიმპიადას ნატალია ცუდ სპორტულ ფორმაში შეხვდა, ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა მე დამაწვა, რამაც ძალა შემმატა. ურიგოდ მაინც არ გვითამაშია: ნახევარფინალში გავედით და ერთადერთი მატჩი იქ ფერნანდესებთან დავთმეთ — 6:7, 6:7. არადა, იმ შეხვედრის მოგებაც შეიძლებოდა. ამიტომ მიმაჩნია, რომ ბრინჯაო, რომელიც მაშინ ავიღეთ, ჩვენი ტანდემის შესაძლებლობის მინიმუმი იყო. ამის შემდეგ მე და ზვერევამ რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი მოვიგეთ წყვილებში.

— **თქვენ მესამე ოლიმპიურ თამაშებშიც შეგეძლოთ მონაწილეობა. ნაადრევად ხომ არ დაანებეთ კორტს თავი?**

— 1988 წელს საბჭოთა ნაკრებში, 1992 წელს კი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გუნდში ვიყავი. კარგი იქნებოდა, 1996 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მეთამაშა. სამწუხაროდ, ტრავმამ შემიშალა ხელი. ჩოგბურთს თავი რომ დავანებე, 28 წლის ვიყავი. 1995 წელს მე-4 კატეგორიის ტურნირი მოვიგე ავსტრალიაში. თუმცა წინა წელს სერიოზული ტრავმა მივიღე და ყველა მატჩისას ძლიერ ტკივილს ვგრძნობდი. იძულებული გავხდი, აქტიურ სპორტს ჩამოვშორებოდი.

— **უცხოური ტურნირებისას ქართველ ემიგრანტებს თუ შეხვედრიხართ?**

— უამრავს. მე ისეთ დროს გავედი საერთაშორისო სარბიელზე, რომ უცხოეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან შეხვედრა საშიში აღარ იყო. მართალია, საზღვრებს გარეთ გასვლისას კი გვაფრთხილებდნენ, მაგრამ იქ უშიშროების კლანჭები არასდროს მიგრძვნია. ამიტომ ავსტრალიიდან, ამერიკიდან უამრავი წერილი, საჩუქარი თუ ფული მაქვს ჩამოტანილი ქართველებისთვის ემიგრანტი ნათესავებისგან გამოგზავნილი. ამ „ფოსტალიონობამ“ უამრავი მეგობარი შემძინა საზღვარგარეთ. ბევრთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. მაგალითად, პარიზში ნათელა ნიკოლაძე-ლამბაშიძესთან. 1990 წელს როლან გაროსზე ავსტრალიელი მაკ ქილანი და რუსი ლარისა სავჩენკო დავამარცხე, მეთექვსმეტედფინალში იუგოსლაველ მონიკა სელეშს შევხვდი. ამ მატჩის ტრანსლაცია საფრანგეთის ტელევიზიით გადაიცემოდა. პარიზში მცხოვრებ ნათელა ნიკოლაძე-ლამბაშიძეს ეკრანზე ჩემი გვარი რომ წაუკითხავს, მაშინვე წამოსულა კორტებზე და გასახდელში მოგვაგნო. დედამისი თურმე 1937 წელს ქალთა შორის საქართველოს პირველი ჩემპიონი გამხდარა ჩოგბურთში. იან ჰომერმა მაშინდელი პლეხანოვის კორტებზე რომ მნახა, იმდენად მოეწონა ჩემი თამაში, რომ „ვერცხლის ფოთოლი“ მაჩუქა, რომელსაც აწერია - 1937 წლის საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა პირველი ჩემპიონატის გამარჯვებული. მსგავსი „ფოთოლი“ ქალბატონმა ნათელამაც მაჩუქა. საინტერესო დამთხვევაა. ასე რომ, საქართველოს პირველი ჩემპიონების „ვერცხლის ფოთლები“ ჩემს კოლექციაში ინახება.

— **თქვენ 14 წელიწადი საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იყავით. ამ პერიოდის შესახებ რას იტყვით?**

— უფრო, ალბათ, დასაწყისსა და ბოლოს გავიხსენებ. 90-იანი წლების დასაწყისში შინ რომ დავბრუნდი, საქართველოში ეკონომიკური სიდუხჭირე სუფევდა. მანამდე გერმანიის ბუნდესლიგაში ვთამაშობდი საკმაოდ წარმატებულად, ორჯერ ჩემპიონბა მოვიპოვე. ასე ვთქვათ, საქმე აწყობილი მქონდა, მაგრამ დადგა საკითხი, საბოლოოდ სად მეცხოვრა. რა თქმა უნდა, სამშობლოს მოვაშურე. მაშინ პრივატიზაციები ახალი დაწყებული იყო და პირველი რაც გავაკეთეთ, მარჯანიშვილის კორტები შევიძინე და ჩემი სახელობის ჩოგბურთის აკადემია გავხსენი. ნამდვილად ვამაყობ ამ სკოლით. ძნელბედობის ჟამსაც არ შეგვიწყვეტია მუშაობა — მეტროპოლიტენიდან ვიღებდით ელექტროენერგიას და ერთი ვარჯიშიც არ ჩაგვიგდია. ამან თავისი როლი შეასრულა. სანამ ფედერაციის პრეზიდენტი გავხდებოდი, საერთაშორისო ტურნირები ჩავატარე საქართველოში, რითაც, მიმაჩნია, რომ დიდი საქმე გავაკეთე. მართალია, ამ წამოწყებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა — ფულს უცხოელი სპორტსმენები წაიღებენო. მაგრამ იმის შიშით, რომ ავსტრალიასა და ინგლისში მასპინძლები პირველ ადგილებს ვერ დაიკავებენ, მწვანე კონტინენტის ღია ჩემპიონატი და უიმბლდონი არავის გაუუქმებია. საქართველოში გამართულმა ტურნირებმა ის მოგვცა, რომ ჩემი პრეზიდენტობის ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი ქალთა ნაკრები მსოფლიო ფედერაციის თასის გათამაშების პირველ ლიგაში გადავიდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადის ორი ლიცენზია მოვიპოვეთ. საერთაშორისო ფედერაციასთან ჩემი პირადი კონტაქტების წყალობით გამოგვიყვეს 2 საგზური, თუმცა ანა ტატიშვილმა თავად დაიმსახურა ლონდონის საგზური, მაგრამ წყვილებში საერთაშორისო ფედერაციამ 6 ლიცენზიიდან ორი ადგილი ჩვენ გვარგუნა. ცხადია, ჭაბუკების წარმატებაცაა გასათვალისწინებელი. ალექსანდრე ბაკში 16-წლამდელებში 8 საუკეთესოს მასტერსზე მოხვდა. ყოველივე ეს კი იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც დღეს ქართულ ჩოგბურთშია, განსაკუთრებით რეგიონებში, მიმაჩნია, რომ ზემოაღნიშნული დიდი შედეგია.

— **ფედერაციის ბოლო ყრილობაზე დელეგატებმა ახალ ხელმძღვანელად ალექსანდრე მეტრეველი-უმცროსი აირჩიეს. ლეილა მესხი ოპოზიციაში ჩადგომას ხომ არ აპირებს?**

— არავითარ შემთხვევაში. ეს ჩემი პოლიტიკა არ არის. ყრილობაზე მოხდა სრულიად ლოგიკური ფაქტი: 14 წელიწადი ვიმუშავე ფედერაციის პრეზიდენტად. მუდმივი არაფერია. მე ხომ პროფესიონალი სპორტსმენი ვარ. მართალია, უფრო მოგებებს, მაგრამ გამარჯვებებთან ერთად მარცხსაც მიჩვეული ვარ. ამ გადარჩევით, მართალი გითხრათ, ერთი დიდი ტვირთი მომეხსნა, რადგან ფედერაციის პრეზიდენტობა უდიდესი ვალდებულება და პასუხისმგებლობაა. განსაკუთრებით იმ სფეროში, სადაც ფედერაცია უნდა შეინახო, არ არსებობს სპონსორობის არანაირი ინსტიტუტი. ყველაფერი მხოლოდ პირად კონტაქტებზეა დამოკიდებული. ჩოგბურთის გასავითარებლად სახელმწიფომ სხვა პოლიტიკა უნდა გაატაროს. ვიმედოვნებ, რომ ასეც იქნება და ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობასაც წარმატებებს ვუსურვებ.

როგორც იცით, ჩემი სკოლა მაქვს და მისი განვითარებისთვის მეტი დრო დამრჩება. ვემსახურებოდი და მომავალშიც მოვემსახურები ქართულ ჩოგბურთს. სანამ პრეზიდენტი გავხდებოდი, მანამ ჩავუყარე საფუძველი საქართველოში საერთაშორისო ტურნირებს. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ეს შეჯიბრებები მომავალშიც არ შეწყდეს. ძალიან მალე ჩოგბურთის აკადემია მემორანდუმს გააფორმებს კომპანია „კოკა-კოლასთან“ და ჩვენი სკოლის ნაკრები უფასოდ გაივლის შეკრებებს, დაფინანსდება სხვადასხვა ტურნირზე. სხვა სპონსორებთანაც მაქვს მოლაპარაკება და ყველაფერი ეს ქართული ჩოგბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს. თებერვლის მიწურულს დონეცკში გავემგზავრები - იქაურ ჩოგბურთის აკადემიასთან ერთობლივი პროექტის განხორციელებას ვაპირებ. დღევანდელ ჩოგბურთში უნდა იყვნენ ფინანსურად ძლიერი ადამიანები, რომ სპორტის ეს სახეობა განვითარდეს, რადგან პროფესიონალ სპორტსმენებს თანადგომა სჭირდებათ: ოთხი-ექვსი საათი ვარჯიში, კარგი მწვრთნელი, ტურნირებზე გამგზავრება. ყოველივე ეს პრობლემებთან არის დაკავშირებული, რადგან ბიუჯეტი საკმაოდ მცირეა, იმის მიუხედავად, რომ ბოლო ორი წელიწადი ფედერაციებს შორის დაფინანსებით მეოთხე ადგილზე ვიყავით. ეს არ არის საკმარისი. არადა, როგორც ვიცი, წლევანდელი ბიუჯეტი, შარშანდელთან შედარებით, მაინცდამაინც არ გაიზრდება. 150 ათასი ლარით ჩოგბურთს ვერ შეინახავ. მაგალითად, საფრანგეთში 2 მილიონი ლიცენზირებული ჩოგბურთელია, თითოეული წელიწადში 20 ევროს იხდის. ნახეთ, როგორი ბიუჯეტი აქვთ. ჩვენთან ლიცენზირება რომ დავიწყეთ საერთაშორისო ფედერაციის მოთხოვნით, ვერ წარმოიდგენთ, როგორი [illegible] — შესნი ფულს აკეთებსო. არადა, ლიცენზირებისთვის წლიური გადასახადი იყო 30 ლარი. სულ 200 ჩოგბურთელი გვყავს ლიცენზირებული. უცხოეთში ლიცენზირებისთვის თანხას იმიტომ იხდიან სიამოვნებით, რომ ეს ფული ჩოგბურთის განვითარებას მოხმარდეს. ეს არის კულტურა. წინააღმდეგობების მიუხედავად, ამგვარი ხედვა ნელნელა ჩვენთანაც მკვიდრდება.

— **იან ჰომერის კორტებზეც გვინდა გკითხოთ...**

— ჩვენი მიზანი იყო, აგვეშენებინა ჩოგბურთის უდიდესი ბაზა, სადაც მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირები გაიმართებოდა, ნაკრები გუნდები ივარჯიშებდნენ. მაშინ მშენებლობის დამთავრებას თანხა არ ეყო და საბანკო კრედიტი ავიღეთ. მჯეროდა, რომ ის ადამიანები, რომლებმაც ხელი მოკიდეს ამ საქმეს, წარმატებით დაასრულებდნენ ყველაფერს, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა, რამაც გული დამწყვიტა. ის ბაზა ფეხბურთს გადაეცა.

— **კარიერის განმავლობაში თილისმა თუ გქონიათ ან შეჯიბრების წინ რაიმე რიტუალს ხომ არ ასრულებდით?**

— სპორტსმენობისას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დილით როგორ ავდგებოდი, ხურდას თუ ვიპოვიდი... დღემდე ჩანთაში მიდევს ერთდოლარიანი, რომელსაც 25 წელიწადია, თან ვატარებ. მართალი გითხრათ, დღეს ამგვარ რამეებს ნაკლებად ვაქცევ ყურადღებას.

— **ანა ტატიშვილსა და ნიკოლოზ ბასილაშვილზე რას იტყვით?**

— ანა უდიდესი ჩოგბურთელია. განსაკუთრებით მის შრომისნაყოფიერებას ვაფასებ. როცა ადამიანი ამდენს ირჯება, წარმოუდგენელია, წარმატებას არ მიაღწიოს. დარწმუნებული ვარ, რომ ანა კიდევ ბევრ გამარჯვებას მოიპოვებს. რეიტინგით ჯერ კიდევ 220-ე იყო, როცა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მაშინდელ პრეზიდენტ გია ნაცვლიშვილს ვუთხარი, რომ ტატიშვილი ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვდება-მეთქი. არ ეჯერა, რომ სამ წელიწადში ანა ამას შეძლებდა. ხომ ნახეთ, ანამ ლონდონში იასპარეზა. დღეს რეიტინგში 52-ეა, მაგრამ პირველი ოცეულის დონეზე თამაშობს. ჩვენი ვაჟთა ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ბასილაშვილის დაბრუნება. მამაკაცებში მეტი კონკურენციაა, ამიტომ ძნელად მიდის წინ, მაგრამ მჯერა, რომ ბასილაშვილს დიდი პოტენციალი აქვს, ოღონდ მას ხელშეწყობა სჭირდება.

სასიამოვნოა ისიც, რომ ახალი თაობის მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა, განსაკუთრებით იმ ასაკს, რომელმაც 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იასპარეზოს. ორ-ორი ნაკრები ჩამოყალიბდა გოგონებსა და ბიჭებში. დაფინანსებაც ნორმალურია. მიმაჩნია, რომ ესეც ქართულ ჩოგბურთს სასიკეთოდ წაადგება.

ვაჟა დანელია



## ქართული სპორტი

კალათბურთი



# სეზონი მემორიალით განახლდება

საქართველოს საკალათბურთო სეზონი 15 იანვარს 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების — **მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის** მემორიალით განახლდება. შეჯიბრებაში სუპერლიგის 9 გუნდი იასპარეზებს. ქუთაისმა და ბათუმმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

მოასპარეზენი სუპერლიგის პირველი წრის ცხრილის მიხედვით ორ ჯგუფში გადანაწილდნენ: **A ჯგუფში** „ოლიმპი“, არმია“, „დინამო“, თსსუ და სტუ დაუპირპისპირდებიან ერთმანეთს. **B ჯგუფში** შსს, „რუსთავი“, თსუ და „სოხუმი“ გაარკვევენ ურთიერთობას ერთ წრედ. ჯგუფების გამარჯვებულნი ფინალში მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ. მემორიალს ვაკეში საკალათბურთო აკადემიის დარბაზი უმასპინძლებს. ტურნირის პირველ დღეს (15 იანვარს) ითამაშებენ „დინამო“ — „სტუ“, თსსუ — „არმია“. დანარჩენ ორთაბრძოლათა კალენდარი კი ასეთია: **16 იანვარი.** „არმია“ — სტუ, თსსუ — „ოლიმპი“. **17 იანვარი.** „სტუ — „ოლიმპი“, თსუ — შსს, „რუსთავი“ — „სოხუმი“, „არმია“ — „დინამო“. **18 იანვარი.** „რუსთავი“ — თსუ, სტუ — თსსუ, შსს — „სოხუმი“, „ოლიმპი“ — დინამო“. **20 იანვარი.** „დინამო“ — თსსუ, „სოხუმი“ — თსუ, შსს — „რუსთავი“, „ოლიმპი“ — „არმია“. ფინალური მატჩი 22 იანვარს გაიმართება.

ამავე დღეს სტარტს აიღებს საქართველოს თასის გათამაშება, რომლის წილისყრაც გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა. შეჯიბრებაში 11 გუნდი ჩაებმება. საკვალიფიკაციო ეტაპზე 22 იანვარს ითამაშებენ „ბათუმი“ — სტუ, „სოხუმი“ — თსსუ. ამ წყვილებში გამარჯვებულნი 23 იანვარს გამოავლენენ მეოთხედფინალში (24 იანვარი) არმიის მეტოქეს. დანარჩენი გუნდები კი ასე დაწყვილდნენ: შსს — თსუ, „რუსთავი“ — „ქუთაისი“, „ოლიმპი“ — „დინამო“. 25 იანვარს თასის ნახევარფინალები, 27 იანვარს კი სპორტის სასახლეში ფინალია დაგეგმილი.

„ქორქია-საკანდელიძის მემორიალს თასის გათამაშებისა და სუპერლიგისთვის მოსამზადებლად გამოვიყენებთ, — გვითხრა წილისყრის შემდეგ რუსთავის კლუბის დირექტორმა **ამირან ხაჩიძემ.** — ამ შეჯიბრებებისთვის მონდომებით ვემზადებით. დღეს წილისყრამ ბადის მეორე მხარეს, სადაც ჩვენ ვართ, ძლიერი კლუბები მოახვედრა. ამის მიუხედავად, წარმატებისთვის არაფერს დავიშურებთ“,

ვაჟა დანელია

ჭიდაობა, ფედერაცია

# მშვიდი ალმასკომი და საკლუბო სისტემა

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულმა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომამ მწვრთნელთა საკითხის ნაცვლად 19-24 მარტს თბილისში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე იმსჯელა. სწორედ ამ მაღალი მისიის გამო მას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე **თამაზ თევზაძე** და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **ლერი ხაბელოვი** ესწრებოდნენ. ითქვა, რომ უახლოეს მომავალში სამთავრობო კომისია შეიქმნება პრემიერ მინისტრ **ბიძინა ივანიშვილის** ხელმძღვანელობით, რომელიც ყველა პრობლემას მოაგვარებს. პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად უკვე შეიქმნა საორგანიზაციო მუშა ჯგუფი, რომელშიც ფედერაციის ხელმძღვანელები და ვეტერანი მოჭიდავეები შევიდნენ.

სხდომაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვიცე-პრეზიდენტების დამტკიცება იყო. მოგეხსენებათ, ფედერაციის პრეზიდენტ **ლუკა კურტანიძეს** მათი წარდგენის ნება ჰქონდა, კანდიდატურები კი პრეზიდიუმს უნდა დაემტკიცებინა. საბოლოოდ ამ პოსტებზე ბიზნესმენი **ვალერი გელაშვილი,** მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **ბაკურ გოგიტიძე** და წლების განმავლობაში დედაქალაქის სპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი **ვლადიმერ კანკავა** აირჩიეს. მათი ფუნქციები ასე გადანაწილდება: გელაშვილი ბიზნესთან ურთიერთობაზე იმუშავებს, გოგიტიძე რეგიონებში მუშაობის გაძლიერებას მიხედავს, კანკავა კი უფრო ფედერაციის საორგანიზაციო საკითხებს მოაგვარებს.

კურტანიძის ინიციატივით, ჩამოყალიბდა ჩემპიონთა კლუბი, რომელიც ქვეყნის ყველა ტიტულოვან ფალავანს გააერთიანებს. თევზაძის თქმით, უკვე ამ სეზონიდან საკლუბო სისტემა ამოქმედდება და ვინძლო საქართველოს საკლუბო პირველობაც ჩატარდეს.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

# ლიდერთან ქულათა სხვაობა გაიზარდა

ერევანში ანდრანიკ მარგარიანის მემორიალზე გუშინ მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. ქართველმა მოჭადრაკეებმა კვლავ სუსტად იასპარეზეს: **შოთა აზალაძე** თეთრებით რუს ალექსეი გოგანოვს დაუზავდა, **დავით ბენიძემ** კი ერთპიროვნულ ლიდერ მარტინ კრავცივთან დათმო პარტია. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ შტეფან ჟილკამ (ჩეხეთი) ტიგრან ჰარუთიუნიანს (სომხეთი) მოუგო, ხოლო სომეხმა კარენ გრიგორიანმა თანამემამულე ლევონ ბაბუჯიანს აჯობა. ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი) და ანდრეი ბარიშპოლეცი (უკრაინა) ყაიმზე შეთანხმდნენ.

ხუთი ტურის შემდეგ: კრავცივი — 4, გრიგორიანი — 3,5, გოგანოვი — 3, ბარიშპოლეცი, ჰარუთიუნიანი, ბენიძე — 2,5-2,5, ბაბუჯიანი, აზალაძე — 2-2, ჟილკა, გაბუზიანი — 1,5-1.5 ქულა.

დღეს მე-6 ტურში ითამაშებენ: ბაბუჯიანი — ჟილკა, კრავცივი — ჰარუთიუნიანი, გოგანოვი — ბენიძე, ბარიშპოლეცი — აზალაძე, გრიგორიანი — გაბუზიანი.

ვაჟა დანელია



დავით ბენიძე

თარიღები და მოვლენები

## 12-13 იანვარი

**12. 1937 წ.** დაიბადა **მიხეილ მესხი** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 1991 წელს.

**12. 1970 წ.** ბაკურიანში გაიხსნა ახალი 90-მეტრიანი ტრამპლინი. გახსნაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უძლიერესი მხტომელები, რომლებიც ბაკურიანში საკავშირო თასის გათამაშებისთვის (17-18 იანვარი) ემზადებოდნენ. ტრამპლინის პირველი რეკორდსმენი გახდა **კობა წაქაძე** — 104 მ.

**12. 1978 წ.** დაიბადა **ილია გიორგაძე** — ტანვარჯიში.

**13. 1913 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ჯორბენაძე** — ფეხბურთი. გარდაიცვალა 1985 წელს.

**13. 1932 წ.** დაიბადა **ვლადიმერ ლავრინენკო** — ცურვა. გარდაიცვალა 2004 წელს.

**13. 1971 წ.** საქართველოს განათლების მინისტრმა ხელი მოაწერა ბრძანებას „ფიზიკურ კულტურაში მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვისა და ნიშნის დაწერის შესახებ“.

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

განმეორებით გაცნობებთ, რომ ზამთრის XXII ოლიმპიურ თამაშებზე (სოჭი, 2014 წლის 7-23 თებერვალი) დასასწრებლად და მის გასაშუქებლად საჭირო აკრედიტაციის მისაღებად ქართული სპორტული მასმედიის წარმომადგენლებმა განაცხადით უნდა მიმართონ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურს.

სოჭში ჟურნალისტის მგზავრობის, ცხოვრების, კვების და სხვა აუცილებელ ხარჯებს იხდის მიმავლინებელი ორგანიზაცია.

სეოკ-ში განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2013 წლის 25 იანვარი. მისამართი (მაჩაბლის ქ. № 11; ტელ: 2 510057; 577 40 50 30)

*საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი*

მოსაგონარი

## ნიკა ამირეჯიბი



*ორმოცი დღე გავიდა ღვაწლმოსილი პიროვნების, ცნობილი საფეხბურთო მსაჯისა და მწვრთნელის **ნიკოლოზ (ნიკა) ამირეჯიბის** გარდაცვალებიდან.*

ნიკა ამირეჯიბმა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დაიწყო სამსაჯო და სამწვრთნელო საქმიანობა, მიზანდასახულობითა და საკუთარ თავზე სისტემური მუშაობით ჯერ კიდევ ახალგაზრდამ მიაღწია სერიოზულ წარმატებებს. თავდაპირველად აქცენტი მსაჯობაზე ჰქონდა გადატანილი — მსაჯობდა კიდეც უმაღლესი რანგის საფეხბურთო მატჩებს, რისთვისაც საკავშირო კატეგორიის წოდებაც მოიპოვა, მაგრამ ჩქარა მასში მწვრთნელის პროფესიის დაუფლების სურვილმა იძალა და მთელი ცხოვრება ამ რთულ და საინტერესო საქმეს შეალია. სწორედ ამ სფეროში შეძლო მან საკუთარი თავის სრულად რეალიზება და მაღალი შედეგების მიღწევა.

ნიკას მთლიანი გადართვა სამწვრთნელო პროცესზე მისი ცხოვრების ერთმა მნიშვნელოვანმა ეპიზოდმა განსაზღვრა. ის მაშინ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. მიუხედავად თბილისის „დინამოს“ იმ პერიოდის დიდი წარმატებებისა, იქ, მაღლა, არ მოსწონდათ ნოდარ ახალკაცის შეუვალობა, „მძიმე ხასიათი“ და მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს. „დინამო“ მოსამზადებელ საწვრთნელ შეკრებაზე ლესელიძეში იმყოფებოდა და ხელმძღვანელობამ ნიკა, როგორც ავტორიტეტული ფიგურა, სპეციალური დავალებით მიავლინა ლესელიძეში, ნ. ახალკაცის საქმიანობის შესასწავლად და „საჭირო მასალის“ ჩამოსატანად.

ნიკამ მართლაც დეტალურად შეისწავლა „დინამოს“ მზადების პროცესი და ვრცელი მოხსენებითი ბარათიც წარადგინა, რომელშიაც დასაბუთებული იყო ნოდარ ახალკაცის მაღალპროფესიულობა და გუნდის მზადების სწორი, მიზანმიმართული პროცესი.

„დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის“ ნიკა იმავე დღეს გაათავისუფლეს სამსახურიდან. დიდად არ უდარდია პრესტიჟული თანამდებობის დაკარგვა, პირიქით, თავისი კაცური საქციელით, შინაგანად ამაღლებული, სამართლიანად განიცდიდა სიამაყის გრძნობას.

ნ. ამირეჯიბის განვრთნილმა ჭაბუკთა და ახალგაზრდულმა გუნდებმა ხუთჯერ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, მათ შორის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე. როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი, იგი სსრკ ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელადაც იყო მიწვეული. ნიკას დიდი ღვაწლი აქვს 1967 და მომდევნო წლებში დაბადებული საქართველოს თითქმის ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელის დაოსტატებაში, რომლებიც მას ყოველთვის მოწიწებით მოიხსენიებდნენ მასწავლებლად და უფროს მეგობრად.

ნიკა ამირეჯიბი 90-იან წლებში წარმატებით საქმიანობდა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში. განსაკუთრებული პათოსითა და გულისტკივილით იხსენებდა აფხაზეთის ომის დროს სოხუმის „ცხუმში“ მოღვაწეობას, სადაც ის თავისი მეგობრის, ცნობილი მსაჯის, იმ დროს ქ. სოხუმის მერის, მართლაც რომ გამორჩეული პიროვნების გურამ გაბესკირიას მიწვევით მუშაობდა, რომელიც სოხუმის დაცემის დღეს სეპარატისტებმა ვერაგულად დახვრიტეს ჟიული შარტავასთან ერთად.

ნიკა ჩვენს სამეგობროში გამოირჩეოდა ინტელექტით, კეთილშობილებითა და არისტოკრატულობით. ახლობლის ოჯახში რიგითი სტუმრობის დროსაც კი ყვავილებით ან ტკბილეულით ხელდამშვენებული ეახლებოდა დიასახლისს. პურობისას ძნელად თუ მოასწრებდი „ჯიბეში ხელის ჩაყოფას“, სხვადასხვა ფორმით ხშირად ეხმარებოდა მეგობრებსა და ნათესავებს, ლამაზად გამოსდიოდა ეს საქმე, ფინანსურად სხვებზე შეძლებული არ იყო, უბრალოდ, სულით იყო მდიდარი კაცი.

ასეთი გახლდათ მისი ცხოვრების წესი.

ნიკა ამირეჯიბი ფრიად ვალმოხდილი გადასახლდა „სამუდამო მხარეში“ და მისი ნათელი სული დღეს გახარებულია მშობლების, შვილის ვახოს და ახლობელი ადამიანების ირაკლის, საშკას, რემკას, კოტეს, გურამის, კარლოს და სხვა მრავალთა და მრავალთა სულებთან იმქვეყნიური მარადიული ურთიერთობით.

Ⓡ

დათო კვინიკაძე

ლეგიონერები

# პლეი ოფში გასვლისთვის ექვსი იბრძვის

**ევროთასების გათამაშებაში ჯგუფური ტურნირის ბოლო, დასკვნითი ეტაპი იწყება. ამ უქმეებზე ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართება. ყველაზე პრესტიჟულ, „ჰაინეკენის თასზე“ ექვსი „ქართული გუნდიდან“ პლეი ოფში გასვლის შანსი ხუთს აქვს.**



გიორგი ნაცარაშვილი ( ბურთით) და ლევან დათუნაშვილი (შლემით)

უშანსოდ მხოლოდ A ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგია“, რომელმაც აქამდე ოთხი თამაშიდან ოთხივე წააგო და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა. ედინბურგელები ბოლოსწინა, მეხუთე ტურში შინ ეთამაშებიან მესამეადგილოსან ირლანდიურ „მანსტერს“, რომელიც წარმატების შემთხვევაში პლეი ოფში მოხვედრის შანსს გაიზრდის.

ამავე ჯგუფში ლიდერი ინგლისური „სარასენზი“ სტუმრად ეთამაშება მეორეადგილოსან „მეტრო რასინგს“.

B ჯგუფში პლეი ოფში გასვლისთვის **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი“ იბრძვის. ევროპული რაგბის ამ გრანდმა ოთხიდან სამი შეხვედრა მოიგო და ამჯერად სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. ასეთივე მაჩვენებელი აქვს ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს“, თუმცა ამ გუნდს ტულუზელებზე ერთი ქულით მეტი აქვს.

„ტულუზი“ მეხუთე ტურში შინ მიიღებს ჯგუფის აუტსაიდერ იტალიურ „ბენეტონს“. კაკოვინი ძირითად შემადგენლობაშია, ბრეგვაძე ჯერ ისევ ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას გადის.

ამავე ჯგუფში, „ლესტერ ტაიგერზი“ სტუმრად ეთამაშება უელსურ „ოსფრიზს“.

მეორე ადგილზეა D ჯგუფში მოასპარეზე **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“. ჩვენებურის გუნდმა, ისევე როგორც „ტულუზმა“, ოთხიდან სამი თამაში მოიგო და 12 ქულა დააგროვა. კასტრელები ამჯერად სტუმრად ეთამაშებიან ინგლისურ „ნორსჰემპთონს“, რომელსაც ორი ქულით უსწრებენ. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაშია.

ამავე ჯგუფში ლიდერია ირლანდიური „ალსტერი“, რომელიც „კასტრს“ სამი ქულით ჯობნის. ირლანდიელები მეხუთე ტურში შინ მიიღებენ აუტსაიდერ „გლაზგოს“ და გამარჯვების შემთხვევაში, ერთი ტურით ადრე გაინაღდებენ პლეი ოფის საგზურს.

ასევე ერთი ტურით ადრე გააღწევს მეოთხედფინალში **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი“. ოღონდ იმ შემთხვევაში თუ შინ ინგლისურ „ექსეტერს“ მოუგებს. „ვულკანებს“ 18 ქულა აქვთ და მეორეადგილოსან ირლანდიურ „ლენსტერს“ რვა ქულით უსწრებს. ამ უკანასკნელზე ერთი ქულით ნაკლები აქვს „ექსეტერს“.

ირლანდიელები, რომლებიც „ჰაინეკენის თასის“ ამჟამინდელი მფლობელები არიან, შინ ეთამაშებიან აუტსაიდერ „ჰლანეჰლის“. „ვულკანების“ თავკაცმა **ვერნ კოტერმა** საასპარეზოდ საბრძოლო შემადგენლობა დაასახელა. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაშია, კოლელიშვილი განაცხადში არ არის.

F ჯგუფში პირველი ადგილისთვის ორი „ფრანგულ-ქართული გუნდი“ იბრძვის. **დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონი“ 18 ქულით პირველ ადგილზეა, მას **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის** „მონპელიე“ ხუთი ქულით ჩამორჩება.

„ტულონი“ შინ ეთამაშება აუტსაიდერ უელსურ „კარდიფს“, რომელმაც ოთხ ტურში მხოლოდ ერთი ქულის დაგროვება შეძლო. ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაშია, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში არ არიან.

„მონპელიეს“ ბევრად უფრო რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი. ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად ეთამაშება მესამეადგილოსან ინგლისურ „სეილ შარქსს“. წარუმატებლობის შემთხვევაში მონპელიელები მეოთხედფინალში გზას „ტულონს“ ერთი ტურით ადრე გაუხსნიან.

გორგოძე ძირითად შემადგენლობაშია, ნარიაშვილი **ფაბიენ გალტიემ** სათადარიგოთა შორის გაამწესა, ჟღენტი ტრავმირებულია.

**ჰაინეკენის თასი**

**A ჯგუფი**

**V ტური**

მეტრო რასინგი-სარასენზი, ედინბურგი-მანსტერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სარასენზი - 14 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 12, 3. მანსტერი - 11, 4. ედინბურგი - 0.

**B ჯგუფი**

ტულუზი-ბენეტონი, ოსფრიზი-ლესტერ ტაიგერზი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლესტერი - 14 ქულა, 2. ტულუზი - 13, 3. ოსფრიზი - 9, 4. ბენეტონი - 1.

**C ჯგუფი**

ზებრე-ბიარიცი, ჰარლიქვინზი-ქონოთი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჰარლიქვინზი - 19 ქულა, 2. ბიარიცი - 9, 3. ქონოთი - 8, 4. ზებრე - 0.

**D ჯგუფი**

ნორსჰემპთონი-კასტრი, ალსტერი-გლაზგო

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ალსტერი - 15 ქულა, 2. კასტრი - 12, 3. ნორსჰემპთონი - 10, 4. გლაზგო - 2.

**E ჯგუფი**

ლენსტერი-ჰლანეჰლი, კლერმონი-ექსეტერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კლერმონი - 18 ქულა, 2. ლენსტერი - 10, 3. ექსეტერი - 9, 4. ჰლანეჰლი - 2.

**F ჯგუფი**

სეილ შარქსი-მონპელიე, ტულონი-კარდიფი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 18 ქულა, 2. მონპელიე - 13, 3. სეილ შარქსი - 4, 4. კარდიფი - 1.

„ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშების მეხუთე ტური A ჯგუფის ბინადართა მატჩით გაიხსნა. **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანმა“ შინ უმასპინძლა ინგლისურ “ლონდონ აირიშს” და 14:20 დამარცხდა. ამ წაგების შემდეგ მარსანელებმა პლეი ოფში მოხვედრის ყველანაირი შანსი დაკარგეს. მჭედლიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ამავე ჯგუფში ასპარეზობს კიდევ ერთი ქართველის **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდო“, რომელიც ერთი ქულით აუტსაიდერია. ბორდოელები მეხუთე ტურში შინ ეთამაშებიან ლიდერს, ინგლისურ „გლოსტერს“. ნავროზაშვილი განაცხადში არ არის.

ჯგუფური ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე პლეი ოფის საგზურის მოპოვების შანსი აქვს E ჯგუფის ლიდერს, **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს“, რომელმაც აქამდე ყველა თამაში მოიგო და 19 ქულა დააგროვა. მას კვალში უდგას კიდევ ერთი ფრანგული კლუბი „გრენობლი“, რომელსაც რვა ქულით ნაკლები აქვს. მეხუთე ტურში ერთმანეთის პირისპირ სწორედ ეს გუნდები დადგებიან. თუ პარიზელებმა სტუმრად გამარჯვების მოპოვება შეძლეს, მდევრებისგან მიუწვდომელნი იქნებიან. ჟვანია ძირითად შემადგენლობაშია.

ამავე ჯგუფში ინგლისური „ლონდონ ველში“ შინ ეთამაშება იტალიურ „პრატოს“.

**ემლინ ჩელენჯ კაპი**

**A ჯგუფი**

მონ დე მარანი-ლონდონ აირიში 14:20, ბორდო-გლოსტერი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. გლოსტერი - 18 ქულა, 2. ლონდონ აირიში - 15, 3. მონ დე მარსანი - 10, 4. ბორდო - 1.

**B ჯგუფი**

როვიგო-ვორსტერი, გერნიკა-პერპინიანი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვორსტერი - 15 ქულა, 2. პერპინიანი - 15, 3. გერნიკა - 8, 4. როვიგო - 1.

**C ჯგუფი**

ბაიონი-ნიუპორტი 25:22, ვოსფსი-მოლიანო

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ვოსფსი - 16 ქულა, 2. ბაიონი - 15, 3. ნიუპორტი - 12, 4. მოლიანო - 0.



მარჯვნიდან მეორე დავით ზირაქაშვილი

**D ჯგუფი**

კალვიზანო-ბუქარესტი, ბასი-აჟენი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბასი - 20 ქულა, 2. აჟენი - 12, 3. ბუქარესტი - 9, 4. კალვიზანო - 2.

**E ჯგუფი**

ლონდონ ველში-პრატო, გრენობლი-სტად ფრანსე

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სტად ფრანსე - 19 ქულა, 2. გრენობლი - 11, 3. ლონდონ ველში - 4, 4. პრატო - 2.

■ ■ ■

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში საშობაო არდადეგების შემდეგ გათამაშება მე-17 ტურის მატჩებით განახლდება. შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში გასასვლელად ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდი იბრძვის. ამათგან მოწინავეთა შორის სამია.

„ქართული გუნდებიდან“ საუკეთესო მაჩვენებელი **ლევან დათუნაშვილის, გიორგი ნაცარაშვილისა** და **კარლენ ასიეშვილის** „ორიაკს“ აქვს, რომელიც 49 ქულით მეორე ადგილზეა. ორიაკელებს დიდი ხანია ელიტურ, პირველ დივიზიონში არ უთამაშიათ და წლეულს წამყვანი კლუბების მარაქაში გარევის კარგი შანსი აქვთ. მართალია, „ორიაკს“ პირველადგილოსანი „ოიონაქსი“ 16 ქულით უსწრებს და, სავარაუდოდ, ვერ დაეწევა, თუმცა მერე პლეი ოფში წარმატების მიღწევის შემთხვევაში სანადელის ასრულებას შეძლებს.

ჩვენებურთა მეტოქე მე-17 ტურში ერთ-ერთი აუტსაიდერი „ექსია“, თამაშს ორიაკელები სტუმრად გამართავენ. დათუნაშვილი როგორც ყოველთვის, ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ორიაკს“ ერთი ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **დავით ხინჩაგიშვილის, გოდერძი შველიძისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ბრივი“, რომელიც პირველი დივიზიონიდან შარშან გამოვარდა და ახლა უკან დაბრუნება უნდა.

ბრიველები ამჯერად შინ მიიღებენ ერთ-ერთ კონკურენტ „კარკასონს“. შველიძე ძირითად შემადგენლობაშია, ნატრიაშვილი და ხინჩაგიშვილი სათადარიგოთა შორის იქნებიან.

ბრიველებს ორი ქულით ჩამორჩება და მეხუთე ადგილზეა **გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილის, ირაკლი მირცხულავასა** და **გიორგი ნემსაძის** „ტარბი“. ქართველ მორაგბეთა ეს გუნდი, მართალია, მოწინავეთა რიგებშია, მაგრამ უძლიერესთა შორის ალზევების პრეტენზია, სავარაუდოდ, არ უნდა ჰქონდეს.

ტარბელები მე-17 ტურში სტუმრად დაუპირისპირდებიან მეოთხეადგილოსან „პოს“.

ყველასთვის მოულოდნელად მე-8 ადგილზე აღმოჩნდა **გურამ კავთიძის** „ლიონი“. ჩვენებურთა ეს გუნდი სეზონის წინ საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მოთამაშეებით **სებასტიან შაბალითა** და **ლიონელ ნალეთი** გაძლიერდა, ამიტომ ლიონელებს კარგი შანსი ჰქონდათ, სატურნირო ცხრილს სათავეში მოქცეოდნენ.

„ლიონის“ მეტოქე გასვლით მატჩში **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ იქნება.

„ლიონს“ ოთხი ქულით ჩამორჩება და მე-9 ადგილზეა **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, კახაბერ კობერიძის, ვახტანგ ახობაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბი“. მიუხედავად საგრძნობი ჩამორჩენისა, ალბელები პლეი ოფში მოხვედრის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ. თუმცა მე-17 ტურში მათ შინ სერიოზულ მეტოქესთან, გათამაშების ლიდერ „ოიონაქსთან“ მოუწევთ ძალების მოსინჯვა.

**II დივიზიონი**

**XVII ტური**

მასი-ოში, ექსი-ორიაკი, დაქსი-ლა როშელი, ნარბონი-კოლომიე, ბეზიე-ლიონი, პო-ტარბი, ბრივი-კარკასონი, ალბი-ოიონაქსი.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ოიონაქსი - 65 ქულა, 2. ორიაკი - 49, 3. ბრივი - 48, 4. პო - 48, 5. ტარბი - 46, 6. ლა როშელი - 46, 7. კარკასონი - 44, 8. ლიონი - 41, 9. ალბი - 37, 10. კოლომიე - 33, 11. ნარბონი - 31, 12. ოში - 29, 13. დაქსი - 24, 14. ექსი - 24, 15. ბეზიე - 17, 16. მასი - 16.



გიორგი ნემსაძე ხელჩართულ ბრძოლაში

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ავსტრალიური რეკორდები

**ავსტრალიის ღია პირველობის წინ გთავაზობთ სეზონში "დიდი სლემის" პირველი ტურნირის შესახებ საინტერესო ფაქტების ჩამონათვალს საჩემპიონო ტიტულებზე, ხანგრძლივ მატჩებზე, რეკორდებზე და ა. შ.**

### კაცები

პირველი ჩემპიონი - **როდნი ჰიტი** (ავსტრალია, 1905 წელი)

ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში (ისტორიაში) – 6, **როი ემერსონი** (ავსტრალია, 1961, 1963-67)

ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში (ღია ერა) – 4, **ანდრე აგასი** (აშშ, 1995, 2000, 2001, 2003) და **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, 2004, 2006, 2007, 2010)

ყველაზე გრძელი სერია – 5, როი ემერსონი (ავსტრალია, 1963-67)

ყველაზე გრძელი მატჩი – 5 საათი, 53 წუთი, **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (სერბეთი)-**რაფაელ ნადალი** (ესპანეთი), 2012 წელი, ფინალი

ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი – 19 წლის და 3 თვის **მატს ვილანდერი** (შვედეთი, 1983)

ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი – 37 წლის და 2 თვის **კენ როზუოლი** (ავსტრალია, 1972)

1976 წელს ავსტრალიელი **მარკ ედმონდსონი** გახდა ჩემპიონი იმ დროს, როცა ATP-ის რეიტინგში 212-ე ადგილზე იმყოფებოდა. ეს აბსოლუტური რეკორდია "დიდი სლემის" ტურნირებისთვის. სხვათა შორის, ედმონდსონი ბოლო ავსტრალიელი მამაკაცია, რომელსაც ავსტრალიის ღიაზე გაუმარჯვია.

■ ■ ■

"დიდი სლემის" ტურნირების ისტორიაში იყო რვა ტურნირი, როცა ფინალში ორი ცაცია ჩოგბურთელი თამაშობდა. ორჯერ ასეთი ფინალი ავსტრალიის ღიაზე ჩატარდა: 1977 წელს ამერიკელმა **როსკო ტანერმა** მოუგო არგენტინელ **გილერმო ვილასს**, 1998 წელს ჩეხმა **პეტრ კორდამ** ჩილელი **მარსელო რიოსი** დაამარცხა.

ამასთან, კორდამ 1998 წელს პირველი ტიტული მოიგო "დიდ სლემზე". ჩეხმა ეს 37-ე ცდაზე მოახერხა. ეს მეორე მაჩვენებელია "დიდი სლემის" ტურნირების ისტორიაში. უფრო მეტი ცდა დასჭირდა ხორვატ **გორან ივანიშევიჩს**, რომელმაც 2001 წელს მოიგო უიმბლდონი.

2004 წელს რუსმა **მარატ საფინმა** წააგო ავსტრალიის ღიას ფინალი შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან**. გადამწყვეტ მატჩამდე საფინმა დათმო 129 გეიმი, რაც აბსოლუტური რეკორდია "დიდი სლემის" ისტორიაში.

ერთ მატჩში ეისების რაოდენობით ავსტრალიის ღიას რეკორდსმენია შვედი **ტომას იოჰანსონი**, რომელმაც 2005 წლის გათამაშებაში ანდრე აგასის წინააღმდეგ 51 ეისი ჩააწოდა. ის მატჩი იოჰანსონმა ოთხ სეტში მოიგო.



ავსტრალიის ღიას ფინალების ისტორიაში იყო სამი მატჩი, როცა მომავალ ჩემპიონს მოუწია თამაშის მსვლელობისას მატჩბოლების მოგერიებამ. **როდ ლეივერმა** 1960 წელს და **დინი პეილზმა** 1947 წელს თითო მატჩბოლი მოიგერიეს, **ჯერალდ პატერსონმა** 1927 წელს **ჯონ ჰოუქსთან** ფინალში ერთბაშად ხუთჯერ გადაარჩინა მატჩი.

### ქალები

პირველი ჩემპიონი – **მარგარეტ მოულსუორტი** (ავსტრალია, 1922 წელი)

ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში (ისტორიაში) – 11, **მარგარეტ კორტი** (ავსტრალია, 1960-66, 1969-71, 1973)

ყველაზე მეტი ტიტული ერთეულებში (ღია ერა) – 5, **სერენა უილიამსი** (აშშ, 2003, 2005, 2007, 2009, 2010)

ყველაზე გრძელი სერია – 7, მარგარეტ კორტი (ავსტრალია, 1960-66)

ყველაზე გრძელი მატჩი – 4 საათი, 44 წუთი, **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია)-**სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი), 2011 წელი, IV რაუნდი

ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი – 16 წლის და 3 თვის **მარტინა ჰინგისი** (შვეიცარია, 1997)

ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი – 35 წლის და 8 თვის **ტელმა კოინ ლონგი** (ავსტრალია, 1954)

■ ■ ■

2003 წელს ამერიკელმა სერენა უილიამსმა მოიგო ავსტრალიის ღიას პირველი ტიტული და გაიფორმა ე. წ. Serena Slam. იმ მომენტისთვის სერენა "დიდი სლემის" ოთხივე ტიტულის მფლობელი იყო.

ავსტრალიელი **კრის ო'ნილი**, რომელმაც 1978 წელს გაიმარჯვა, პირველი და ერთადერთი განუთესავი ქალი ჩემპიონი იყო. გარდა ამისა, ო'ნილი გახდა ბოლო ავსტრალიელი ქალი, რომელმაც საშინაო "მეიჯორზე" გაიმარჯვა.

1962 წელს, ავსტრალიელმა მარგარეტ კორტმა გაიმარჯვა ფინალში თავისი თანამემამულის **იან ლეიენის** წინააღმდეგ – 6:0, 6:2. 1994 წლამდე ეს იყო ყველაზე მოკლე ფინალი გეიმების მიხედვით. 1994 წელს გერმანელმა **შტეფი გრაფმა** ასეთივე ანგარიშით დაამარცხა ესპანელი **არანჩა სანჩეს-ვიკარიო**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ავსტრალიის ღია პირველობა. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ჯოკოვიჩი (სერ, 1)
მატიო (საფ)
ხირალდო (კოლ)
პარისონი (აშშ)
კვალიფიკაცია
ფ. ლოპესი (ესპ)
ტროიცკი (სერ)
შტეპანეკი (სერ, 31)
კუერი (აშშ, 20)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ბეიკერი (აშშ)
კამკე (გერ)
ჩიპოლა (იტა)
კვალიფიკაცია
ვავრინკა (შვეიც, 15)
მონაკო (არგ, 11)
კუზნეცოვი (რუს)
ანდერსონი (ს. აფრ)
ლორენცი (იტა)
მალისე (ბელ)
ანდუხარი (ესპ)
გოფენი (ბელ)
ვერდასკო (ესპ, 22)
მელცერი (ავსტრია, 26)
კუკუშკინი (ყაზ)
ბაუტისტა აგუტი (ესპ)
ფონინი (იტა)
კვალიფიკაცია
რუფენი (საფ)
რასელი (აშშ)
ბერდიხი (ჩეხ, 5)
ფერერი (ესპ, 4)
ო. როხუსი (ბელ)
კვალიფიკაცია
კარლოვიჩი (ხორ)
მილმანი (ავსტრა)
იტო (იაპ)
რამოსი (ესპ)
ბაღდატისი (კვიპ, 28)
იუჟნი (რუს, 23)
ებდენი (ავსტრა)
დონსკოი (რუს)
უნგური (რუმ)
კვალიფიკაცია
ბერლოკი (არგ)
პანესკუ (რუმ)
ნიშიკორი (იაპ, 16)
ალმაგრო (ესპ, 10)
კვალიფიკაცია
ხიმენო ტრავერო (ესპ)
კუბოტი (პოლ)
ფაუ (გერ)
დევარმანი (ინდ)
ბოლელი (იტა)
იანოვიჩი (პოლ, 24)
ბენეტო (საფ, 32)
დიმიტროვი (ბულ)
როდი ვასელენი (საფ)
კვალიფიკაცია
ლაჩკო (სლოვაკ)
მიულერი (ლუქ)
პიუეტი (ავსტრა)
ტიფსარევიჩი (სერ, 8)

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-შტეპანეკი (ჩეხ, 31)
კუერი (აშშ, 20)-ვავრინკა (შვეიც, 15)
მონაკო (არგ, 11)-ვერდასკო (ესპ, 22)
მელცერი (ავსტრია, 26)-ბერდიხი (ჩეხ, 6)
ფერერი (ესპ, 4)-ბაღდატისი (კვიპ, 28)
იუჟნი (რუს, 23)-ნიშიკორი (იაპ, 16)
ალმაგრო (ესპ, 11)-იანოვიჩი (პოლ, 24)
ბენეტო (საფ, 32)-ტიფსარევიჩი (სერ, 8)
დელ პოტრო (არგ, 6)-გრანოლერსი (ესპ, 30)
სეპი (იტა, 21)-ჩილიჩი (ხორ, 12)
სიმონი (საფ, 14)-დოლგოპოლოვი (უკრ, 18)
ფ. მაიერი (გერ, 25)-მარეი (ბრიტ, 3)
ცონგა (საფ, 7)-ბელუჩი (ბრა, 29)
გასკე (საფ, 9)-ჰაასი (გერ, 19)
რაონიჩი (კან, 13)-კოლშრაიბერი (გერ, 17)
კლიჟანი (სლოვაკ, 27)-ფედერერი (შვეი, 1)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

დელ პოტრო (არგ, 6)
კვალიფიკაცია
ბეკერი (გერ)
ბედენე (სლოვენ)
შარდი (საფ)
კვალიფიკაცია
ჟემლია (სლოვენ)
გრანოლერსი (ესპ, 30)
სეპი (იტა, 21)
სებალიოსი (არგ)
სისლინგი (ჰოლ)
ისტომინი (უზბ)
გარსია ლოპესი (ესპ)
კვალიფიკაცია
მატოშევიჩი (ავსტრა)
ჩილიჩი (ხორ, 12)
სიმონი (საფ, 14)
ვოლანდრი (იტა)
რობრედო (ესპ)
ლევინი (აშშ)
ლუ (ტაივ)
რამირეს იდალგო (ესპ)
მონფილსი (საფ)
დოლგოპოლოვი (უკრ, 18)
ფ. მაიერი (გერ, 25)
უილიამსი (აშშ)
კვალიფიკაცია
სტახოვსკი (უკრ)
სოუზა (პორ)
სმიტი (ავსტრა)
ჰაასე (ჰოლ)
მარეი (ბრიტ, 3)
ცონგა (საფ, 7)
ლოდრა (საფ)
სოედა იაპ)
სევილი (ავსტრა)
დაკუორტი (ავსტრა)
მიტჩელი (ავსტრა)
კავჩიჩი (სლოვენ)
ბელუჩი (ბრა, 29)
ჰაასი (გერ, 19)
ნიემინენი (ფინ)
დოდიგი (ხორ)
ვუ (კან)
უანა (საფ)
ფალა (კოლ)
მონტანიესი (ესპ)
გასკე (საფ, 9)
რაონიჩი (კან, 13)
პაიეკი (ჩეხ)
როსოლი (ჩეხ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
პელია (არგ)
დარცისი (ბელ)
კოლშრაიბერი (გერ, 17)
კლიჟანი (სლოვაკ, 27)
კვალიფიკაცია
ტომიჩი (ავსტრა)
ლ. მაიერი (არგ)
კვალიფიკაცია
დავიდენკო (რუს)
პერი (საფ)
ფედერერი (შვეიც, 2)

რაგბი. ექვსი ერი

# ბასტარო დაბრუნდა, კაპიტანი პაპეა

**საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფილიპ სენტ-ანდრემ იმ 33 მორაგბის სია გააცხადა, რომლებიც წლეულს ექვსი ერის გათამაშებაში „ლე ბლოს“ ღირსებას დაიცავენ.**



ალსანიშნავია, რომ სენტ-ანდრემ ნაკრებში დააბრუნა „ტულონის“ შუამარბი **მატიო ბასტარო**, რომელიც აქამდე „ლე ბლოს“ თავკაცებს „შეჩვენებული ჰყავდათ“. ბასტაროს ეროვნულ გუნდში 2010 წლის შემდეგ არ უთამაშია.

კვლავ მოირგებს საფრანგეთის ნაკრების კვართს აწ უკვე ყოფილი კაპიტანი **ტიერი დუსოტუარი** (ტულუზი). მიუხედავად იმისა, რომ ის ნაკრებში დაბრუნდა, სენტ-ანდრემ კაპიტნობა „სტად ფრანსეს“ მეორეხაზელ **პასკალ პაპეს** ანდო. ამ უკანასკნელს ეროვნულ გუნდში 45 კეპი აქვს მოხვეჭილი და „ლე ბლოს“ ნოემბრის ტესტებზე კაპიტნობდა. მაშინ ფრანგებმა შინ ავსტრალიის, არგენტინისა და სამოას ნაკრებები დაამარცხეს. შესაძლოა, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა სენტ-ანდრემ, კაპიტანი ისევ პაპე იყოს.

შეგახსენებთ, რომ დუსოტუარი კაპიტნის რანგში 31-ჯერ წარუძღვა ფრანგთა გუნდს. მათ შორის - 2011 წელს ახალ ზელანდიაში გამართულ მსოფლიოს თასზე. იმ წელიწადს ტიერი დუსოტუარი მსოფლიოს საუკეთესო მორაგბედ დაასახელეს.

აი, როგორ ახსნა ფილიპ სენტ-ანდრემ ეს გადაწყვეტილება:

*„გუნდის კაპიტანი უპირობო ლიდერი უნდა იყოს. ეს დიდი პასუხისმგებლობაა. არ გვინდა, ტიერი დუსოტუარი ზედმეტ ფსიქოლოგიურ წნეხში მოვაქციოთ. მას დრო სჭირდება, რათა დაკარგული ფორმა აღიდგინოს და ისევ ძველებურად მძლავრი გახდეს.*

*კაპიტანი პასკალ პაპე იქნება. მან შესანიშნავად გაართვა თავი მოვალეობას ნოემბრის ტესტებისას და არავითარი საფუძველი არ გვაქვს, მას უნდობლობა გამოვუცხადოთ. ისე კი, ბედნიერი ვარ, ასეთი ორი მაღალი დონის მოთამაშე რომ გვყავს. ეს ნებისმიერი გუნდისთვის დიდი ფუფუნებაა.“*

საფრანგეთის ნაკრებში ამჯერად ვერ მოხვდნენ „ლე ბლოს“ წამყვანი მოთამაშეები, **ორელიან რუჟერი** (კლერმონი), **იმანოლ არინორდოკი** და **დიმიტრი იაშვილი** (ორივე-ბიარიცი).

*„სამწუხაროდ, ორელიან რუჟერი ერთი კვირის წინათ მძიმედ დაშავდა და მის გამოყენებას ვერ შევძლებთ. ახლახან მოირჩინეს ტრავმები ბიარიცელებმა იმანოლ არინორდოკმა და დიმიტრი იაშვილმა. მიგვაჩნია, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან სათანადო ფორმაში.*

*ისე კი, გვირჩევნია, 33-34 წლის მოთამაშის ნაცვლად ეროვნულ გუნდში 25-26 წლის მორაგბეები მოვიწვიოთ“* - დასძინა ფრანგთა თავკაცმა ფილიპ სენტ-ანდრემ.

საკმაოდ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ნაკრებში მატიო ბასტაროს დაბრუნებამ:

*„ფილოსოფია ძალიან მარტივია. ნაკრების შემადგენლობის შერჩევისას ჩვენ შევინარჩუნეთ ბირთვი იმ გუნდისა, რომელმაც ნოემბრის ტესტებზე იასპარეზა და დავამატეთ ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც გვინდა, ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების შანსი მივცეთ.*

*მატიო ბასტარომ ძალიან ბევრი იშრომა, რათა ოდინდელი სათამაშო ფორმა აღედგინა. ის ისევ ძველებურად მძლავრი და ფეთქებადია. ამიტომ მივეცით შანსი და გაფართოებულ შემადგენლობაში შევიყვანეთ, ისევე, როგორც ტულუზელი ფლორიან ფრიცი. ვიმედოვნებ, ისინი ამ შესაძლებლობას გამოიყენებენ. საფრანგეთის ნაკრების კარი ყველასთვის ღიაა, ვინც მისი კვართის მორგებას იმსახურებს.*

*ჩვენი მიზანია, წლეულს უკეთესი შედეგი ვაჩვენოთ, ვიდრე შარშან. პირველი თამაში სტუმრად გვაქვს იტალიაში და ვეცდებით, „სკუადრა აძურა“ დამაჯერებლად დავამარცხოთ“* - თქვა ფილიპ სენტ-ანდრემ.

**საფრანგეთის ნაკრები**

**შერკინებაː ვენსან დებატი, ტომას დომინგო, ბენიამინ კაისერი, დამიენ შული (ოთხივე-კლერმონი), იანიკ ფორესტერი (კასტრი), გილემ ჟირადო, ნიკოლა მასი, რომენ ტაოფიფენუა (სამივე- პერპინიანი), დიმიტრი სყარჟევსკი, ლუკ დუკალკონი (ორივე-მეტრო რასინგი), დავიდ ატუბი (სტად ფრანსე), იოან მაესტრი, ტიერი დუსოტუარი, იანიკ ნიანგა, ლუი პიკამოლი (ოთხივე-ტულუზი), პასკალ პაპე (სტად ფრანსე), ჟოსელი სუტა (ტულონი), ვენსელას ლორე (ბიარიცი), ფულენსე უოდრაოგო (მონპელიე).**

**უკანა ხაზიː მაქსიმ მაშენო, ბენჟამინ ფალი (ორივე-მეტრო რასინგი), მორგან პარა, ჟან მარსელ ბუტინი, ვესლი ფოფანა (სამივე-კლერმონი), ფრედერიკ მიშალაკი, მატიო ბასტარო, მაქსიმ მერმოსი (სამივე-ტულონი), ფრანსუა ტრინ-დუკი (მონპელიე), ვენსან კლერი, გაელ ფიკუ, ფლორინ ფრიცი, იოან უგე (ოთხივე-ტულუზი), ბრაის დულინი (კასტრი).**

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი

# მაიამი ოდენს უმიზნებს

ESPN-ისინფორმაციით, "მაიამი" ფავორიტად მიიჩნევა ცენტრ **გრეგ ოდენის** გადაბირებისთვის რბოლაში.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველაზე უიღბლო კალათბურთელი კარიერის განახლებას აპირებს და "ოჰაიოს" უნივერსიტეტის დარბაზში ვარჯიშიც დაიწყო. ვარაუდობენ, რომ 24 წლის ოდენი ამ სეზონის ბოლომდე გააფორმებს კონტრაქტს, მაგრამ მოედანზე უკვე 2013-14 წლების სეზონში დაბრუნდება.

შეგახსენებთ, რომ ოდენი 2008 წლის დრაფტის პირველი ნომერია, მაგრამ დღემდე მუხლებზე ხუთი ოპერაცია გადაიტანა და საერთო ჯამში, მხოლოდ ერთი სრულფასოვანი სეზონი ჩაატარა.

**გია თვალაბეიშვილი**



გრეგ ოდენი

ველოსპორტი

# მორიგი კომპრომატი



ლენს არმსტრონგი

ამერიკის შეერთებული შტატების ანტისადოპინგო სააგენტო ახალახალ კომპრომატებს აქვეყნებს სკანდალურად ცნობილი ამერიკელი ველომრბოლის **ლენს არმსტრონგის** წინააღმდეგ. ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ტრევის ტაიგარტმა** ჟურნალისტებს უამბო იმის შესახებ, რომ 2002 წელს, ლოზანაში მდებარე ლაბორატორიის შეფმა **მარტიას სოჟიმ** დეტალურად აუხსნა არმსტრონგს, თუ როგორ მუშაობს ტესტი ერითროპოეტინზე.

*"2010 წელს სოჟი გამომელაპარაკა და ასეთი რამ მითხრა: "ტრევის, ჩვენ გვაქვს არმსტრონგის ძველი დოპინგსინჯი 2001 წლის შვეიცარიის ტურიდან, რომელიც აჩვენებს, რომ ის ერითროპოეტინს იყენებდა". მან აგრეთვე მითხრა, რომ ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირის მითითებით, ის შეხვდა არმსტრონგსა და იოჰან ბრიუნელს, რათა აეხსნა მათთვის, თუ როგორ მუშაობს ტესტი ერითროპოეტინის გამოსავლენად.*

*მე მას ვკითხე: "შენ მოუყევი არმსტრონგსა და ბრიუნელს იმის შესახებ, როგორ აუარონ გვერდი ერითროპოეტინის ტესტს?" სოჟი ტესტის შესახებ მხოლოდ ამ ორ ადამიანს მოუყვა. რამდენადაც ვიცი, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს არასწორი საქციელია – შეხვდე სპორტსმენს, რომელიც დოპინგის მიღებაშია ეჭვმიტანილი და აუხსნა მას დოპინგ-ტესტის მოწყობილობა",* - ამბობს ტაიგარტი "ლე მონდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

**გია თვალაბეიშვილი**

მძლეოსნობა

# ბოლტის დიდი გეგმები

ლეგენდარულმა იამაიკელმა სპრინტერმა, ექვსგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** იამაიკის წლის საუკეთესო მძლეოსნის პრიზი მოიპოვა. დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიაზე მსოფლიო სპორტის ერთ-ერთმა უპირველესმა ვარსკვლავმა 2013 წლის გეგმების შესახებ ისაუბრა.

*"დამდეგ წელს შევეცდები, დავამყარო მსოფლიოს ახალი რეკორდები, მთავარი მიზანი კი 200 მეტრის 19 წამზე ნაკლებ დროში გარბენაა",* - მოჰყავს ბოლტის სიტყვები ESPN-ს.

**გია თვალაბეიშვილი**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ჰოლანდია** | |
| ვერდერი-ცვოლე | 2:2 |
| ექსელსიორი-გრააფსხაპი | 2:1 |
| ანდერლეხტი-ჰერაკლესი | 4:2 |
| შარლერუა-ვენლო | 0:1 |
| გრონინგენი-ბრედა | 0:1 |
| ჰოფენჰაიმი-ჰერენვეენი | 3:1 |
| ბორუსია (მ)-აინტრახტი | 3:2 |
| ნიიმეგენი-ლევერკუზენი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონშიპი** | |
| ვულვზი-ბლექბერნი | 1:1 |
| **ესპანეთი** | |
| ბილბაო-რაიო ვალეკანო | 1:2 |
| **საფრანგეთი** | |
| სტ. ეტიენი-ტულუზა | 2:2 |
| პსჟ-აიაჩო | 0:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ანჟერსი-კლერმონი | 1:2 |
| შატორუ-სედანი | 1:1 |
| დიჟონი-ლე მანი | 3:0 |
| გფკო აიაჩო-ისტრი | 3:2 |
| ჰავრი-გინგამი | 0:1 |
| ლანსი-არლი | 0:0 |
| ნანტი-ნიმი | 1:2 |
| ნიორი-ტური | 3:1 |
| **ნასიონალი** | |
| ბურჟი-ამიენი | 0:2 |
| კოლმარი-ფრეჟუსი | 0:1 |
| ორლეანი-ლუზენაკი | 1:0 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ეთნიკოსი-ნიკი ვოლუ | 1:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| ესქისეჰირი-მერსინი | 3:1 |
| **უელსი** | |
| ბალა-ბანგორი | 2:1 |
| **ავსტრალია** | |
| ადელაიდა-პერტი | 3:2 |
| **გულფის თასი** | |
| საემიროები-ომანი | 2:0 |
| ბაჰრეინი-კატარი | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ეფესი-ალბა | 71:62 |
| რეალი-ჟალგირისი | 75:74 |
| ბარსელონა-ოლიმპიაკოსი | 76:68 |
| მონტეპასკი-ხიმკი | 82:76 |
| **საფრანგეთი** | |
| გრაველინი-შალონი | 102:69 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| [illegible] | |
| **კაცები** | |
| ესპანეთი-ალჟირი | 27:14 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| ალბა-ზნოიმო | 1:2 |
| ინსბრუკი-ლინცი | 1:5 |
| ვილახი-ზალცბურგი | 2:0 |
| დორნბირნი-კლაგენფიურტი | 3:5 |
| ოლიმპია-ვენა | 4:2 |
| ზაგრები-გრაცი | 4:5 |
| **გერმანია** | |
| იზერლონი-მანჰაიმი | 3:1 |
| შტრაუბინგი-კრეფელდი | 5:3 |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 2:1 |
| ინგოლშტადტი-კიოლნი | 3:5 |
| ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 5:2 |
| აისბარენი-აუგსბურგი | 3:2 |
| ნიურნბერგი-მიუნხენი | 3:2 (ო) |
| **დანია** | |
| ესბერგი-როდოვრე | 3:2 |
| ჰვიდოვრე-ჰერნინგი | 0:2 |
| სონდერიისკი-ჰერლევი | 3:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ნიტრა-ტრენჩინი | 1:0 (ბ) |
| მარტინი-პიესტანი | 1:2 |
| სკალიცა-პოპრადი | 7:2 |
| ჟილინა-ბისტრიცა | 6:1 |
| ზვოლენი-კოშიცე | 4:3 (ო) |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-ტპს | 3:2 |
| ტაპარა-ბლუზი | 3:0 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 7:1 |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 4:0 |
| პარდუბიცე-ზლინი | 3:2 (ო) |
| ბრნო-სპარტა | 1:2 (ო) |
| ლიტვინოვი-ხომუტოვი | 6:2 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 1:2 (ო) |
| **შვეიცარია** | |
| ფრიბურგი-ბერნი | 0:6 |
| ლუგანო-ცუგი | 3:2 (ო) |
| რაპერსვილი-ციურიხი | 1:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ოკლენდი** | |
| კუერი-კოლშრაიბერი | 4:6, 6:7 |
| ფერერი-მონფილსი | 6:1, 6:2 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ბენეტო-ანდერსონი | 4:6, 3:6 |
| სეპი-ტომიჩი | 6:7, 4:6 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| ვესნინა-სტივენსი | 6:2, 6:2 |
| ფლიპკენსი-ბარტელი | 4:6, 4:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| ა. რადვანსკა-ციბულკოვა | 6:0, 6:0 |

TV პროგრამა

**12 იანვარი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. ჩესლი-ასტონ ვილა.
**12:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
**13:00** პროგარამა - იმედის ფსონი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. ევერტონი.
**15:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
**16:45** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. ქუინზ პარკი-ტოტენჰემი (LIVE).
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. სტოკი-ჩელსი (LIVE).
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. ევერტონი-სუონსი.
**23:00** არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი.
**01:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. სელტიკი-ბარსელონა.
**11:40** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**12:25** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ოკლაჰომა.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. III ტური. ბარსელონა-ოლიმპიაკოსი
**17:35** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლიქვინსი-კონახტი (LIVE).
**19:40** რაგბი. ჰაინეკენის თასი. რასინგი-სარაცენსი (LIVE).
**22:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-სკარლეტსი (LIVE).
**00:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ოკლაჰომა.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ჰობარტი. ავსტრალია.
**12:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
**14:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**15:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ნორთჰემპტონი-კასტრი.
**17:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბოსტონი.
**19:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.

**13 იანვარი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. ქუინზ პარკი-ტოტენჰემი.
**12:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**13:00** პროგრამა – იმედის ფსონი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. სტოკი-ჩელსი
**16:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი - ფლუმინენსე.
**17:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. მანჩესტერ იუნ-ლივერპული (LIVE).
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXII ტური. არსენალი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
**22:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-დორტმუნდი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-მემფისი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** კალათბურთი. ევროლიგა. III ტურის მიმოხილვა.
**16:45** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-მანსტერი (LIVE).
**19:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ბენეტონი (LIVE).
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი (LIVE).
**00:00** NBA ACTION.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი. დაკარი 2013



ალ-ატიიამ მესამე მოიგო

# ბრძოლა იძაბება

ჩილეს ტერიტორიაზე გამართული 455-კილომეტრიანი ეტაპის შემდეგ, საერთო ჩათვლაში ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ დაიძაბა სიტუაცია გენერალურ კლასიფიკაციაში.

ბრწყინვალედ გამოდის კატარელი **ნასერ ალ-ატიია**, რომელმაც უკვე მესამე ეტაპი მოიგო ამ რბოლაში. რაც მთავარია, მეექვსე ეტაპზე მან უმნიშვნელოვანესი დუელი მოუგო **სტეფან პეტერანსელს** - მან ფრანგთან თითქმის ბოლომდე შეამცირა ჩამორჩენა. პეტერანსელის 10-წუთიანი სხვაობა ერთ წუთამდე დავიდა, რაც ასეთი ტიპის ავტომარათონში თითქმის არაფერს ნიშნავს.

არანაკლებ დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი მესამე ადგილისთვის, სადაც ჯერ უპირატესობა **ჟინიელ დე ვილიერსის** მხარესაა, რომელიც რუს **ლეონიდ ნოვიცკის** უსწრებს.

დაბოლოს, გაგრძელდა და დასრულდა ლეგენდარული **კარლოს საინსის** პრობლემები. ესპანელმა მეექვსე ეტაპის ფინიშამდე ვერ მიაღწია და მისთვის წლევანდელი დაკარი დასრულებულია.

**VI ეტაპი**

**ავტომობილები**

1. **ნასერ ალ-ატიია** (კატარი, Buggy) - 3:32.08; 2. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - +8.36; 3. **რობი გორდონი** (აშშ, Hammer) - +13.52; 4. **ორლანდო ტერანოვა** (არგენტინა, BMW) - +14.13; 5. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +15.48...

**საერთო ჩათვლა**

1. **სტეფან პეტერანსელი** (საფრანგეთი, Mini) - 14:34.16; 2. **ნასერ ალ-ატიია** (კატარი, Buggy) - +1.18; 3. **ჟინიელ დე ვილიერსი** (სამხრეთ აფრიკა, Toyota) - +42.31; 4. **ლეონიდ ნოვიცკი** (რუსეთი, Mini) - +44.47; 5. **გერლენ შიშერი** (საფრანგეთი, Buggy) - +1:16.26...

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში კვლავაც **ოლივიე პენი** ლიდერობს, თუმცა გენერალურ კლასიფიკაციაში დაიშალა მისი და "იამაჰას" მეორე წევრის **დავიდ კასტოს** დუეტი. მოქმედმა ჩემპიონმა **სირილ დეპრემ** ეტაპზე მესამე დრო აჩვენა და სწორედ ის მოექცა პენსა და კასტოს შორის. ტოპ-ხუთეულში კვლავაც დიდი სიმჭიდროვეა.

**მოტოციკლები**

1. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - 3:36.21; 2. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +2.34; 3. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +3.48; 4. **კურტ კასელი** (აშშ, KTM) - +4.48; 5. **ისრაელ ესკერე** (ჩილე, "ჰონდა") - +6.13...

**საერთო ჩათვლა**

1. **ოლივიე პენი** (საფრანგეთი, Yamaha) - 15:35.23; 2. **სირილ დეპრე** (საფრანგეთი, KTM) - +2.22; 3. **დავიდ კასტო** (საფრანგეთი, Yamaha) - +4.48; 4. **ფრანსისკო ლოპესი** (ჩილე, KTM) - +6.06; 5. **რუბენ ფარია** (პორტუგალია, KTM) - +8.35...

ფორმულა 1



რედ ბულის ბაზა

# რედ ბულს 3 თებერვალს ვნახავთ

მსოფლიოს ჩემპიონის "რედ ბულის" ბოსებმა განსაზღვრეს 2013 წლისთვის განკუთვნილი ბოლიდის პრეზენტაციის თარიღი, რომლითაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** და **მარკ უებერი** იასპარეზებენ. ბოლიდ RB9-ს პუბლიკას 3 თებერვალს, მილტონ-კეინსში გუნდის ბაზაზე წარუდგენენ. შეგახსენებთ, რომ ადრე პრესაში გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ავსტრიელები ვერ მოასწრებდნენ ზამთრის პირველი ტესტებისთვის ბოლიდის მომზადებას. პირველი ოფიციალური ვარჯიში ხერესში, 5 იანვარს დაიწყება.

გასულ წელს, ავსტრიული საჯინიბო ვირტუალური პრეზენტაციით შემოიფარგლა - ბოლიდის ფოტოები საკუთარ ოფიციალურ ვებგვერდზე წარადგინა, ხოლო ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა მანქანა "ცოცხლად" უკვე ტესტებზე იხილეს.

თებერვალში პრეზენტაციების გრაფიკი მეტად მჭიდრო იქნება: 31 იანვარს მანქანას წარმოადგენს "მაკლარენი", პირველ თებერვალს – "ფორს ინდია", ორში – "ზაუბერი", სამში – "რედ ბული", ოთხ და ხუთ თებერვალს, უკვე ხერესში რამდენიმე გუნდი წარმოადგენს ახალ ბოლიდს.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ლიდერები მარცხდებიან

"ინდიანამ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისი მთავარი კოზირი – დაცვაა. "პეისერსმა" შესანიშნავი დაცვითი მოქმედების წყალობით, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა აღმოსავლეთის ორი საუკეთესო შემტევი გუნდი - "მაიამის" 77 ქულა დააგროვებინა, გუშინ, "ნიუ იორკს" - 76. შეგახსენებთ, რომ დისკვალიფიკაციის გამო "ნიქსს" აკლდა **კარმელო ენტონი**.



ლებრონმა 20 ქულაც ვერ ჩააგდო

ნიუიორკელთა რიგებში ლიდერობა იტვირთა **ჯეი არ სმიტმა**, რომელმაც ამ როლს გაართვა თავი, მაგრამ პარტნიორებისგან ვერ იპოვა მხარდაჭერა. "ინდიანამ" იმდენად შეანელა თამაში, რომ სტუმრებს მოუწიათ მეტოქის ნებას დაჰყოლოდნენ. მესამე მეოთხედში "ნიქსმა" თითქოს აუღო ალღო ასეთ თამაშს, მაგრამ საშინელი პროცენტით ისროდა და ამის გამო ჩააგდო ბოლო 12-წუთეული. "ნიქსს" გამოეპარა 0:13 სპურტი, შვიდი წუთის განმავლობაში კი საერთოდ ერთი ქულაც ვერ აიღო. როცა მატჩის დასრულებამდე ორი წუთი რჩებოდა, მასპინძლების უპირატესობა 13 ქულას შეადგენდა. სწორედ ამ დროს, "ინდიანამ" მოადუნა თამაში და საპასუხო გაქცევა მიიღო – 2:10, მაგრამ "ნიქსს" დრო არ ეყო თამაშის გადასარჩენად. ეს იყო "ინდიანას" ზედიზედ მეცხრე მოგება საკუთარ მოედანზე.

■ ■ ■

"დალასმა" შეწყვიტა ოთხმატჩიანი წაგებათა სერია. ამისთვის "მავერიქსს" ოვერტაიმი, მანამდე კი 17-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება დასჭირდა. "საკრამენტომ", თავის მხრივ, **ტომასის** სასწაულებრივი ტყორცნით შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

"დალასი" მესამე მეოთხედის შუიდან მოყოლებული, მეთოდურად ამცირებდა ჩამორჩენას და იმდენი მოახერხა, რომ სირენამდე წუთით ადრე ხუთი ქულით წინ გასვლაც შეძლო. ძალიან მოინდომეს **მაიომ** და **კარტერმა**, რომლებმაც ბოლო მეოთხედში ერთად 21 ქულა ჩააგდეს. ოვერტაიმში "დალასის" წინააღმდეგ იბრძოდნენ **ევანსი** და **კაზინსი** და როცა ეს უკანასკნელი უხეში ჯარიმისთვის მოედნიდან მიაბრძანეს, "მავერიქსმა" შვებით ამოისუნთქა. თუმცა ტომასს შეეძლო მეორე გმირობა ჩაედინა, მაგრამ მისი სამქულიანი მიზანს ასცდა.

აღვნიშნავთ, რომ **დირკ ნოვიცკიმ**, როგორც ჩანს, სრულად აღიდგინა ფიზიკური კონდიციები - მან 40 წუთი გაატარა მოედანზე, მაგრამ ტყორცნების მხრივ, ყველაფერი წესრიგში არ ჰქონდა - 21-დან მხოლოდ შვიდი ტყორცნა მოათავსა კალათში.

■ ■ ■

"მაიამი" კიდევ ერთხელ დაისაჯა თავისი ზედმეტი თავდაჯერებულობისთვის. "ჰიტმა" ვერ შეძლო სტუმრად პორტლენდში გამარჯვება. მასპინძლებმა ფანტასტიკური მეოთხე მეოთხედი ითამაშეს. "ბლეიზერსმა" ბოლო რვა წუთი 24:10 მოიგო - ძირითადად, ჯარიმების ბრწყინვალე რეალიზაციისა და მეტოქის შეცდომების წყალობით.

"მაიამის" წაგებას კიდევ რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, მაგრამ მთავარი, ალბათ, ის იყო, რომ **ლებრონ ჯეიმსმა** შეწყვიტა თავისი 54-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც, ის მინიმუმ 20 ქულას აგროვებდა. შეტევაშიც და დაცვაშიც, "დიდი ტრიოს" დონეზე მხოლოდ **კრის ბოში** თამაშობდა. "ჰიტს" ჰქონდა ანგარიშის გათანაბრებისა და მოგების შანსი, მაგრამ ბოშმა ორქულიანის სროლის ნაცვლად, **ჩელმერსს** მიაწოდა პასი, რომლის სამქულიანი არაზუსტი აღმოჩნდა.

"პორტლენდმა" საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეცხრე მატჩი მოიგო, არადა, თამაშიდან მხოლოდ 37-პროცენტიანი სიზუსტით ისროლა.

**ინდიანა–ნიუ იორკი 81:76**

**16:14, 23:20, 19:26, 23:16**

**ი:** ჯორჯი (24+11 მოხსნა+5 პასი+6 ჩაჭრა), მაინმი (13+6 მოხსნა).

**ნ-ი:** სმიტი (25+6 პასი), ჩენდლერი (12+15 მოხსნა+3 დაფარება).

**საკრამენტო–დალასი 112:117 (ო)**

**25:23, 24:19, 29:26, 23:33, 11:16**

**ს:** კაზინსი (29+9 მოხსნა), ტ. ევანსი (20+7 მოხსნა+3 დაფარება), ტომასი (18), გარსია (13), სალმონსი (11), რობინსონი (2+10 მოხსნა).

**დ:** მაიო (24+10 მოხსნა+5 პასი), კარტერი (23+5 მოხსნა), მერიონი (19+10 მოხსნა), ნოვიცკი (17+9 მოხსნა), კოლისონი (11).

**პორტლენდი–მაიამი 92:90**

**18:21, 21:31, 24:16, 29:22**

**პ:** ბატუმი (28+7 მოხსნა+5 პასი), ოლდრიჯი (20+15 მოხსნა), მეტიუზი (18), ლილარდი (10+8 პასი), ჰიქსონი (8+10 მოხსნა).

**მ:** ბოში (29+4 დაფარება), უეიდი (18), ჯეიმსი (15+10 მოხსნა+9 პასი), ალენი (15+5 მოხსნა).

ჩოგბურთი

# დიდი რეკორდი ამერიკაში

ამერიკის ქალაქ პლანშტეინში მიმდინარეობს "ფიუჩერსის" სერიის ტურნირი, სადაც ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე გრძელი ტაი-ბრეიკი ითამაშეს. რეკორდის ავტორები გახდნენ მონაკოელი ჩოგბურთელები – **ბენჯამინ ბალერე** და **გიიომ კუიარი**.



ბენჯამინ ბალერე

პირველი სეტის მე-13 გეიმში ჩოგბურთელებმა 70 ქულა გაითამაშეს და ტაი-ბრეიკი 36:34 დასრულდა. რაც შეეხება შეხვედრას, ის ბალერემ ორ სეტში მოიგო – 7:6(34), 6:1.

ალსანიშნავია, რომ ჩოგბურთელებმა ტაი-ბრეიკის ხანგრძლივობის მიხედვით წინა რეკორდი ერთნახევარჯერ გააუმჯობესეს. 1985 წელს, უიმბლდონის პირველ წრეში, დანიელმა **მიკაელ მორტენსენმა** და შვედმა **იან გუნარსონმა** წყვილთა თანრიგში მოუგეს ავსტრალიელ **ჯონ ფროუნისა** და პარაგვაელ **ვიქტორ რეკის** - 6:4, 6:4, 3:6, 7:6(24).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, ბარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:25
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608